საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №41 (2741) ხუთშაბათი, 19 თებერვალი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

პარლამენტი

საკანონმდებლო საქმიანობა

18 თებერვალს მუშაობა განაგრძო პარლამენტის პლენარულმა სხდომამ. დეპუტატებმა იგი ძირითადად საკანონმდებლო საქმიანობას დაუთმეს.

პარლამენტმა მუხლობრივად განიხილა კანონპროექტი „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ“. გარკვეულ ასპექტებზე შეუთანხმებლობის გამო, კენჭისყრა გადაიდო. თუმცა ამავე დღეს მიიღეს კანონპროექტი „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ მესამე –საბოლოო მოსმენით.

პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა და მიიღო კანონპროექტი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“. რაც შეეხება კანონპროექტს „საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომელიც საბაჟო ორგანოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და მუშაკთა მატერიალურ წახალისებას ეხება, პარლამენტმა გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით მიიღო.

სხდომაზე პარლამენტმა მეორე მოსმენით – მუხლობრივად განიხილა და მიიღო კანონპროექტი „სახელმწიფო ვალის შესახებ“, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს სახელმწიფოს მიერ ვალის აღებასთან, საშინაო და საგარეო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებული ურთიერთობა, დაადგინოს სახელმწიფო ვალის დაფარვის ძირითადი პრინციპები.

„რეკლამის შესახებ“ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით, პარლამენტმა გამარტივებული წესით მიიღო კანონპროექტები „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

იმავე დღეს პარლამენტმა კენჭი უყარა წინა დღით განხილულ საკითხებს. კერძოდ, მესამე მოსმენით მიიღო კანონპროექტები „სახელმწიფო უშიშროების შესახებ“ და „ლტოლვილთა შესახებ“. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, მიღებულია აგრეთვე კანონპროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“. კოდექსს ემატება მუხლი, რომლის მიხედვით ლტოლვილად ცნობის შესახებ პირის რეგისტრაციაზე, ან პირის ლტოლვილად ცნობაზე უკანონო უარის თქმის შემთხვევაში გათვალისწინებულია ჯარიმა 50 ლარამდე. რაც შეეხება კანონპროექტებს „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ და „ნდობის ჯგუფის შესახებ“, პარლამენტმა ისინი მეორე მოსმენით მიიღო.

პლენარული სხდომა მუშაობას 19 თებერვალს გააგრძელებს.

საქინფორმი.

იხ. მე – 2 გვ.

პრეზიდენტის სამუშაო დღე

თემურ ფიფია — ბიოგრაფია გრძელდება

თემურ ფიფიას ოჯახისთვის ჯილდოს გადაცემის შემდეგ.
ზეინაბ ბარნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

18 თებერვალი თემურ ფიფიას დაბადების დღეა, 1998 წლის 18 თებერვალი კი – კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი თარიღი ბიოგრაფიაში, რომელიც გრძელდება, რადგან სიკვდილი ვერაფერს აკლებს თემურ ფიფიას დარი მოღვაწეების სახელებსა და ხსოვნას.

ამ დღეს თემურ ფიფიას ოჯახს, შვილებს, ყველა ახლობელს ერთხელ კიდევ ჰქონდათ ბედნიერება, ეამაყათ მისი სახელით, სახელით იმ ადამიანისა, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა ნიმუშად და ეტალონად არაჩვეულებრივი ნიჭიერების, ქვეყნისათვის თავდადებისა და მისთვის მსახურების; ადამიანის, რომელიც ყოველთვის იქ იდგა, სადაც საქართველოს სჭირდებოდა – ქვეყნის მომავალ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე ზრუნვა იქნებოდა, თუ მისი ერთიანობისა და განუყოფლობისათვის ბრძოლა; ადამიანის, რომელიც ერთნაირად უყვარდათ და აღიარებდნენ საქართველოს ყველა კუთხეში. სწორედ ამ აღიარების დასტურად მიენიჭა მას სიკვდილის შემდეგ სამშობლოს უმაღლესი ჯილდო – ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი.

თემურ ფიფიას დაბადებიდან 40 წლისთავზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ჯილდო მის მეუღლესა და შვილებს გადასცა.

– თემური იყო ჩემთვის ერთ-ერთი უძვირფასესი ადამიანი, კოლეგა, თანამოაზრე და თანამებრძოლი. მე იშვიათად თუ შემხვედრია ადამიანი, რომელიც ასეთი თავდადებით, თავგანწირვით ჩართულიყო ქვეყნის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე. – იგი იყო ადამიანი, რომელმაც აქტიურად დაიწყო ქვეყნის აღმშენებლობაზე ფიქრი როგორც თეორეტიკოსმა, პრაქტიკოსმა და შესანიშნავმა ორგანიზატორმა. მას ჰქონდა საოცარი უნარი, შეემჩნია თავის გვერდით კეთილსინდისიერი, ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანები და შეეკავშირებინა ისინი.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა თემურ ფიფიას საუკეთესო პიროვნული და მოქალაქეობრივი თვისებები, მისი თავდადებული ბრძოლა ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ მისი ყველა ოცნება და ნააზრევი, რომელიც საქართველოს მომავალს უკავშირდებოდა, ასრულდება.

რუსთაველის თეატრი შველას საჭიროებს

1996 წლის აგვისტოში დაიწყო და დღესაც გრძელდება რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობის გასამაგრებელი სამუშაოები. ეს ტექნიკურად ურთულესი პროცესი შედგება კომპლექსური ღონისძიებებისაგან, რომლებიც უკავშირდება არა მხოლოდ შენობის საძირკვლისა და კედლების გამაგრებას, არამედ რუსთაველის პროსპექტზე და მტკვრის მიმართულებით მიწისქვეშა სანიაღვრე კოლექტორების აღდგენასაც. საბოლოო ჯამში, ეს სამუშაოები საფუძველია მთლიანად ქალაქის ცენტრის გადარჩენისა, რაც დღეს თუ არა, უახლოეს მომავალში მაინც ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად შეიძლება იქცეს.

17 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გაიმართა თათბირი, რომელიც ამ სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის გზებს მიეძღვნა.

მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო ტრესტი „გვირაბმშენი“, ყველა სათანადო უწყება მაქსიმალურად არის მობილიზებული, სამშენებლო სამუშაოების შემდგომი გაგრძელება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა საჭირო სახსრების უქონლობის გამო.

შარშან ამ მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოიყო 1,5 მილიონი ლარი, რომელიც დღეისათვის სრულად არის ათვისებული და მოხმარდა კოლექტორის გარკვეული მონაკვეთის აღდგენასა და თეატრის შენობის ძირითად გასამაგრებელ სამუშაოებს. ამჟამად დღის წესრიგში მთელი სიმწვავით კვლავ ფინანსების პრობლემა დგას და აფერხებს იმ სამუშაოების დასრულებას, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თეატრის შენობის უსაფრთხოებისათვის. ეს კი, ედუარდ შევარდნაძის შეფასებით, დანაშაულის ტოლფასია, რადგან საქმე ეხება ისეთი უნიკალური შენობების შენარჩუნებას, როგორიც არის ოპერის თეატრი, თეატრალური ინსტიტუტი და რუსთაველის პროსპექტზე განლაგებული სხვა ნაგებობები. სიტუაცია კი ამ თვალსაზრისით სულ უფრო და უფრო უარესდება.

გამოსავალი კვლავ სახელმწიფოს მეთაურმა მონახა და თავისი უკვე თითქმის გამოცარიელებული ფონდიდან ამ საგანგებო სიტუაციაში ნახევარი მილიონი ლარი გამოყო თეატრის გასამაგრებელი სამუშაოებისათვის. მომდევნო ეტაპზე კი მშენებლობას თავისი ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებს შეაწევს ქალაქის მერია. როგორც შეხვედრაზე ითქვა, რუსთაველის პროსპექტის შენობების გამაგრების მრავალმხრივი ღონისძიების სრულყოფილი განხორციელებისათვის საჭიროა მინიმუმ 10,5 მილიონი ლარი, რომლის მოპოვების ერთადერთი გზა შესაბამისი კრედიტის მიღებაა. სამაგიეროდ, აშენდება ურთულესი მიწისქვეშა საინჟინრო ნაგებობები, რომლებიც მომავალში საერთოდ გამორიცხავს ნგრევას და სხვა ანალოგიურ საშიშროებას.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

მსჯელობენ რუსთაველის თეატრის პრობლემებზე.
მალხაზ მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 12 თებერვალი ქ. თბილისი

მ. ნიკოლაიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში არქიტექტურისა და მშენებლობის განვითარების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე **მერაბ ნიკოლაიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

რეზონანსი

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო,

შემძრა თქვენი სიცოცხლის ხელყოფის მცდელობის ფაქტმა, რომელიც, საბედნიეროდ, წარუმატებლად დამთავრდა. ვიხსენებ ჩემს ვიზიტს თქვენს ქვეყანაში და ჩვენს შეხვედრას. შვებას ვგრძნობ, რომ თქვენ უვნებლად გადარჩით.

ნება მიბოძეთ, გადავცე ჩემი გულითადი სამძიმარი ამ აღმაშფოთებელი აქტის მსხვერპლთა ოჯახებს.

გთხოვთ, მიიღოთ, ბატონო პრეზიდენტო, ჩემი თქვენდამი ულრმესი პატივისცემის დასტური.

ჯანკარლო არაგონა,
ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი.
ვენა, 1998 წლის 10 თებერვალი.

მადლობა თანაგრძნობისათვის

9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებულმა შეიარაღებულმა თავდასხმამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. ამ დღეების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ურიცხვ სამძიმარს იღებს ამ ვანდალური აქტის შედეგად თანამშრომელთა დაღუპვის გამო.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელობა გულწრფელ მადლობას უხდის ყველას — უწყებებსა და დაწესებულებებს, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კოლეგებსა და რიგით მოქალაქეებს, — ჩვენი სამსახურის ამ დიდი ტკივილის გაზიარებისა და თანაგრძნობისათვის.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

გამოძიება: ექსკლუზიური ინტერვიუ

„კუდიანებზე ნადირობა“ არ იქნება

ნომრის სტუმარია საქართველოს გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი

— ბატონო ჯამლეთ, გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია, რა სიახლეა ტერაქტის გამოძიებაში, რა არის გამოკვეთილი და დაზუსტებული დღეისათვის?

– გამოძიების შედეგების სახალხოდ გამოტანა, გასაგები მიზეზების გამო, მიზანშეუწონელია. ზოგადი სახით კი ასე ჩამოვაყალიბებდი: ეჭვმიტანილთა დაკავება-დაპატიმრების პროცესი გრძელდება, აღმოჩენილია 10-მდე კონსპირაციული ბინა, ჩამორთმეულია ის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც ტერორისტები მოძრაობდნენ თავდასხმამდე და მის შემდეგ, ამოღებულია კავშირგაბმულობის საშუალებები, დანაშაულის იარაღები, დიდძალი საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა, ვიდეოკამერა, რომლითაც პრეზიდენტზე თავდასხმის პროცესს მტკვრის მეორე ნაპირიდან იღებდა ერთ-ერთი ტერორისტი, რათა შემდეგ თავისი „ვაჟკაცური ნახელავის“ საბუთად წარედგინა თავისი პატრონებისთვის, ალბათ, მოლაპარაკებული თანხის მისაღებად და სხვ.

იხ. მე – 3 გვ.

კორუფცია

რას იტყვის ხალხი?

გაგრძელების დასაწყისი



რას ამბობდა პრეზიდენტი

მსუბუქი ყოფაქცევის... გენერალი

ბასრი დუქარდი

იხ. მე – 4 გვ.

სასამართლო

„ციგანი“ და ქილა ერბო

გურამ პაპუკაშვილმა, ვიდრე „ალფაში“ მოხვდებოდა, სპეციალური კურსები გაიარა მოსკოვის ახლოს, — ბალაშიხაში. თავისივე თქმით, იქ ასწავლიდნენ დაზვერვას, კონტრდაზვერვას, სროლას, აფეთქებას, განაღმვას... ამიტომ გუშინ ჯაბა იოსელიანმა ჰკითხა: — მითხარი ერთი, რა მოხდა? — 29 აგვისტოს პარლამენტის ეზოში „ნივა“ აფეთქდა. ხალხი ახლოს იდგა და არავინ მომკვდარა...

იხ. მე – 8 გვ.



ინფორმაცია

ბუნდესტაგის დელეგაცია გვეწვევა

დღეს საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის დელეგაცია.

ვიზიტი სამ დღეს გასტანს. დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთან ლანა ღოღობერიძესთან, პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციებისა და კომიტეტების თავმჯდომარეებთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან.

დაკავებულია 7 ეჭვმიტანილი

„დღეისათვის 9 თებერვლის ტერაქტის განხორციელებაში ეჭვმიტანილი 7 პიროვნებაა დაკავებული, აქედან ორი მუჯდიდში გუშინ დააპატიმრეს“, – აცნობა გვას კორესპონდენტს საქართველოს ძალოვან სტრუქტურებთან დაახლოებულმა კომპეტენტურმა წყარომ. მისივე ინფორმაციით, დაკავებულთაგან ყველა ქართველია. გამოძიებამ დაადგინა, რომ ტერაქტის განხორციელებაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ჩეჩენი ეროვნების პირებიც. მისი თქმით, გამოძიებას საკმაო რაოდენობის მამხილებელი საბუთი აქვს, რომლებიც ამტკიცებს დაკავებულთა მონაწილეობას ტერაქტში. დაკითხვას იწერენ ვიდეოფირზე.

ასეთი თხოვნით არ მიუმართავთ

ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ვიცე-პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მოვლადი უდუგოვმა ჟურნალისტებთან საუბრისას დაადასტურა, რომ ჩეჩნეთის ხელისუფლება მზად არის საქართველოს პრეზიდენტის დასაცავად გამოჰყოს ეროვნული გვარდიის საუკეთესო ქვედანაყოფი, რომელიც რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს გამოიბრძმედა, თუმცა, უდუგოვის თქმით, ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება ასეთი თხოვნით მიმართავს ჩეჩნეთის მთავრობას. „ჯერჯერობით კი, ამგვარი თხოვნა არ მიგვიღია“, – აღნიშნა უდუგოვმა.

სავოსტიანოვი იგორ გიორგაძის შესახებ

დღეს სერიოზული შანსია იმისა, რომ საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი იგორ გიორგაძე, რომელსაც 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის ორგანიზებაში ედება ბრალი, დააკავონ რუსეთის სამართალდამცველებმა და გადასცენ საქართველოს ხელისუფლებას, – განუცხადა „ინტერფაქსს“ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ევგენი სავოსტიანოვმა. მისივე თქმით, რუსეთის გენერალური პროკურატურა, თბილისის მოთხოვნით, გიორგაძის ძებნას საქართველოს პრეზიდენტზე ჯერ კიდევ პირველი თავდასხმის შემდეგ აწარმოებს.

იგი დარწმუნებულია, რომ რუსეთის სამართალდამცველი ორგანოები გიორგაძის დასაკავებლად ყველა ღონეს იხმარენ. თბილისის მტკიცებით, უშიშროების ყოფილი შეფი სწორედ რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება, – აღნიშნა ევგენი სავოსტიანოვმა. მისივე განცხადებით, იგორ გიორგაძეს რუსეთის ზოგიერთი ძალოვანი სტრუქტურა არ მფარველობს.

როგორც ყელში გაჩხერილი ძვალი...

...ისეა „თბილსრესის“ მეცხრე ბლოკი საქართველოს ენერგოსისტემაში. ამ თემაზე ხვალ შემოგთავაზებთ საქინფორმის კორესპონდენტის თენგიზ ჩხიკვაძის წერილს, დღეს კი გაცნობებთ, რომ 17 თებერვალს, საღამოს „სიმენსის“ ფირმის გერმანელი სპეციალისტის მიერ განხორციელებული საჭირო სარემონტო სამუშაოს შემდეგ მეცხრე ენერგობლოკი კვლავ გვაწვდის ელექტროენერგიას.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“, „გვამ“ და „მოამბექს-პრესმა“.

ხვალ

საქმიანი ხალხის საყურადღებოდ!

„საქართველოს რესპუბლიკა“ ხვალინდელ ნომერში გამოაქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების თაობაზე“ და ამ ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებას „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“.

უკანასკნელ საათს

ლონდონი. ცხარე კამათის შემდეგ ბრიტანეთის პარლამენტმა სანქცია მისცა დიდი ბრიტანეთის მონაწილეობას ერაყის წინააღმდეგ სამხედრო აქციაში.

ჯოჰარგალა. ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა სალმან რადუევს ბრალად დასდო ჩეჩნეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ წინასწარგანზრახული ძირგამომთხრელი საქმიანობა და წინადადება მისცა, ნებაყოფლობით გამოცხადდეს პროკურატურის გამომძიებელთან ჩვენებების მისაცემად. ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „არის სახელმწიფო, არის კანონი, არის შარიათი, რომელთა წინაშე ყველა თანასწორია და ყველა პასუხს უნდა აგებდეს თავისი საქციელისათვის“. „დავიცავთ პრეზიდენტი ასლან მასხადოვი და სახელმწიფო ხელისუფლება სალმან რადუევისა და მის მსგავსთა პროვოკაციური თავდასხმებისაგან. არავის არ მივცემთ უფლებას, მოახდინოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია რესპუბლიკაში და დააშინოს მოსახლეობა“. ასეთი მოწოდებით გამოვიდა ეროვნული ტელევიზიით ჩეჩნეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი შამილ ბასაევი.

ნომერში

ტრაგედია

18 თებერვალს, დილის 03 საათსა და 46 წუთზე თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სამმართველოს კავშირგაბმულობის ცენტრალურმა პულტმა მიიღო შეტყობინება, რომ ბუდაპეშტის ქუჩაზე №2 რვასართულიანი სახლის მესამე სართულზე დავით ტორონჯაძის ბინას გაუჩნდა ხანძარი. შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ მივიდნენ საბურთალოსა და ვაკის რაიონის სახანძრო რაზმები. ოცამდე მეხანძრე თავგანწირვით შეება სტიქიას. საქმეს ართულებდა ის, რომ კარიდან ბინაში შესვლა შეუძლებელი იყო, ბობოქრობდა ცეცხლის ალი, რომელიც მეოთხე სართულის ლოჯიის ჩარჩოებსაც მოედო.

მეხანძრეებმა ქუჩის მხრიდან კიბით შეაღწიეს ალმოდებულ ბინაში და ამავე კიბით სამშვიდობოს ჩამოიყვანეს ოჯახის დიასახლისი. საუბედუროდ, ხანძარს მსხვერპლი მოჰყვა – დამწვრობის შედეგად გარდაიცვალა ოჯახის უფროსი დავით ტორონჯაძე.

ხანძრის გამომწვევი მიზეზები დგინდება.

საქინფორმი.

გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

„საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველდღიურად გამოდის და ერთი თვით ღირს 11,25 ლარი — დედაქალაქში, 13,65 ლარი — ქალაქგარეთ; სამი თვით — 33,75 ლარი დედაქალაქში, 40,95 ლარი ქალაქგარეთ; ექვსი თვით — 67,5 ლარი დედაქალაქში, 81,90 ლარი ქალაქგარეთ (შპს „საქპრესის“ და ს/ს „მაცნეს“ მომსახურების ღირებულების ჩათვლით).

ვინც უშუალოდ გაზეთის გამომცემელ შპს „პრესასთან“ პირდაპირი ხელშეკრულებით მოისურვებს „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერას, მას ბევრად იაფი დაუჯდება — ერთი თვით 9 ლარი დედაქალაქში, 10,5 ლარი ქალაქგარეთ; სამი თვით 27 ლარი დედაქალაქში, 31,5 ლარი ქალაქგარეთ; ექვსი თვით 54 ლარი დედაქალაქში, 63 ლარი ქალაქგარეთ. დაგვიკავშირდით: კოსტავას ქ. №14, ტელ: 93-26-99.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“!

კადრები

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

1998 წლის 13 თებერვალი ქ. თბილისი

მ. გვარჯალაძის ლანჩხუთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **მიხეილ გვარჯალაძე** ლანჩხუთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

1998 წლის 15 თებერვალი ქ. თბილისი

ი. გიქოშვილის ახალციხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **ივანე გიქოშვილი** ახალციხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

1998 წლის 15 თებერვალი ქ. თბილისი

დ. ლომიძის ახალციხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს **დავით ლომიძე** ახალციხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ე. შევარდნაძე.

პარლამენტი

„კავკასიური ცარცის წრე" ახლებურად

9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი იყო პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის პრესკონფერენციის თემა, რომელიც 18 თებერვალს გაიმართა.

მიხეილ სააკაშვილმა ილაპარაკა ტერორისტული აქტის შემდგომ პერიოდში სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაწეულ მუშაობაზე. „ჩვენ ხშირად ვაკრიტიკებთ მათ, მაგრამ ამჯერად დიდი თავდადება გამოიჩინეს", თქვა პარლამენტარმა, და ამასთანავე დასძინა, რომ საქმე გახსნილად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა ტერორისტული აქტის დამკვეთი გაირკვევა. ეს ფრიად საჭირო და საშურია, რადგან, წინასწარი გამოძიებით, ტერორისტულ აქტში ქართველთა მონაწილეობა დასტურდება. როგორც მიხეილ სააკაშვილმა თქვა, თითქოს შეგნებულად იკვრება წრე, რომელსაც მან „კავკასიური ცარცის წრე" უწოდა. ეს იმის მანიშნებელია, აღნიშნა სააკაშვილმა, რომ გარკვეული ძალები დაინტერესებული არიან აღნიშნული ტერორისტული აქტი შიდაკავკასიური ურთიერთობის ფარგლებში მოაქციონ, რითაც მისი საერთაშორისო ხასიათის უარყოფას ცდილობენ. რამდენიმე თვეა ამოტივტივდა ეგრეთ წოდებული „ზვიადისტთა" თემა. „ზვიადისტთა" ტერმინის „შემოგდება" მიხეილ სააკაშვილს საეჭვოდ მიაჩნია, ვინაიდან მასში კონცენტრირებულია სხვადასხვა პოლიტიკური ძალა. პარლამენტარის აზრით, ამ პოლიტიკური ძალებიდან შესაძლოა ვინმე მონაწილეობდა კიდეც ტერორისტულ აქტში, მაგრამ მთლიანად „ზვიადისტებზე" არ უნდა გადატეხონ ჯოხი ჩვენმა სამართალდამცავმა ორგანოებმა. მიხეილ სააკაშვილს მიაჩნია, რომ ამ პოლიტიკურ ძალებთან საჭიროა კონსტრუქციული დიალოგი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ერთი აბზაცით

ჟენევა – მორიგი შეხვედრა

„იბერიის" კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ მარტის დასასრულს ან აპრილის დასაწყისში ჟენევაში განახლდება ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები გაეროს ეგიდით, ეუთოს, აგრეთვე, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის მონაწილეობითა და რუსეთის შუამავლობით. კერძოდ, დაგეგმილია ჟენევის ფორმატის ფარგლებში შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის გამართვა.

ხმა ერისა

ვერაგობა და ცინიზმი ერთად

საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ამ უმნიშვნელოვანესი დარგის 30-მდე მეცნიერსა და პრაქტიკოს პოლიტიკოსს აერთიანებს, შეძრწუნებული და აღშფოთებულია 1998 წლის 9 თებერვალს მომხდარი ფაქტით. პრეზიდენტის მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტი არის სისაძაგლე და ვერაგობა, რომელმაც ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს არის სრულიად საქართველოს აბუჩად აგდება, უაღრესი შეურაცხყოფა და ბოროტი ცინიზმი.

საქართველო ამჟამად სახელმწიფოებრივი განვითარების განსაკუთრებულ ისტორიულ ეტაპზე იმყოფება. იმ პრობლემების მოგვარება, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისა და ხალხისათვის, შეუძლებელია ერის გამთლიანების, ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის, მათი ძალისხმევის გაერთიანების გარეშე.

ცხადია, ყველას აქვს უფლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი და პოზიცია. ოპოზიციურობა სრულებით არ ნიშნავს ურთიერთქიშპობას, დაპირისპირებასა და მტრობას. ხალხი გაბეზრდა. კონსტრუქციული ოპოზიცია, უპირველეს ყოვლისა, უნდა ზრუნავდეს ქვეყანაში მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და არა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებასთან ბრძოლაზე.

ხელისუფლებაში მოსულის განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა იყოს მაღალი პოლიტიკური კულტურა და ტოლერანტობა. სწორედ ამაში გამოიხატება ქართველი ხალხის სიბრძნე.

იქ, სადაც ტერორი და მუშტიკრივი პოლიტიკის საშუალებად გამოიყენება, პოლიტიკური კულტურისა და ეროვნული ცნობიერების დეფიციტია. რაც უფრო მაღალი იქნება ერის პოლიტიკური კულტურისა და ცნობიერების დონე, მით უფრო ნაკლებად შეურიგდება საზოგადოებრიობა დემაგოგიას, უგუნურებასა და უზნეობას, რაც, სამწუხაროდ, არის დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რწმენას გამოვთქვამთ, რომ მომხდარი ფაქტიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანს სრულიად საქართველო და მისი ყოველი მოქალაქე.

საქართველოს პოლიტიკურ
მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმი.

ფხიზლად, ქართველებო!

თბილისის მეტროპოლიტენის მრავალათასიანი კოლექტივი შეძრწუნებულია 9 თებერვლის ტერაქტით და მისი შემსრულებლების მზაკვრული, ვერაგული ჩანაფიქრით – მოაშთონ თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს მომავალი, ჩაკლან წინსვლის რწმენა და იმედი. დღეს ყველა კარგად ხედავს, რომ მრავალჭირგამოვლილი საქართველო ნელ-ნელა იშუშებს ჭრილობებს, განუხრელად ახორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში ექცევა. საქართველოს ლიდერის საერთაშორისო ავტორიტეტი, ბუნებრივია, გადამწყვეტია ნავთობსადენის, ევრაზიული დერეფნის მშენებლობის საქმეშიც. ისიც ბუნებრივია, რომ საქართველოს შინაურ და გარეშე მტრებს არ აწყობთ ბატონ ედუარდ შევარდნაძის ყოველმხრივ გაწონასწორებული, ბრძნული პოლიტიკა და ქვეყანაში ქაოსისა და ანარქიის დამკვიდრებას ესწრაფვიან. სამწუხაროდ, ჩვენში ციხე მუდამ შიგნიდან ტყდებოდა, ვერა და ვერ ვისწავლეთ ჭკუა, ბოროტისა და კეთილის გარჩევა. ამჯერადაც ამ აღმაშფოთებელი, საერთაშორისო ტერაქტის მონაწილენი, როგორც გამოძიების წინასწარი მონაცემები მოწმობს, ქართველებიც არიან.

მეტროპოლიტენის ოთხიათასიანი კოლექტივი სიფხიზლისკენ, გონიერებისკენ, ერთობისკენ მოუწოდებს თანამოქალაქეებს. პრეზიდენტს და თბილისელებს კი ვარწმუნებთ, რომ ჩვენი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებთ დედაქალაქის მიწისქვეშა, ყველაზე სახალხო ტრანსპორტის პრესტიჟის შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის.

მეტროპოლიტენის
კოლექტივის სახელით,
გურამ გაბუნია.

აბდულატიპოვი „ცუდად თამაშობს"

რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა რამაზან აბდულატიპოვმა მოსკოვში, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება ცუდად „ეთამაშება" ჩეჩნეთის ფაქტორს და რუსეთის ხელისუფლების ზურგს უკან მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩეჩნეთის ლიდერებთან, რაც, მისი თქმით, მოსკოვში სერიოზულ შემფოთებას იწვევს.

ირაკლი ბათიაშვილი პოლკოვნიკ მარუსინს ბრალს სდებს

„იბერიის" კორესპონდენტის ცნობით, რამდენიმე დღის წინათ, საქართველოში დისლოცირებულ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა სისტემაში სამსახურის გასაგრძელებლად, თბილისში დაბრუნდა კავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების სამხედრო დაზვერვის (გრუ) ყოფილი ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი მარუსინი. საქართველოს საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ამჟამად პარლამენტის წევრმა ირაკლი ბათიაშვილმა პოლკოვნიკ მარუსინს ბრალად დასდო 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის ორგანიზებაში თანამონაწილეობა.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა მარტში გაიმართება

„იბერიის" კორესპონდენტს საქართველოს პრეზიდენტის აპარატიდან აცნობეს, რომ 9 თებერვალს განხორციელებული ტერაქტის გამო ჩაიშალა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელიც სოხუმში უნდა გამართულიყო. მასში მონაწილეობა უნდა მიეღო საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ნიკო ლეკიშვილს.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართება მარტის შუა რიცხვებში. მოსალოდნელია, რომ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად სოხუმს ეწვევა სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი რამდენიმე მინისტრთან ერთად.

თითქმის 5 მილიონი კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად

18 თებერვალს, ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის ოფისში, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა იოჰანეს ლინმა და საქართველოს ელჩმა აშშ-ში თედო ჯაფარიძემ ხელი მოაწერეს საქართველოსათვის 4,97 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ახალი სესხის გამოყოფის დოკუმენტს. სესხის პროგრამული სახელწოდებაა – „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა" (სასწავლო და საინოვაციო სესხი). აღნიშნული სესხი საშუალებას მისცემს საქართველოს, განახორციელოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპი.

ლარის კურსი

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, განვლილ კვირაში მიდა სავალუტო ბაზარზე ადგილი ჰქონდა ლარის ბანკნოტური კურსის კორექტირებას დაწევის მიმართულებით.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული ოფიციალური კურსი კვირის განმავლობაში ერთხელ შეიცვალა და კვირის ბოლოს 1 აშშ დოლარი – 1,329 ლარის მაჩვენებელზე დაფიქსირდა.

გვეშველება!

„დაწყებულია თბილისის გაზსადენების ქსელის რეაბილიტაცია", – უთხრა დღეს სააგენტო „ელიზი-ნიუსის" კორესპონდენტს თბილისის ვიცემერმა ზურაბ ბიბილეიშვილმა. მისივე ინფორმაციით, სავარაუდოა, რომ წლის ბოლომდე დედაქალაქის გაზიფიცირებული ყველა რაიონის მოსახლეობა ბუნებრივ გაზს მიიღებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ", „ელიზი-ნიუსმა".

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

თავისუფლება და ღირსეული ცხოვრება ყოველი ადამიანის უფლებაა

1998 წლის 10 დეკემბერს სრულდება „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მიღების 50 წელი. საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანისადმი გაგზავნილ წერილში მოწოდებით მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრ სახელმწიფოს, რომ 1998 წელი – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე – აღინიშნოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის საგანგებო აქტის მიღებით, რომელიც შექმნის მათი საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებისა და უფლებების აღდგენის ქმედით მექანიზმს.

სავსებით ლოგიკურია, რომ ამ მოწოდებით საერთაშორისო საზოგადოებრიობას მიმართა სწორედ საქართველოს პრეზიდენტმა, ლიდერმა ქვეყნისა, რომელიც დღეს სეპარატისტული მოძრაობის გამო დანაწევრებულია, რომელსაც 300 ათასამდე მშობლიურ კერას მოწყვეტილი, უკიდურესად მძიმე მორალურ-ფსიქოლოგიურ და სოციალურ მდგომარეობაში მყოფი საკუთარ სამშობლოში დევნილი ჰყავს. ქვეყნისა, რომელიც მეხუთე წელია, დიდი რუდუნებითა და გულმოდგინებით ცდილობს კონფლიქტის ცივილიზებული გზით მოგვარებას და ფუძემოშლილ მოქალაქეთა კუთვნილ საცხოვრებელში დაბრუნებას.

ამაზრზენია 9 თებერვალს ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართ განხორციელებული საერთაშორისო ტერორიზმის აქტი, რომლის მთავარი მიზანი დამოუკიდებელ საქართველოში აღმშენებლობისა და დემოკრატიული იდეალებისადმი ერთგულების ჩახშობაა. არასოდეს დამავიწყდება ალმოკიდებულ სოხუმში ნადირობა ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე. მკაფიოდ იკითხება ჩვენთვის კარგად ნაცნობი ხელწერა. დამეთანხმებით, რომ ეს არის დემონსტრაცია მუშტის ქნევისა საქართველოს მიმართ, რომელიც დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისოდ აღიარებულ ზოგადზნეობრივ პრინციპებს ამკვიდრებს. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების საყოველთაო დეკლარაციის სრულყოფილად ამოქმედება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ქვეყნის გაერთიანებისა და ყველა დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ღირსეული დაბრუნების პირობებში.

თავისუფლებისა და დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგარ საქართველოში ყველაზე დაუცველი პრეზიდენტი და აფხაზეთ-სამაჩაბლოდან ფუძეაყრილი და ღირსებაშელახული მოსახლეობა აღმოჩნდა.

ჩვენი ქვეყნის ოთხი წლის ძალისხმევა აფხაზეთის დასაბრუნებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჩვენმა ქვეყანამ ამ პერიოდში დაძლია პირწმინდად წაგებული საინფორმაციო ომის შედეგები, მოიშუშა სისხლიანი სამოქალაქო ომის საშინელება, კონსტიტუციონალიზმის პრინციპს დაუქვემდებარა ქაოსისა და ნგრევის, ეროვნული არმიის არარსებობის, განუკითხაობისა და ეროვნული ეკონომიკის სრული უმოქმედობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სტაგნაციის ვითარება. ჩამოყალიბდა საარჩევნო სისტემა და მის საფუძველზე ამოქმედდა სახელმწიფო ხელისუფლების სისტემა. ხელისუფლებამ, როგორც საპრეზიდენტო, ისე საკანონმდებლო თუ აღმასრულებელმა, წარმოადგინა და შეძლებისდაგვარად ახორციელებს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას, რომლის პრიორიტეტად ქვეყნის მთლიანობის აღდგენაა მიჩნეული.

ომისშემდგომი წლების განმავლობაში სხვადასხვა კონტექსტში არაერთხელ მომიწია საუბარი აფხაზეთის საზოგადოებრიობისა და აფხაზეთის სახელისუფლო ორგანოების ადგილსა და როლზე აფხაზეთთან დაკავშირებული ურთულესი საკითხების ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტის საქმეში. გარეშე აგრესიის, გენოციდის, ეთნიური წმენდის მსხვერპლმა აფხაზეთის საზოგადოებრიობამ, იძულებით ადგილნაცვალმა თანამემამულეებმა ყველაფერი დაკარგეს, რისი დაკარგვაც შეუძლია ცოცხალ ადამიანს, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას არ დაუკარგავს სამშობლოს სიყვარული და რწმენა დაბრუნებისა. რაც შეეხება აფხაზეთის სახელისუფლებო საკადრო კორპუსს, პირველ ყოვლისა, უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს (მათ პირველებმა იწვნიეს სეპარატისტთა მხრიდან სამშობლოს ღალატის ფასი), ამ წლების განმავლობაში სირთულეების მიუხედავად, ასრულებდა და, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც შეასრულებს კონსტიტუციურ მოვალეობას. ჩვენი ხედვა აფხაზეთსა და დევნილებთან დაკავშირებულ საკითხებზე ამ წლების განმავლობაში პირუთვნელად წარმოგვიჩენია, ყოველდღიური საქმიანობა მთავარ მიზანს ემსახურება და ნურავინ მოგვთხოვს იმას, რისი გაკეთებაც სცილდება ჩვენს შესაძლებლობებს და კომპეტენციას.

ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს თვითკმაყოფილებისა. პირიქით, ვალდებული გახლავართ დავძლიოთ ნაკლოვანებები, დოგმატიზმი და ლაყბობა. ჩვენ პრაგმატული აზროვნებით უნდა ვიცხოვროთ და ვიბრძოლოთ. დრო არ ითმენს. პოლიტიკური ცაიტნოტი აფხაზეთთან დაკავშირებით, გვიბიძგებს კარგად გათვლილი, შემტევი, მკაცრად დაბალანსებული, რაციონალური პოლიტიკის გატარებისაკენ. ჩვენ შეცდომების ლიმიტი მთლიანად ამოვწურეთ, ჩვენ შეცდომის უფლება არა გვაქვს. უნდა ვიყოთ ამ მიზნის ღირსნი.

პრეზიდენტის ბოლოდროინდელ გამოსვლებში ახლებურად ჩამოყალიბდა მისი ხედვა აფხაზეთში კონფლიქტის სამართლიანი გადაწყვეტის პრობლემებზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველომ განვლო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების რთული და მტკივნეული ეტაპი, გამოითქვა იდეა აფხაზეთში მშვიდობის დასამკვიდრებლად იძულების მექანიზმის ე. წ. „ბოსნიური ვარიანტის" გამოყენების თაობაზე.

ამ იდეამ მხარდაჭერა ჰპოვა, ვინაიდან კონფლიქტის მოგვარების სადღეისო რეალური ვითარება ვერანაირად ვერ უპასუხებს ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების ნებას. გაერო მიიჩნევს, რომ რადგან დღეს მასობრივი ეთნიური ხოცვა-ჟლეტა არ არის, ვითარება ერთ მშვენიერ დღეს მოწესრიგდება. ეუთო გაუბედაობას იჩენს, ვინაიდან გაეროს ვერ ეწინააღმდეგება. დსთ, როგორც რეგიონული ორგანიზაცია, სიმბოლური ხასიათისაა და ქმედითუუნარო, პირველ ყოვლისა, საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების მექანიზმებიც არ გააჩნია. ხოლო, რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, როგორც დაინტერესებული მხარე, იგი ვერ გასცდა დეკლარირებას საერთაშორისოდ აღიარებულ, საქართველოს სუვერენიტეტისა და განუყოფლობის თაობაზე და ვერც წამყვანი როლის შესრულებას ელევა.

ბალკანეთის პირობებში გაეროს ეგიდით ნატოს, როგორც ჩრდილოატლანტიკური რეგიონული ორგანიზაციის შესაძლებლობების გამოყენების პრეცედენტი, პრაქტიკული მნიშვნელობით საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა.

მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციამ დაპირისპირებულ ძალთა დამორიშორებისა და ცეცხლის შეწყვეტის კონცეფციით ვერ ჰპოვა შემდგომი განვითარება (თუნდაც გალის რაიონში) და ფაქტობრივად კონფლიქტის გადაწყვეტაში ხელოვნური ბარიერის მისიად აღიქმება.

დასკვნა მარტივია. კომპლექსური გადაწყვეტის კონტექსტში იძულების მექანიზმის დომინირების პერსპექტივა „ბოსნიის ოპერაციის" გამოცდილების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, აფხაზეთში კონფლიქტის პოლიტიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით ე. ი. გარკვეული მოდიფიკაციით, მხოლოდ დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების (ბოსნია-ჰერცოგოვინას შესახებ) გაეროს წესდების VII მუხლის რეალიზაციის გზით.

8 იანვრის ერთობლივ გაფართოებულ სხდომაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმების მიერ მიღებულ დადგენილებაში ჩამოყალიბდა ჩვენი კოლექტიური ხედვა აფხაზეთში პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის საკითხებისადმი.

დევნილთა სოციალური მხარდაჭერის პრობლემები აქტუალური და რთული თემაა. ამ საკითხებზე მუშაობა 5 წლის გამოცდილების გათვალისწინებით მიმდინარეობს. ბევრი გაკეთდა, უფრო მეტი იგეგმება სადღეისოდ და სამომავლოდ, აფხაზეთში დაბრუნების პირობებშიც.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. სახელმწიფო დღეს დევნილთა რეალური სასიცოცხლო მოთხოვნების მინიმუმსაც ვერ უზრუნველყოფს (ვგულისხმობ საცხოვრებელი ფართის გამოყოფით დაწყებული და დაკარგული ქონების დაბრუნების, სოციალური მომსახურებით დამთავრებული), ვინაიდან სურვილები სცილდება რეალურ შესაძლებლობებს. ჩვენი ქვეყანა ცდილობს მხოლოდ შესაძლებლობის მაქსიმუმის უზრუნველყოფას, დევნილთა უმძიმესი მდგომარეობის შემსუბუქებას.

სახელმწიფო პოლიტიკა დევნილთა სოციალურ-ყოფითი პრობლემების მოგვარების ურთულეს საკითხებში ჩამოყალიბებულია მრავალ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებაში.

გაწეული მუშაობის მიუხედავად, დევნილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა სოციალური პრობლემების მოგვარების საქმეში კვლავაც გადაუწყვეტელია საარსებო მნიშვნელობის მრავალი საკითხი. მათი გადაჭრა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ზამთრის სეზონის ფონზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გამოიკვეთოს მთავრობის წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი დევნილი მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად პრეზიდენტის აქტებისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის შესასრულებლად გაწეული მუშაობის გათვალისწინებით.

საკმაოდ ხშირად გვესმის, თითქოს კონფლიქტი ჩამქრალია, შეწყვეტილია შეიარაღებული დაპირისპირება, ძალები დამორიშორებულია და რეალურად დგება ჟამი ურთიერთშეთანხმებული ჰუმანური ხასიათის ღონისძიებების გატარებისა, დაწყებული ნებაყოფლობით დაბრუნებით და დამთავრებული სარეაბილიტაციო ღონისძიებებით. ეს ცალმხრივი და კატეგორიულად მიუღებელი შეფასებაა. კონფლიქტის კონსერვაცია ახალ, უფრო დიდ სისხლიან ტრაგედიას გვიმზადებს.

დღევანდელი ე. წ. სტატუს კვოსადმი მაქსიმალური შემგუებლობა, ვითარების შემსუბუქება კი არ უნდა ჩაითვალოს პრიორიტეტად, არამედ აფხაზეთის ტრაგედიის ძირითადი სადავო პრობლემების გადაწყვეტა, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში და უკლებლივ ყველა ლტოლვილის და დევნილის უპირობო დაბრუნება. ეს საქმიანობა კონფლიქტის დაძლევის ეფექტიან საშუალებად უნდა იქცეს.

შეუძლებელია დღეს ამ სტატიაში მოვახდინო კონფლიქტის გენეზისის ანალიზი, შევეხო აფხაზეთში ქვეყნის გარეშე ძალების მხარდაჭერით ხელოვნურად შექმნილი ეთნო-პოლიტიკური დაძაბულობის ყველა ასპექტს, თუნდაც აფხაზეთის ტრაგედიის შედეგების ზოგად წარმოჩენას. არძინბასეულმა აფხაზურმა სეპარატიზმმა გაუგონარი ტრაგედია დაატრიალა საქართველოს ამ ძირძველ მხარეში, სადისტური მეთოდებით განხორციელდა და დღესაც აგრძელებს ქართველთა გენოციდსა და ეთნიურ წმენდას, აფხაზეთში ქართული ფუძის მოშლას, არააფხაზი მოსახლეობის, უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტას. ტრაგიკულია თვით ჭეშმარიტ აფხაზთა ხვედრი, რომლებმაც არ გაიზიარეს საქართველოს წინააღმდეგ მეთქმულება და არ უღალატეს მას. შეუძლებელია სიტყვებით აღწერა იმ ბარბაროსობის, ცინიზმისა და სადიზმის ფაქტებისა, რომლებიც დღესაც ხდება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მთელი მსოფლიო შეძრა ამ სისასტიკემ.

ამ დღეებში აფხაზეთში „უსაფრთხოების ზონად" მონათლულ რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კვლავ მოხდა აღმაშფოთებელი ფაქტები. გალის რაიონის სოფლებში დიხაზურგასა და თაგილონში, სამშვიდობო ძალების საგუშაგოების უშუალო სიახლოვეს, კბილებამდე შეიარაღებულმა აფხაზმა ბოევიკებმა მძევლად აიყვანეს 40-მდე ადამიანი, მათ შორის ქალები, ბავშვები, უმწეო მოხუცები.

შემზარავი ცინიზმითა და განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეულ ამგვარ მოქმედებებს სისტემატური და გეგმაზომიერი ხასიათი აქვს. ისინი ყოველთვის გათვლილია დროში და მისადაგებულია შექმნილ ვითარებას და უდავოა, რომ ეთნიური წმენდისა და გენოციდის მიზანმიმართულ პოლიტიკას ემსახურებიან.

უტყუარი ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში დაგეგმილია ანალოგიური სადამსჯელო ოპერაციების ჩატარება გალის რაიონის სხვა სოფლებშიც.

ეს ყველაფერი ხდება დღისით, მზისით, ე. წ. მშვიდობისმყოფელთა თვალწინ, მათი დანაშაულებრივი წაყრუებისა და უმოქმედობის პირობებში. საკმარისია ითქვას, რომ „სამშვიდობო ოპერაციის" დაწყებიდან დღემდე მარტო გალის რაიონში დახოცილი და ნაწამებია 1200-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, გადამწვარია ათასობით სახლი, კარ-მიდამო, განადგურებულია სკოლები, საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები, კულტურის ძეგლები, ჩადენილია მასობრივი ვანდალიზმის, ადამიანთა უფლებებისა და ღირსების შელახვის გაუგონარი ფაქტები. გენოციდი გრძელდება.

სამშვიდობო ძალებმა მეტის გაკეთება ჯერ ვერ შეძლეს. თუმცა მოიპოვება უტყუარი ინფორმაცია სამშვიდობო ძალების კონტინგენტის, განსაკუთრებით, ოფიცრების დანაშაულებრივი კავშირის შესახებ „უსაფრთხოების ზონაში" მოთარეშე აფხაზ ბოევიკთა ბანდიტურ ფორმირებებთან. დადგენილია სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა მიერ გალის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი მოქმედების არაერთი ფაქტი.

დღეს ყველა დევნილი იძულებულია იარაღით ხელში დაიცვას შელახული ღირსება და დაიბრუნოს საკუთარი მიწა-წყალი.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო თავს ვალდებულად ვთვლით გვერდში დავუდგეთ გაწამებულ ხალხს და გავიზიაროთ მათი ხვედრი.

ჩვენ ვერ დავუშვებთ მდგომარეობის ასე გაგრძელებას. იძულებული ვართ მივმართოთ ყველას, მთელს მსოფლიოს, რომ მოსალოდნელია სერიოზული საფრთხე, რომელმაც შესაძლებელია, ლოკალურად უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღოს, გასცდეს საქართველოს, მთლიანად კავკასიის ფარგლებს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

მივმართავთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს მიიღოს გადამჭრელი ზომები აფხაზეთში კონფლიქტის უმოკლეს ვადაში მოსაწესრიგებლად. ღრმად გვწამს, რომ იგი გულთან ახლოს მიიტანს ასიათასობით ადამიანის – ბავშვების, ქალების, მოხუცების, ინვალიდების, უსახლკაროდ დარჩენილი და უსამართლოდ გაწირული ადამიანების სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრამდე მიტანილ სასოწარკვეთილ განსაცდელს და შეასრულებს თავის დანაპირებს აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში.

ჩვენ მივმართავთ გაერო-ს გენერალურ მდივანს ბატონ კოფი ანანს აფხაზეთიდან 300 ათასი დევნილი მოსახლეობის სახელით, ქმედითი ზომები გაატაროს აფხაზეთში კონფლიქტის მოსაგვარებლად. იმის გათვალისწინებით, რომ კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკური, დღემდე გამოყენებული არსენალი მთლიანად ამოწურულია, შესაძლებლად მიიჩნიოს მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციის მშვიდობისათვის იძულების ოპერაციით შეცვლა და ერთმნიშვნელოვნად დააყენოს აღნიშნული საკითხი გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე.

გვჯერა, რომ ჩვენს ხმას გაიგონებენ.

ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში შეიქმნა ადამიანის უფლებების დაცვის ქვედანაყოფები, რომლებმაც, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შექმნეს ამ სფეროში პრობლემებზე მუშაობის მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სისტემა. სახალხო დამცველის, ომბუდსმენის ინსტიტუტის დამკვიდრება კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ქვეყანა მტკიცედ ადგას დემოკრატიული აღმშენებლობის გზას.

აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ობიექტური სირთულეების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველის ინსტიტუტის შემოღება საქართველოს კანონის „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" მოთხოვნათა გათვალისწინებით. მზადდება წინადადებები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ.

1946 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ლტოლვილთა დაცვის საკითხებზე, ხოლო 1951 წლიდან ამოქმედდა გენერალურ ასამბლეას დაქვემდებარებული ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატი. კომისარიატი ამოქმედდა, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ჩვენ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით სამართლიანად მოვითხოვთ კომისარიატის საერთაშორისო შესაძლებლობების მნიშვნელოვან გააქტიურებას ლტოლვილთა და დევნილთა სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად.

ჩვენ დღემდე არ ვიცნობთ კომისარიატის ობიექტურ საექსპერტო დასკვნებს აფხაზეთიდან იძულებით განდევნილი ადამიანების უფლებების დაცვის მდგომარეობისა და პერსპექტივის თაობაზე, როგორც კონფლიქტის ზონაში, ისე მთელს ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. იქნებ დადგა საქართველოში ლტოლვილთა და დევნილთა უფლებების დაცვის ევროპული მექანიზმების აქტიური გამოყენების დრო. საქართველო ევროპის საბჭოში სპეციალური სტუმრის სტატუსით სარგებლობს და ვიმედოვნებთ, უახლოეს პერსპექტივაში გაწევრიანების რეალური შესაძლებლობები გააჩნია.

აუცილებლად მივიჩნევთ, ვთხოვოთ პრეზიდენტს მისი ბრძანებულებით შეიქმნას მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა აფხაზეთში, მთელს ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეების უფლებების დაცვის სფეროში შექმნილი რეალური მდგომარეობის სისტემატური მონიტორინგების, საერთაშორისო ექსპერტიზების მოწყობის, ამ პრობლემებზე ინფორმაციის სისტემატიზაციისა და გავრცელების საკითხებზე მიმდინარე და პერსპექტიულ მუშაობას, დოკუმენტური მასალების მომზადებას საერთაშორისო ტრიბუნალისადმი წარსადგენად.

იმედი გვაქვს, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" საიუბილეო თარიღი დასაბამს დაუდებს დუხჭირი ყოფითა და მშობლიურ კერაზე დაბრუნების ლოდინით შეჭირვებულ ადამიანთა დაცვას და სამართლიანობის აღდგენას.

ზურაბ ერქვანია,
აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე.

აფხაზეთის დაბრუნება

აფხაზეთი დავიბრუნეთ! შეიძლება, ეს ფრაზა უცნაურად გეჩვენოთ და სიბრალულით შემომხედოთ. ტყუილად გეცოდებით. სრულ ჭკუაზე ვარ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენთან ერთად მეც ვხედავ ასეთ სურათს: ჩიხში დგას მატარებელი, რომელსაც „აფხაზეთი" ჰქვია, ვაგონებში მიყუჟულა რამდენიმე აფხაზი, რომელთაც არც გარეთ უშვებენ და არც იმის იმედი აქვთ, რომ მატარებელი ოდესმე ადგილიდან დაიძვრება. კიბეებთან მიმდგარა აუარებელი ქართველი, რომელთაც „პრავადნიკები" არ უშვებენ...

ასეთია დღეს სურათი! და მაინც, ჯიუტად ვიმეორებ: აფხაზეთი დავიბრუნეთ!

იბრუნებენ, ჩვეულებრივ, იმას, რაც დაკარგეს. თანახმა ვარ: ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი, მაგრამ დავკარგეთ არა მაშინ, როცა ომი წავაგეთ, არამედ გაცილებით უფრო ადრე! ომის წაგებისთანავე დაიწყო მისი დაბრუნება. პარადოქსია, მაგრამ ასეა! აფხაზეთი დავკარგეთ მაშინვე, როგორც კი „შეგვეძინა" ჩვენს შემდეგ დაბადებული „უფროსი ძმა". განა დაკარგული არ იყო იგი, როცა ქართულად დალაპარაკება შუაგულ რუსეთში უფრო უსაფრთხო იყო, ვიდრე აფხაზეთში? განა იგივე კაკუბავა ოჯახში, სამზარეულოში თუ დაილაპარაკებდა ქართულად, თორემ გარეთ სულ გამართული რუსულით არ ყლურტულებდა? აფხაზეთი დაკარგეს არა მარტო ქართველებმა, არამედ აფხაზებმაც და შორს არ იყო ის დრო, როცა სოხუმიც გაიზიარებდა ჩვენი საუკუნის ჯერ კიდევ 20-იან წლებამდე არსებული პატარა ქართული დაბის, სოჭის ბედს, სულ მალე დიდ რუსულ ქალაქად რომ გადაიქცა!

აფხაზეთი დავიბრუნეთ! დიახ, დავიბრუნეთ, რადგან მოსახლეობის უმრავლესობამ სისხლისა და ცრემლის, ხანძრისა და ჩამქრალი კერის ფასად გაიცნობიერა, რომ აფხაზეთი საქართველოა! ეს არის ნამდვილი დაბრუნება, როცა გულში ის ცეცხლი ანთია, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია. ის ჩამქრალ კერაზეც შეგვაძლებინებს ცეცხლის დანთებას!

მატარებელი არ შეიძლება დიდხანს იდგეს ჩიხში. დიდხანს ვერც „პრავადნიკები" გაძლებენ, რადგან აფხაზეთი დავიბრუნეთ!

როგან მიმინოშვილი.

გამოძიება: ექსკლუზიური ინტერვიუ

„კუდიანებზე ნადირობა“ არ იქნება

ნომრის სტუმარია საქართველოს გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი

რაც შეეხება სიახლეებს, ისინი ყოველდღეა, მაგრამ ამჯერად, მაპატიეთ, თუ ცოტა სიტყვაძუნწი ვიქნები.

— როგორ ფიქრობთ, რადუევის განცხადება მართლაც რუსეთის სპეცსამსახურების ინსპირირების შედეგია? როგორ წარმოგიდგენიათ კავშირი შეურიგებელ ჩეჩენ საველე მეთაურსა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის? ყველა შემთხვევაში თავისუფლდებიან თუ არა ოფიციალური რუსეთი და ოფიციალური გროზნო პასუხისმგებლობისაგან?

— მძიმე და საპასუხისმგებლო კითხვებია. ჯერჯერობით, საქმის მასალების მიხედვით, რამე კატეგორიულის თქმა შეუძლებელია. გამოძიების მიერ ყველა შესაძლო ვერსია მოწმდება და როდესაც ფინალს მივაღწევთ, ალბათ, შესაბამისი პასუხებიც გვექნება.

ერთი რამ კი აქედანვე შეიძლება ითქვას: ოფიციალურ გროზნოს არანაირად არ უნდა აძლევდეს ხელს საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავება. ყოველივე ეს მხოლოდ მესამე ძალის ინტერესებში უნდა შედიოდეს.

— არის ცნობა, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ა. მასხადოვმა ჯერ კიდევ დეკემბერში გააფრთხილა საქართველოს შესაბამისი სტრუქტურები იმის შესახებ, რომ მოსალოდნელი იყო დაღესტნის ან ჩეჩნეთის ზოგიერთი მოქალაქის მონაწილეობა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციებში. ბაქოში ე. შევარდნაძის ვიზიტისას რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა კულიკოვმა გააფრთხილა ბატონი კახა თარგამაძე, რომ მოსალოდნელი იყო ტერაქტი, რატომ არავინ ყურად არ იღო ეს გაფრთხილებები? რატომ იძლეოდა ბატონი კ. თარგამაძე დამამშვიდებელ დაპირებებს, ვერავინ ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებსო? 9 თებერვლის ტერაქტმა გამოავლინა ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების მთელი უსუსურობა და მოუქნელობა. თქვენი აზრით, მოსალოდნელია თუ არა ცვლილებები ძალოვან სტრუქტურებში და თუ არის, რამდენად წაადგება ეს ჩვენს ქვეყანას დღეს?

— ბატონი კულიკოვი რაზე ესაუბრა ჩვენს შინაგან საქმეთა მინისტრს ბაქოში, ვერ გეტყვით. ამაზე, ალბათ, თავად ბატონი კ. თარგამაძე გიპასუხებთ. თავისთავად, ზოგადი გაფრთხილება ჯერ კიდევ ყველაფერს არ ნიშნავს. მთავარია ცალკეული შტრიხების ცოდნა მაინც. ასეთი რამ რომ ყოფილიყო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ვფიქრობ, შეძლებდა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას.

ნუ ვიქნებით ძალიან მკაცრი და არაობიექტური ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების მიმართ. მათ ერთხელ კიდევ მკაფიოდ დაამტკიცეს, რომ ცუდი პროფესიონალები არ არიან — შემთხვევიდან თითქმის 4 დღეში გახსნეს ტერაქტი. ისე რომ, პროფესიული პოტენციალი, როგორც იტყვიან, სახეზეა. რაც შეეხება დანაშაულის პროფილაქტიკას, — პირველ რიგში, შესაბამისი ოპერატიული ინფორმაციების შეკრებას მოსალოდნელ დანაშაულზე, აქ კი გულწრფელი უნდა ვიყოთ და სამართლიანი კრიტიკა კრიტიკად მივიღოთ. თუმცა, აქაც უნდა გავითვალისწინოთ ობიექტური ხელისშემშლელი პირობები. საზოგადოებრიობას არ უნდა დაავიწყდეს, გუშინ და გუშინწინ რა დღეში იმყოფებოდნენ ჩვენი ძალოვნები. მათი ბრძოლისუნარიანობის აღდგენა მხოლოდ ბოლო ხანებში მოხდა და დღესაც გრძელდება სახელმწიფოს საბოლოო ფორმირებასთან ერთად.

დღეს სიფხიზლე, ალბათ, ჩვენ ყველას ერთად გვმართებს, რადგან საქართველოს გარშემო ბევრია ცხელი წერტილი და ბოროტი ძალა. და ეს „ბოროტი ძალები არ ისვენებენ არც ქვეყნის შიგნით და არც მის გარეთ“ — ეს საქართველოს პრეზიდენტის გამაფრთხილებელი სიტყვებია.

რაც შეეხება ცვლილებებს ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობაში. ამაზე საქართველოს პრეზიდენტმა უკვე ბრძანა 10 თებერვალს მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას: მან კიდევ ერთხელ მოგვცა ნდობის კრედიტი, რაც ოთხი დღის შემდეგ თავენად იქნა განაღდებული, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ქვეყნის ხელმძღვანელის ცხოვრებისეული სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა — გადასასვლელზე ცხენებს არ ცვლიან.

საქმის გამოძიება ეს-ესაა დაიწყო, წინ ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეა გადასალახავი, რომელთა დაძლევაც ჩვენს ძალოვანებს ნამდვილად ძალუძთ, მხოლოდ ერთი პირობით: თუ ვინმეს დახმარება არ შეუძლია, ხელს მაინც ნუ შეგვიშლის მუშაობაში. ესეც დიდი შეღავათი იქნება ჩვენთვის.

— ამბობენ, რომ, შემსრულებელთა შორის 6 კაცი ჩეჩენია. ხომ არ ეხმაურება ეს სალმან რადუევის განცხადებას და ხომ არ გაგვირთულებს ურთიერთობას იჩქერიის რესპუბლიკასთან?

— ვფიქრობ, საამისო საფუძველი არ არსებობს. ამის შესახებ გარკვევით გაიჟღერა იჩქერიის ხელმძღვანელობის განცხადებაში, ხოლო თვით ს. რადუევის მიმართ, ხსენებული განცხადების გამო, იქაურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა.

დამნაშავეობას ეროვნება არა აქვს. მერე რა, რომ თავდამსხმელთაგან 6 არაქართველი იყო. მათი საბოლოო ვინაობა ჯერ კიდევ დასადგენია. როცა შენიანი არ გინდობს და თვითონ მოუძღვის უცხოს შენს დასაქცევად, აქ გასაკვირი და გასაცხარებელი არაფერია. ქართველები, რა, სხვაგან არ ჩადიან დანაშაულს?

— ბუნდოვანი ცნობებია ხუციშვილის ქუჩაზე მიკვლეულ საიდუმლო ბინაზე. რას გვეტყოდით კონკრეტულად?

— კონსპირაციული ბინები ბევრია აღმოჩენილი, სადაც თავს აფარებდნენ ტერორისტები და ამუშავებდნენ თავდასხმის დეტალებს. იქვე ინახავდნენ საჭურველსა და კავშირგაბმულობის საშუალებებს. ყველა ეს ბინა დათვალიერებულია გამოძიების მიერ და ამოღებულია დიდძალი ნივთიერი მტკიცებულება.

— ბაბუშკინის ქუჩაზე ნაპოვნი მსუბუქი ავტომანქანა საბოლოოდ უკავშირდება ტერაქტს?

— უეჭველად, რადგან მანქანის საბარგულში ნაპოვნია დანაშაულის იარაღების ნაწილი და სხვა სამხედრო აღჭურვილობა. ნაპოვნია, აგრეთვე, გამოძიებისათვის მეტად მნიშვნელოვანი სხვა საგნებიც.

— ვაზიანის აეროდრომზე, სადაც იშვიათადღა ფრენენ თვითმფრინავები, ზუსტად ტერაქტის ღამეს ჩამოფრინდა და დილასვე გაფრინდა თვითმფრინავი. მოწმდება ეს ვერსია? თუ მოწმდება, რა წინასწარი მონაცემები გვაქვს?

— ვაზიანის აეროდრომის თემა ყურადღების ცენტრშია, რადგან სწორედ ამ აეროდრომიდან გაიპარა ი. გიორგაძე 1995 წელს თავის თანამზრახველებთან ერთად. ტერაქტის მეორე დღეს მართლაც გაფრინდა იქიდან თვითმფრინავი ქართველი სამხედროების დასტურით. ამ თვითმფრინავის სალონი ქართულ მხარეს გაფრენის წინ არ დაუთვალიერებია. ამ საკითხებზე სამხედრო პროკურატურაში აღძრულია სპეციალური სისხლის სამართლის საქმე და მიდის გამოძიება.

— უკვე ცნობილია შემსრულებლები. ვინ არიან ისინი, რა მიზნები ჰქონდათ, როგორი საქართველოსთვის აკეთებდნენ ყველაფერ ამას? მაგრამ ერთია შემსრულებელი და სხვაა დამკვეთი ყოველივე ამ ამბისა. თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს დამკვეთი?

— ტერაქტის შემსრულებელი სულ ცოტა 20 კაცი იყო. აქედან 14 ქართველია, პროზვიადისტური მიმართულებისა. მიზანი ჰქონდათ ერთი — ხელისუფლების შეცვლა პრეზიდენტის განადგურებით. დამკვეთებზე ამ ეტაპზე ნაადრევია მსჯელობა, თუმცა, უკვე არის გამოკვეთილი კონტურები. მათ შესახებ ცოტა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

— თქვენთვის (გამოძიებისთვის) ძალიან მოულოდნელი იყო ამ საქმეში ზვიადისტთა აქტიური მონაწილეობა? ისინი ძირითადნი არიან თუ უბრალო პაიკები?

— თუ ეს ძალები ანაქრონიზმად ქცეულ სხვადასხვა თავყრილობისა და ეგზალტირებული მიტინგების იქით ასეთ რადიკალურ ნაბიჯზე წავიდოდნენ, ბევრს არ სჯეროდა, რადგან ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი. არა მგონია, დღევანდელ პირობებში ჭკუათამყოფელი ადამიანი გამოდიოდეს ლოზუნგით, — ძირს ხუნტა და უკანონო მთავრობაო, როცა ქვეყანა ექსპრეზიდენტის შემდეგ მესამე კანონიერი არჩევნებისათვის ემზადება, როცა ხელისუფლებამ შერიგებისკენ არაერთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა და, რაც ყველაზე მთავარი და სულის შემძვრელია, 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ სასწაულებრივად გადარჩენილმა პრეზიდენტმა 10 თებერვალს მთავრობის სხდომაზე მაინც ისევ შერიგებაზე ილაპარაკა. ყველაფერ ამას ღრმა ანალიზი და გაგება უნდა — სამშობლოს სიყვარულზე მონოპოლიის გამოცხადების უფლება, ალბათ, არავის არა აქვს.

რაც შეეხება პაიკებს. დასანანია, რომ ჩვენი თანამემამულეები (მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა) სხვის თამაშს თამაშობენ და ვერ ხედებიან, რომ თოჯინები არიან სხვათა ხელში. ის „სხვა“ კი არად დაგიდევთ არც მათ პირად და არც მათი და ჩვენი სამშობლოს ინტერესებს. მას სულ სხვა რამ აქვს ჩაფიქრებული.

— ხომ არ ხდება ზვიადიზმის რეანიმაცია და ვის ინტერესებში შედის იგი?

— მე პოლიტიკოსი არ გახლავართ, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ზვიადიზმის რეანიმაციასთან ერთად იწყება მისი კრიმინალიზაციაც. ამ მოძრაობამ დაკარგა ხალხში დასაყრდენი. ამან გააღიზიანა და გარკვეული აგრესიულობა შესძინა (რადიკალური ლოზუნგები, მოწოდებები, გამომწვევი თავყრილობები, დაპირისპირება პოლიციასთან და სხვა). როცა ხალხის მხარდაჭერა მოაკლდათ და დარწმუნდნენ, რომ ხელისუფლებაში ადვილად ველარ დაბრუნდებოდნენ, აირჩიეს ანტიკონსტიტუციური მეთოდები, რამაც ისინი ტერორიზმამდე მიიყვანა. სწორედ ეს ერთადერთი გზაღა დარჩა ყოფილი ხელისუფლების ნომენკლატურას ხელისუფლებაში ისევ დასაბრუნებლად. ხალხს კი არც ეკითხებიან, მიიღებს თუ არა მათს მმართველობას, ეს ხომ ახალი სამოქალაქო ომია, ქაოსი და არეულობაა, რომელიც იქ, შორს, მესამე ძალის ინტერესებშია და არაფერი აქვს საერთო წმინდა ქართულ ეროვნულ ინტერესებთან.

უფრო ღრმა და საფუძვლიანი დასკვნები, ალბათ, 9 თებერვლის ტერორისტული აქტის გამოძიების შემდეგ გაკეთდება, როდესაც შემსრულებლების გვერდით საბრალდებო სკამზე დამკვეთებიც დასხდებიან.

— ვინ აფინანსებს ამ „პროზვიადისტურ“ ძალებს, საიდან იღებენ ისინი სახსრებს?

— 9 თებერვლის ტერაქტთან დაკავშირებული პროზვიადისტური ძალები დაფინანსებული იყო ახლო საზღვარგარეთიდან. თუ კონკრეტულად ვის მიერ, დღეს ამის დაზუსტებაზე თავს შევიკავებ.

— როგორც საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, საგურამოსთან აღმოჩენილი დიდძალი საბრძოლო იარაღის სამალავში, სხვა საჭურველთან ერთად, ნაპოვნია თ. კიტოვანის შაშხანა, რომელიც მისთვის წარწერით უჩუქებია ამიერკავკასიის მაშინდელი სამხედრო ოლქის სარდალს პატრიკეევს. ამ იარაღის გამოჩენა ხომ არ ნიშნავს თ. კიტოვანის კავშირს 9 თებერვალს მომხდარ ტერორისტულ აქტთან?

— ასეთი იარაღი მართლაც იქნა ნაპოვნი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. თუ რა პირობებში მოხდა იმ საჭურველში თ. კიტოვანის საბრძოლო შაშხანა, ეს ცალკე გამოკვლევას მოითხოვს. გამოძიება მუშაობს ამ მიმართებითაც და წინასწარ რაიმე დასკვნის გაკეთება ამ ეტაპზე ნაადრევად მიმაჩნია.

— როგორია თქვენი აზრი პარლამენტში „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენელთა შესაძლო ყოფნის შესახებ?

— საქართველოს კონსტიტუციით, პროკურატურა ძალოვან სტრუქტურად არ მოიაზრება, იგი სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებაა და ამდენად, მოკლებულია ოპერატიული ინფორმაციების მოპოვების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მიჭირს კონკრეტულად რაიმეს თქმა. ამ საკითხებზე მუშაობა ძირითადად სახელმწიფო უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურების პრეროგატივაა. ასე რომ, პასუხიც ამ კითხვაზე იმათთან უნდა ვეძებოთ.

— ამ დღეებში თქვენ რუსეთის გენერალურ პროკურორს ა. სკურატოვს განმეორებით თხოვეთ ი. გიორგაძის გადმოცემა. როგორ ფიქრობთ, ამჯერად მაინც გასჭრის? და, საერთოდ, რა არგუმენტებს, იურიდიულ ნორმებს ეფუძნება მათი უარი?

— ჩვენი მოთხოვნა სავსებით კანონიერია, როგორც სახელმწიფოთაშორისი, ისე საერთაშორისო ხელშეკრულების გათვალისწინებით. რუსეთის პროკურატურა და მისი გენერალური პროკურორი, ვფიქრობ, აქ ნაკლებად არიან დამნაშავე. იგორ გიორგაძის გადმოცემის საკითხი სხვა უწყებებში მუხრუჭდება და თანდათანობით პოლიტიკურ შეფერილობას იძენს.

ერთი წუთით დააკვირდით ი. გიორგაძის დანაშაულებრივი ჯგუფის მონაწილეები: თ. ხაჩიშვილი, გ. პაპუკაშვილი და სხვები, რა სითბოთი და მოწიწებით ლაპარაკობენ სასამართლო პროცესზე ი. გიორგაძის შესახებ, როგორც „მესიაზე“, რომელიც დღეს თუ არა, ხვალ უეჭველად დაბრუნდება საქართველოში თეთრ ცხენზე ამხედრებული, მათ დაიხსნის და ჩვენ დაგვსხამს საბრალდებო სკამზე.

როგორც ჩანს, ამ ბოდვით იდეაში ვიღაც ხედავს რეალობის ელემენტებს და ცუდად უკირკიტებს გიორგაძის „კარტს“.

გიორგაძის გარდა, რუსეთს ჩვენი სხვა „ვალიც“ აქვს. ესენი არიან ის ძებნილები, რომლებიც იმხილებიან სხვადასხვა უმძიმეს დანაშაულში ქართველი ხალხის წინაშე: ავადცნობილი ნასყიდაშვილი, გულიევი, ექსპრეზიდენტის ნომენკლატურული პირები გ. აბსანძე, ტ. გულანტაია და სხვები, რომელთაც უმძიმესი როლი შეასრულეს ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის გაჩაღებაში და სხვა.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გ. აბსანძემ უკვე „მოახერხა“ რუსეთის მოქალაქეობის მიღება, წარმატებით საქმიანობს დიდ ბიზნესში და საკმაოდ სოლიდური კაპიტალის პატრონია. უფრო მეტიც, არის მონაცემები, რომ იგი ცრუმაგიერი პირების საშუალებით აქტიურად მონაწილეობს საქართველოში გამართულ ნულოვან აუქციონებში და საკმაოდ დიდ ქონებასაც გამოჰკრა ხელი. აბსანძის კაპიტალი რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სასიკეთოდ არ იმუშავებს, ამაში, ალბათ, ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს. ასე რომ, ბევრ რამეზე გვმართებს დაფიქრება.

— რაიმე კვალი მიდის ი. გიორგაძესთან? შემთხვევითად გეჩვენებათ, რომ მისი ახლობლები ტერაქტის დროისთვის მოსკოვს აღმოჩნდნენ გაკრეფილები?

— შემთხვევით ამ ქვეყანაზე არაფერი არ ხდება. რეალურად აღნიშნულზე, ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით. ერთი კი ცხადია, რომ ი.გიორგაძის ამდენ ხანს თავისუფლად ყოფნა მისი გავლენიანი რუსი პატრონების წყალობით, საქართველოს წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს. დანარჩენს გამოძიება გვეტყვის.

— როგორ მოხდა, რომ ასე იოლად გაიხსნა ეს მძიმე დანაშაული, თუკი, რა თქმა უნდა, თვლით რომ იგი უკვე გაიხსნა?

— იოლად არც ერთი დანაშაული არ იხსნება. მით უმეტეს, ტერორისტული აქტი, რომელიც საჯარისო ოპერაციის სახით განხორციელდა: იმ ძალებით, პროფესიონალიზმითა და გამოყენებული საბრძოლო ტექნიკით. შეუძლებელი შეძლეს შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ოპერატიულმა სამსახურებმა, გამომძიებელთა კორპუსმა. მთელი საქართველო ფეხზე დადგა, არ წყდებოდა სატელეფონო ზარები სხვადასხვა რაიონიდან, ქალაქიდან, უწყებიდან. ყველა თავის სამსახურს გვთავაზობდა, მხარდაჭერას გამოთქვამდა. დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრიობამ. კიდევ ერთხელ დაერწმუნდი, თუ რა დიდი მხარდაჭერით, სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს ქვეყნის პრეზიდენტი მთელს საქართველოში. ასეთ განწყობის ფონზე გაიხსნა ეს უმძიმესი და ყველა ჭეშმარიტი ქართველისთვის შეურაცხმყოფელი დანაშაული.

— რატომ ჩაუდექით პირადად თქვენ — ქვეყნის გენერალური პროკურორი, ამ საქმის გამოძიებას სათავეში, ეს შემსრულებელთა დეფიციტზე ხომ არ მიუთითებს?

— რატომ? 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის გამოძიების საერთო ხელმძღვანელობაც მე მქონდა აღებული, თუმცა სისხლის სამართლის საქმეს უშუალოდ ჩემი მოადგილე რევაზ ყიფიანი აწარმოებდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ქვეყნის პრეზიდენტზე თავდასხმა ისეთი მასშტაბის ტრაგედიაა, რომ მისი გამოძიების პასუხისმგებლობა სწორედ პირველმა პირმა უნდა აიღოს, ისევე, როგორც შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები პირადად ხელმძღვანელობენ სამძებრო-ოპერატიულ ღონისძიებებს დანაშაულის გასახსნელად და ბოროტმოქმედთა დასაკავებლად.

9 თებერვლის საქმის გამოძიებაში აქტიურად მეხმარებიან გამოძიების ისეთი გამოცდილი მუშაკები, როგორიც გენერალური პროკურორის მოადგილეები რევაზ ყიფიანი და ანზორ ბალუაშვილია, სინქრონულად მუშაობს მთელი საგამოძიებო აპარატი. საქმე თავის წარმოებაში მიიღო საზოგადოებრიობისათვის უკვე კარგად ცნობილმა გამომძიებელმა და პროკურორმა, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ გიგლა აგულაშვილმა.

ასეთი საქმეების გამოძიების სათავეში პირველი პირის ყოფნა უზრუნველყოფს მთელი სისტემის მობილიზებას, ყველა პრობლემის ოპერატიულად გადაჭრას, მოქმედებათა კოორდინაციას შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელობასთან და სხვ., რაც მეტად აუცილებელია ამ მასშტაბის მქონე საქმეებზე ეფექტიანი მუშაობისათვის.

— რამ გამოიწვია ის, რომ, როგორც 29 აგვისტოს ტერაქტს, ამ დანაშაულსაც პროკურატურა იძიებს. თუ ადრე იყო უნდობლობის ელემენტები, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ ასე დღევანდელ უშიშროების სამინისტროზე, მით უმეტეს, რომ პრესაში ამის შესახებ უკვე „გაჟონა“?

— ვფიქრობ, საამისოდ არანაირი საფუძველი არ არსებობს. 9 თებერვლის ტერაქტს სამივე უწყების სპეციალისტებისაგან შექმნილი საგამოძიებო-ოპერატიული ბრიგადა იძიებს, რომელშიც ღირსეული ადგილი უკავიათ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სპეციალისტებს. მიუხედავად მოკლე დროისა, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქმის გახსნის, ნივთმტკიცებათა მოპოვების და ეჭვმიტანილ პირთა დადგენა-დაკავების საქმეში.

ამ საქმის გამოძიებაში პროკურატურისათვის უპირატესობის მიცემა აიხსნება იმ ერთი მარტივი მიზეზით, რომ გარემოებათა გამო, სწორედ ჩვენთან დაგროვდა ის სამწუხარო გამოცდილება, რაც ტერორისტული აქტების გამოძიებასთან არის დაკავშირებული.

ასე რომ, ქვეყნის უშიშროების სამინისტრო ჩვენი საიმედო და დასაყრდენი პარტნიორია ამ საქმეში, ისე როგორც მეორე ძალოვანი სტრუქტურა — შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელთა ოპერატიული მხარდაჭერის გარეშე ამ საქმის ბოლომდე გახსნა და სიღრმისეული გამოძიება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ ჩვენ ძალოვან მინისტრებს ბატონებს კახა თარგამაძეს და ჯემალ გახოკიძეს კოლეგიური და კაცური თანამშრომლობისათვის.

— საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ ტერაქტის სრულყოფილი გამოძიებისთვის უკეთესი იქნებოდა დამოუკიდებელი პროკურორის ინსტიტუტის შემოღება ფართო მანდატით. რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?

— მხოლოდ უარყოფითს. პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. ჩვენს სამართალდამცავებს დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკლიათ, თორემ პროფესიონალიზმში ისინი არც ერთი მოწინავე ქვეყნის გამომძიებლებს არ დაუვარდებიან. კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებები სავსებით საკმარისია, უფლებათა დეფიციტს სადღეისოდ ნამდვილად არ განვიცდით, მონდომება დიდია, მხარდაჭერა — საყოველთაო.

— მოსალოდნელია თუ არა რაიმე საკანონმდებლო ცვლილებები ამ ტერაქტის შემდეგ?

— ვფიქრობ, დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ საზღვარგარეთის იმ ქვეყნების კანონმდებლობა, სადაც ყველაზე ეფექტიანად ებრძვიან ამ დანაშაულს. ურიგო არ იქნება საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებაც. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ტერორიზმის თავიდან აცილების კომპლექსურ ღონისძიებათა დანერგვაზე.

— რას იტყვით ამერიკელი სპეციალისტების მონაწილეობაზე გამოძიებაში, სხვებსაც ხომ არ გამოუთქვამთ დახმარების სურვილი, მათ შორის რუსეთს, ჩეჩნეთს და ა. შ.?

— ამერიკელმა კრიმინალისტებმა, რომლებიც ჩვენთან ჩამოვიდნენ პრაქტიკული დახმარების მიზნით, ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწიეს ნივთიერ მტკიცებათა აღმოჩენასა და მათ გამოკვლევაში. მათ თან ჩამოიტანეს კრიმინალისტიკური ტექნიკა, რომლითაც ბევრი რამ გაკეთდა ისეთი, რაც ჩვენთან წარმოუდგენელიც კი იყო. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი მადლობა მინდა მათ გადავუხადო მხარდაჭერისათვის ისევე, როგორც საერთოდ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, ჩვენი პრეზიდენტის დიდი მხარდაჭერისა და თანადგომისათვის, რაც თითოეულ ქართველს სიამაყითა და იმედით ავსებს.

მართალია, ოფიციალურად არ მოუმართავს, მაგრამ გავიგე, რომ რუსეთის გენერალური პროკურატურაც მზადაა დახმარებისათვის, რისთვისაც დიდი მადლობელი ვართ. მათი დახმარება უეჭველად დაგვჭირდება „ახალი ტერორისტების“ იმ ნაწილის დაპატიმრებაში, რომლებმაც რუსეთს შეაფარეს თავი.

დამნაშავეთა დადგენასა და დაძებნაში თავისი წვლილი შეუძლია შეიტანოს იჩქერიის რესპუბლიკასაც. მით უმეტეს, რომ თავდამსხმელთა ერთი ნაწილი შეიძლება მათი მოქალაქეები აღმოჩნდნენ. ასე რომ, მზად ვართ ყველა დაინტერესებული ქვეყნის სურვილი შევკრათ ერთიან ძალისხმევად ტერორიზმის წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ ეს არა მარტო მათს ეროვნულ, არამედ მსოფლიო საერთაშორისო ინტერესებშიაც შედის.

— საქართველოს პრეზიდენტმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ისაუბრა რადიკალიზმის საშიშროებაზე როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან. რას იტყოდით ამის შესახებ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით?

— ვფიქრობ, რომ 9 თებერვლის ტერორისტული აქტიც რადიკალიზმის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ყველაზე მახინჯი გამოვლენაა, მის საშიშროებაზე რომ არაფერი ვთქვა. საზოგადოებრიობა უნდა მიეჩვიოს კონსტრუქციულ დიალოგს, კონსტიტუციური ფასეულობებით ცხოვრებას, ჩვენ ხომ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ. ასეთ პირობებში მიუღებელი უნდა იყოს ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა — გაუმართლებელი მაქსიმალიზმი.

საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც მარტო უკანასკნელ წლებში ორი ჯოჯოხეთური თავდასხმა განიცადა ტერორისტების მხრიდან, როცა გაიგო პროზვიადისტური ძალების მონაწილეობა 9 თებერვლის ტერაქტში, მკაცრად გააფრთხილა ძალოვანი სტრუქტურები, რომ არ დაუშვებს „კუდიანებზე ნადირობას“, რომ ყოველი მათი კონკრეტული ქმედება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ კანონსა და სამართლიანობას.

— რას იტყოდით 29 აგვისტოს ტერაქტის საქმის გამოძიებაზე, რომლის შესახებაც პროკურატურის ოპონენტები ბევრს წერენ და ამ საქმის სასამართლო განხილვაც ზოგჯერ მეტად „მხიარულ“ ნოტაზე მიმდინარეობს. ლაპარაკობენ მტკიცებულებათა ნაკლებობაზე, ჩვენებების უკანონოდ მიღებაზე და სხვა დარღვევებზე...

— 29 აგვისტოს ტერორისტული აქტი საქართველოს უახლოესი ისტორიის ერთ-ერთი შავი და სამარცხვინო ფურცელია. ამას ყოველგვარი პოზიორობის გარეშე ვამბობ, რადგან მისი მოსალოდნელი შედეგები შეიძლება საქართველოსთვის კატასტროფული ყოფილიყო.

ამის დაზუსტებას აქ აღარ შევუდგები. ეს საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა ისედაც იცის. ამიტომ აღნიშნული საქმის გამოძიებისა და, მით უმეტეს, ბრალდებულთა სასამართლოსადმი ზოგიერთი ოპონენტის ხელაღებით მიდგომა, მით უმეტეს კრიტიკა, არც სამართლიანობის და არც ზნეობრივ ჩარჩოებში არ თავსდება. ვიღაცა ძალიან არის დაინტერესებული ამ საქმისა და მისი განხილვის დისკრედიტაციით. იყენებენ ყველა ფორმას მომხდარის გასაიოლებლად, გაისმის ათასნაირი ლანძღვა-გინება, „სენსაციური მხილებები“ განსასჯელთა უფლებების დარღვევაზე, მიმართავენ სხვადასხვა პროვოკაციასა და დემარშებს, რათა საზოგადოებრიობის ყურადღება მომხდარის ტრაგიზმიდან გადატანილი იქნეს დანაშაულის შემსრულებელთა პიროვნულ ალტრუიზმზე, სახელი გაუტეხონ სამართალდამცავ ორგანოებს და ეჭვქვეშ დააყენონ შეკრებილი უტყუარი მტკიცებულებები.

სხვა შეფასებებისაგან თავს ვიკავებ, რადგან სასამართლო მიმდინარეობს და ბრალეულობის საკითხების გადაწყვეტა მისი პრეროგატივაა.

ერთს კი მაინც ვიტყოდი: საზოგადოებრიობას ჯერაც არ დავიწყებია გალიაში მყოფთა ჭეშმარიტი სახეები და უახლოეს წარსულში მათი „ნამოღვაწარი“ ქვეყნის აწეწვისა და განუკითხაობის დამკვიდრებაში. ამიტომ ფუჭია იმ ძალების მცდელობა, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი და „ქვეყნისათვის წამებულ რაინდებად“ წარმოუდგინონ საქართველოს წინააღმდეგ შეთქმული მკვლელები და ტერორისტები.

სწორედ ასეთმა ობივატელურმა და შემგუებლურმა დამოკიდებულებამ ტერორიზმის მიმართ, წაახალისა შავბნელი ძალები 9 თებერვლის ახალი ტერორისტული აქტის ჩასადენად. იქნება ღირდეს ამაზე ყველამ ერთად ვიფიქროთ და მოვლენებსა და პიროვნებებს ნამდვილი სახელები დავარქვათ.

— დაბოლოს, მართლაც ისეთ უმაღლეს პროფესიულ დონეზე დაგეგმილი და შესრულებული ოპერაცია იყო 9 თებერვლის ტერაქტი, როგორც ამბობენ (ზოგი მიიჩნევს, რომ არაფერი „უმაღლესი დონისა“ იქ არ იყო)?

— ცნობილია, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ამერიკელმა ექსპერტებმა შესაბამისი სამსახურებიდან. მათი შეფასებები უმაღლესია. მათი გაოცება გამოიწვია იმ იარაღების დამანგრეველმა ძალამ, რომლებიც ტერორისტებმა გამოიყენეს. საუბარია ოცამდე ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნზე, ხუთზე მეტ ტანკსაწინააღმდეგო თანამედროვე ხელყუმბარასა და ოცამდე ცეცხლსასროლ ავტომატურ იარაღზე. ტერორისტებს კარგად ჰქონდათ შერჩეული პოზიცია — იქვე, მაღლობზე მდებარე ჩაბნელებულ სკვერში, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა ლამპიონებით გაჩახჩახებული გორგასლის ქუჩა, რომელზეც პრეზიდენტის კორტეჟი მიდიოდა... ასე რომ, უცხოელი ექსპერტების აზრით, ტერორიზმის მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი საჯარისო ოპერაციის მოწყობა ტერორისტული აქტის განსახორციელებლად, თითქმის არ მოიპოვება.

ესაუბრა
ალეკო ასლანიშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

განცხადება

ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია ცრუობს

ექსპრეზიდენტის მეუღლემ მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ 17 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე ფაქტების გაყალბებაზე დაფუძნებული მორიგი პროვოკაციული განცხადება გააკეთა: თითქოს ხელისუფლება და, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ახორციელებს ტერორს მისი ოჯახის წინააღმდეგ.

მასმედიის წარმომადგენლებს მან აუწყა, თითქოს 14 თებერვალს პოლიციამ სიღნაღში დააკავა მისი ვაჟი გიორგი გამსახურდია და წამოიყვანა შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც, თურმე, ღამის ოთხ საათამდე ამყოფებდნენ, შემდეგ გამოუშვეს და მოკვლის მიზნით გზაში მოუწყეს ავტოავარია. მანამდე კი თითქოს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას წინადადება მისცეს თავის შვილებიანად დაეტოვებინა საქართველო.

ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მიერ წამოყენებული ყველა ზემოთ დასახელებული პრეტენზია ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული და თავიდან ბოლომდე სიცრუეა, უფრო მეტიც, ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა უკვე 15 თებერვალს გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების განხორციელებისას, ძიებისათვის საინტერესო კონკრეტული საკითხების გასარკვევად, 14 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ორი პიროვნება — ავთანდილ რცხილაძე და ბორის ერიაშვილი, რომლებიც იმ დღეს მონაწილეობდნენ სიღნაღში გამართულ „ჰელსინკის კავშირის“ რეგიონული ორგანიზაციის შეკრებაში. სამინისტროში გასაუბრების შემდეგ, ა. რცხილაძე და ბ. ერიაშვილი იმავე საღამოს სახლებში გაუშვეს.

გიორგი გამსახურდია სიღნაღში არავის დაუკავებია და არც წარმოუდგენია შს სამინისტროში. როგორც შემდეგ გაირკვა, იგი თავისი სურვილით ავტომანქანით უკან გამოჰყოლია თბილისში წამოყვანილ ა. რცხილაძესა და ბ. ერიაშვილს და სამინისტროს ეზოში ელოდა მათ.

ეს ამბავი მოსკოვში შეუტყვია მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, მისულა საქართველოს საელჩოში და ვაჟა ლორთქიფანიძისთვის უთხოვია დახმარებოდა ვაჟიშვილთან დაკავშირებაში.

შედგა ქალბატონ მანანასა და შს მინისტრის კახა თარგამაძის სატელეფონო საუბარი. მინისტრმა ქალბატონ მანანას აუხსნა, რომ მისი ვაჟი პოლიციას არ დაუკავებია, იგი სამინისტროს ეზოში ავტომანქანაში ელოდებოდა წარმოდგენილ ორ პიროვნებას.

გიორგი გამსახურდია სამინისტროს თანამშრომლებმა ამოიყვანეს მინისტრის კაბინეტში. იგი ტელეფონით ესაუბრა დედას. უთხრა, რომ სანერვიულო არაფერია, პოლიციას არავითარი პრეტენზია არა აქვს მასთან. ამ სატელეფონო საუბარს ესწრებოდა სამინისტროს რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკი.

დედის თხოვნით, მინისტრმა სამინისტროს ერთ-ერთ პასუხისმგებელ თანამშრომელს დაავალა მიეცილებინა გიორგი გამსახურდია ბინამდე — ვაკეში, მუხაძის ქუჩა №30-ში. პოლიციის პოლკოვნიკმა გივი მღებრიშვილმა იგი მიაცილა და დატოვა ზემოთ აღნიშნულ ბინაში საღამოს 23 საათზე.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ბინაში დაბრუნებისთანავე, გიორგი გამსახურდია ტელეფონით ესაუბრა დედამისს, საქართველოს ელჩის ვაჟა ლორთქიფანიძის კაბინეტში, ელჩის თანდასწრებით (ქალბატონმა მანანამ შს მინისტრთან კახა თარგამაძესთან საუბრისას განაცხადა, რომ საელჩოდან ფეხს არ მოიცვლის მანამდე, სანამ შინ დაბრუნებული გიორგი ტელეფონით არ დამირეკავსო ბინიდან).

ამის შემდეგ, უკვე 15 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამორიგეო ნაწილში შემოვიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დილის 3 საათსა და 30 წუთზე, მარჯვენა სანაპიროსა და საინჟინრო ქუჩის გადაკვეთაზე „მიცუბისის“ მარკის ავტომანქანის მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესები და შეეჯახა „ბმვ“-ს მარკის ავტომანქანას, რომელსაც მართავდა გიორგი გამსახურდია. მძიმე მდგომარეობაში მყოფები — „მიცუბისის“ მძღოლი და მისი თანამგზავრი ახალგაზრდა ქალი, შედარებით მსუბუქად დაშავებული გიორგი გამსახურდია და მისი თანამგზავრი ვაჟი მოათავსეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

ეს არის სიმართლე. ეს ინფორმაცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 15 თებერვალსავე გაავრცელა შსს პრესცენტრმა. უფრო მეტიც, იმავე საღამოს, მოსკოვიდან ჩამოსული ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია აპირებდა პრესკონფერენციის გამართვას და არ შედგა, მაგრამ პრესის წარმომადგენლები, „ჰელსინკის კავშირის“ და „ილია მართლის“ საზოგადოების წარმომადგენლები მივიდნენ საავადმყოფოში, იქ მისულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის უფროსმა როგორც ჟურნალისტებს („ალიას“, „რეზონანსის“, „დილის გაზეთის“ და სხვა), ისე მანანა არჩვაძე-გამსახურდიას თანაპარტიელებს აუხსნა საქმის ნამდვილი ვითარება, რაშიც ეჭვი არავის არ შეპარვია. ის, რომ გიორგი გამსახურდია სიღნაღში პოლიციას არ დაუკავებია და სამინისტროში არ წამოუყვანია, დაადასტურეს იქვე მყოფმა ავთანდილ რცხილაძემ და ბორის ერიაშვილმა.

თვით მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ იმ საღამოს არ ინება პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრა, თუ საჭირო გახდა, სხვა დროს მოგიწვევთო. შს სამინისტროს პრესცენტრის უფროსმა ქალბატონ არჩვაძე-გამსახურდიას წარმომადგენლებს სთხოვა პრესკონფერენციის გამართვის შემთხვევაში ისიც მიეწვიათ, რათა ობიექტური ინფორმაცია მიეწოდებინა პრესკონფერენციაზე მოსულთათვის.

მიუხედავად მიცემული დაპირებისა, 17 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე შსს პრესცენტრის წარმომადგენელი არ მიუწვევიათ, რა თქმა უნდა, შეგნებულად, რათა ქალბატონ მანანას უფრო თამამად, — უოპონენტოდ გადმოეშალა თავისი აბსურდული, პროვოკაციული ბრალდებები.

საზოგადოებრიობა ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას სიცრუესა და ავადმყოფურ ფანტაზიას მართლაც არ ჰქონია საზღვარი. ღმერთი-რჯული, პოლიციას არ დაუკავებია მისი ვაჟიშვილი და ვერც ავტოავარიას მოუწყობდა, რადგან იგი საღამოს 11 საათზე პოლიციამვე მიაცილა ბინაში. როგორ აღმოჩნდა შინ მისული გიორგი გამსახურდია 4-5 საათის შემდეგ ქუჩაში, სადაც მოჰყვა ავტოავარიაში, ამაზე პასუხი ქალბატონმა მანანამ თავის შვილს უნდა მოსთხოვოს და არა ხელისუფლებას. ან რომელ „მოწყობილ“ ავტოკატასტროფაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მეორე ავტომანქანის მძღოლი და მგზავრი უმძიმეს მდგომარეობაში არიან, გიორგი კი მსუბუქად დაშავდა.

დიახ, ქალბატონ მანანას, როგორც დედას, მართლაც ურჩიეს, მეტი ყურადღება მიექცია შვილისათვის, მაგრამ მისთვის არავის მიუცია საქართველოდან ოჯახიანად წასვლის წინადადება. ესეც მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა.

რაც შეეხება ქალბატონ მანანას მტკიცებას, რომ მისი ოჯახისა და პოლიტიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ მიმდინარეობს ტერორი, ვუპასუხებთ, ტერორისტები მან საქართველოში და სხვა ქვეყანაში მცხოვრებ თავის მეგობრებში მოიკითხოს.

შინაგან საქმეთა
სამინისტროს პრესცენტრი.

კრიმინალი

ალდამოვს ახლა ალადინის ლამპარიც ვერ უშველის

კახეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების და თელავის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხალაწანში მცხოვრები მამუკა ალდამოვი.

მას აღმოაჩნდა რამდენიმე ყალბი ოცლარიანი კუპიურა.

საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის თელავის განყოფილება იძიებს.

არსენალი არა, მაგრამ...

სადახლოს პოლიციის ქვეგანყოფილებას ელდარ ეიაზოვმა ნებაყოფლობით ჩააბარა „ნაგანის“ სისტემის თვითნაკეთი იარაღი, სოფელ გეგუთში მცხოვრებმა მარინა მელიაშვილმა ჩააბარა 1909 წელს გამოშვებული „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი, დაბა ზაჰესში მცხოვრებმა ვლადიმერ აბაზაშვილმა პოლიციის განყოფილებას ჩააბარა ავტომატი „აკმ“ ერთი მჭიდითა და 27 ვაზნით, ხოლო სოფელ გურძემში მცხოვრებმა შაქრო ყუფუნიამ — ტყვიამფრქვევი 121 ვაზნით და 2 ცალი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი.

საქინფორმი

კორუფცია

ინფორმაცია განსჯისათვის

20 წლის წინათ იაპონია შეაშფოთა სკანდალმა, რომელიც დღესაც ახსოვთ. ეს იყო ე. წ. „ლოკჰიდის" საქმე, როცა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ბრალი დაედო ქრთამის აღებაში ავიაკომპანია „ლოკჰიდის" ლობირებისათვის, რომელმაც მსხვილი სახელმწიფო შეკვეთა მიიღო.

ეგრეთ წოდებულმა მეგობრებმა და თანამოაზრეებმა უსინდისოდ გასწირეს პრემიერი. იგი იძულებული გახდა სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ კანონი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას და სამართლიანობამ უნდა იზეიმოს, არამედ იმისთვის, რომ პრემიერმა, თანამემამულეთა თვალსაზრისით, ძალიან ბევრი მოხაფა.

ამომავალი მზის ქვეყანაში ჩვენზე მეტი კორუფციაა, იპარავს ყველა. ოღონდ არსებობს ე. წ. პატიოსნების (როგორც ჩვენში ეძახიან) გარკვეული საზღვრები, რომელთა გადაბიჯების უფლება არავის აქვს, — თითოეული სოციალური კასტისთვის ციფრი განსაზღვრულია.

საქართველოში საკუთარი „ქურდული კანონებიც" კი არა გვაქვს

თუმცა, რა კანონები სჭირდება კორუფციას?!



რას იტყვის ხალხი?

ახალს არაფერს ვამბობ: ხელისუფლება ყოველთვის იყო და იქნება იმდენად კარგი და იმდენად ცუდი, რამდენადაც მას ამის უფლებას მისცემს საზოგადოება, ხალხი, ისტორიული კონტექსტი, საიდანაც, რაც უნდა ეცადო, ვერ ამოხტები. ასე რომ, ხელისუფლების ლანძღვა თუ მისთვის ჭკუის სწავლება (რაც ამ გარდამავალ ეტაპზე პოლიტიკური პარტიების ერთადერთ საქმედ იქცა), მართალია, გასართობი საქმეა, მაგრამ უნაყოფო, განსაკუთრებით საზოგადოებაში, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა, რომ მზადაა დემოკრატიულად იაროს.

ის, რომ დემოკრატია ხალხის მმართველობას ნიშნავს — დემაგოგიური ფიქცია არ გახლავთ, თუკი ამ სიტყვას, რა თქმა უნდა, არ გავამარტივებთ.

ჩვენთან კი რა ხდება?

ამას წინათ გამართულ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტმა თქვა, რომ საქართველოში ყველა პარტიას, ახალ თუ ძველ ლიდერებს, მათი ოჯახის წევრებს აქვთ აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს მათივე, და არა მარტო მათი, ამბიციურობითა და უპასუხისმგებლობით ბოლო წლებში საქართველოში დატრიალებული ტრაგედიები. მათი ფსევდოპატრიოტული, რევანშისტული იდეების რეანიმაციის ცდა ისევ ახალ ნგრევას, ახალ მსხვერპლს მოიტანს და საბოლოოდ დაასამარებს ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას. ამის უფლებას კი არავის მივცემთ. ასე ბრძანებს პრეზიდენტი. ხალხი კი იბნევა, ან სხვა რაღა დარჩენია, თუკი ყველა ეს, ვითომ რეფორმისტული პარტია, ფაქტობრივად, მხოლოდ ცალკეული პოლიტიკოსების მხარდასაჭერად და იმიჯის შესაქმნელად თავმოყრილი ჯგუფია, რომელსაც არანაირი ფესვები არ გაუდგამთ ხალხში და, საერთოდ, ვერ წარმოუდგენიათ მასშტაბური ისტორიული მიზნები?

ქვეყნის აღმშენებლობის პროცესი უხალხოდ, რეფორმების საქმისგან მისი იზოლირება — უსარგებლო საქმეა, რადგან, იქ — ხალხის წიაღში — აუცილებელია და იწყება, და მთავრდება ყველა ისტორიულად მნიშვნელოვანი პროცესი. მხოლოდ კოდექსები და ინსტრუქციები კი არ უნდა შევქმნათ, არამედ ხალხის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებაზე უნდა ვიზრუნოთ.

საქართველოს პრეზიდენტმა 22 იანვარს გამართულ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე კიდევ ერთხელ აღნიშნა ჩვენი გარდამავალი პერიოდის უპრეცედენტო ხასიათი — დემოკრატიზაცია „ზემოდან" ხორციელდება. ტრადიციულ დემოკრატიულ ქვეყნებში დემოკრატიისაკენ მოძრაობა „ქვემოდან" ხორციელდებოდა, — თქვა მან, — და, ამდენად, იგი საზოგადოების ბუნებრივ-ევოლუციური განვითარების შედეგი იყო. ყოველ შემთხვევაში, საბაზრო ურთიერთობანი, შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური სპექტრი, ლიბერალური ღირებულებანი და დემოკრატიის სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლები წინ უსწრებდა და აადვილებდა დემოკრატიული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის შექმნას. ჩვენი განსხვავებული ვითარება განპირობებულია არა მარტოოდენ საპირისპირო სქემით, არამედ მისგან გამომდინარე ამოცანათა ხასიათით, მათი გადაწყვეტის თანმიმდევრობითა და სპეციფიკით.

დემოკრატიზაცია „ზემოდან" ნიშნავს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის გარდაქმნით საზოგადოებრივი სისტემის ძირეული ცვლილების განხორციელებას, მაგრამ ზემოდან მზა ფორმით წამოსული დემოკრატია უნდა აღორძინდეს ხალხის ყოველდღიურობაში.

რამდენჯერმე მითქვამს და ახლაც მინდა გავიმეორო, აღნიშნა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის შექმნით საქართველოში დასრულდა ძველი პოლიტიკური სისტემის დემონტაჟი. ტოტალიტარიზმს რეალურად გამოეცალა სამართლებრივი და პოლიტიკური ნიადაგი. მაგრამ ისიც ცხადია, რომ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა და სამართლებრივი პირობები თავისთავად არ ამოქმედდება. მათი პრაქტიკული რეალიზაცია დღევანდელი ეტაპის საერთო-პოლიტიკური ამოცანაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი, დემოკრატიის მატერიალიზაციისა და მოსახლეობის ფართო ფენებში მისი განვრცობის გარეშე, ეს პირობები დაკარგავს თავის მნიშვნელობასაც და დანიშნულებასაც. მოდერნიზაციის საერთო პროცესის ამ ორივე ეტაპზე სახელმწიფო, როგორც ასეთი, ინარჩუნებს დემოკრატიის კატალიზატორის ფუნქციას. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გვინდა თუ არ გვინდა, ეს ობიექტური პირობებით განსაზღვრული რეალობაა. ეს გახლავთ პოსტკომუნისტური დემოკრატიის არსიც. ვიდრე არ მოხდება საზოგადოების სრული დემოკრატიზაცია, ვიდრე არ შეგვიქმნია ნამდვილად სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფოს ევროპული ან ამერიკული მასშტაბით მინიმალიზაციაზე, მით უმეტეს, განსახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკი მარტო თეორიული შეცდომა როდია. ამ პოსტულატის ჭეშმარიტებაში უახლესი წარსულის პრაქტიკამაც დაგვარწმუნა.

როცა ხაზს ვუსვამთ სახელმწიფოს როლს, ამაში მისი ფუნქციური გაფართოება არ იგულისხმება. პირიქით, ლაპარაკია ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ფუნქციებისაგან სრულ გათავისუფლებაზე. სახელმწიფოს შემდგომი ფუნქციური შეკვეცის ტემპი დამოკიდებული იქნება საზოგადოების რეალური დემოკრატიზაციის უნარსა და დონეზე, ესე იგი „ქვემოდან" დემოკრატიზაციის იმპულსებზე.

მართლაც, იქნებ დადგა დრო, რომ ჩვენ, ყველამ, ვისაც ჯერ კიდევ გვჯერა დემოკრატიის, გვინდა დემოკრატია და მზად ვართ დამოკრატიული პროცესებისათვის, არ დავიშუროთ გონება და ძალა, აღარ ვიფიქროთ რაღაც სასწაულზე, კეთილ ძიაზე, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელზე, გამოუცნობ „საბაზრო კანონებზე" და მისთანებზე და, მთელი ძალების დაძაბვით, ყველა საშუალებით შევეცადოთ მივეხმაროთ დემოკრატიის ჯანმრთელი ჩითილის განვითარებას, ნაცვლად იმისა, რომ შევეცადოთ მისთვის ასე აუცილებელი ჯერ კიდევ ვარგისი დეტალების გაფუჭებას.

ქვეყანამ ბოლოს და ბოლოს ნათლად უნდა წარმოიდგინოს, როგორი საზოგადოება, ღირებულებათა როგორი სისტემა, საკუთრების როგორი ფორმა და როგორი ბაზარი გვინდა XXI საუკუნეში.

დღევანდელი პოლიტიკური ელიტა ნაკლებად გამოდგება ამ ამოცანების გადასაწყვეტად? შეიძლება, მაგრამ აკი ჩვენ თვითონ ჩვენი თვალბეცობით, უმოქმედობითა და მიამიტობით შევქმენით ასეთად. რას იზამ — მოგვიწევს სელექციის ხელოვნების შესწავლა ახალი ელიტის ჩამოსაყალიბებლად, რათა ნაკლებად იყვნენ მათ შორის ცინიკოსები და ფუჭად მოლაყბენი, უვიცები და კეთილშობილი მამაძაღლები და იყვნენ საქმის ხალხი, ვინც იცის, როგორ მოაწყოს ახალი დემოკრატიული ქვეყანა და, რა თქმა უნდა, უნდა იყვნენ ელემენტარულად ნამუსიანები.

ეს პრობლემა მხოლოდ ჩვენ არ გვაწუხებს, ანალოგიური სურათია რუსეთში და ამის შესახებ იუწყება „მოსკოვსკი კომსომოლეცი", თითქმის ყველა ნომერში.

ერთი წვეთი ბალღამი

საქმე სწორედ ამომრჩევლებშია. ეგრეთ წოდებული საინფორმაციო ომი წინასაარჩევნო მარათონის არაოფიციალური სტარტია. მართალია, მანამდე კიდევ თითქმის ორი წელია, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ადრე ამდგარსა კურდღელსა..." თუ ახლა „ტყვიების" ასეთი ცვენაა, ადვილი წარმოსადგენია, რა „კანონადა" დაიწყება ხალხის ნების გამომხატველი აღთქმული თარიღის დროს.

რეზერვებიც არ არის ძნელად მოსაძებნი! უპირველეს ყოვლისა, „კომპრომატების" მოძიებაა საჭირო. გავიხსენოთ ინფორმაციული ბომბები, ასე ადვილად რომ ფეთქდება ჩვენს პერიოდულ გამოცემებში. მართალია, პროვინციებში გამოცემები ჯერ არ გაუნებივრებიათ ამგვარი მასალით, მაგრამ არჩევნების წინ, ალბათ, აქაც მოინახება თითოოროლა „სიმართლის მაძიებელი" ჟურნალისტი და არც პროვინციებში მოიწყენენ.

ძალიან კარგად მესმის, რომ სიცრუითა და დეზინფორმაციით იწამლება ადამიანის ფსიქიკა და მორალი და ამაში არავისზე ნაკლები წვლილი არ მიგვიძღვის ჩვენ — ჟურნალისტებს. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველია შური, ყოველნაირი ლაყბობა და გვავიწყდება ყველაზე მთავარი — ზნეობა.

ჩვენ ხშირად გვიწევს მსჯელობა დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. რასაკვირველია, პირველზე ბევრად არის დამოკიდებული მეორე და, შესაბამისად, მეორის არსებობა ბევრად განსაზღვრავს პირველის ხარისხს. იქნებ, ამ ორი ცნების ერთმანეთისგან გარჩევასაც არა აქვს აზრი. ბევრს მიაჩნია, რომ დემოკრატია ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიტყვის თავისუფლებას. სხვათა აზრით, დემოკრატია თავისი რადიკალურობით და, რაც მთავარია — ეფექტიანობით, სიტყვის თავისუფლების საწინდარია. ვინ არის მართალი? ვფიქრობ, ერთნიც და მეორენიც.

გაგრძელების დასაწყისი

დღეს, სწორედ ხელისუფლების ხელშეწყობით „ზემოდან" წამოსული დემოკრატიის წყალობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავის თავსაც იცავენ და საზოგადოებასაც აძლევენ ჭეშმარიტად სიტყვის თავისუფლებას. ამის დაუნახაობა კი არ ეგების.

საქართველოში, ისე როგორც ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, არავინ უზღუდავს ადამიანს ამ უმთავრეს უფლებას. რა არის ჩვენთვის დემოკრატია? ეს არის მეტ-ნაკლებად მწვავე და მძიმე საზოგადოებრივი პრობლემის ღიად, საჯაროდ განხილვა; ამ პრობლემის მოგვარების გზების ძიება; რუტინის მსხვრევისა და დემოკრატიულ საზოგადოებად ჩამოყალიბების საშუალება. სიტყვის თავისუფლება კი პლურალიზმის დამკვიდრებასა და ერთადერთი ჭეშმარიტების საბურველში გახვევის ნგრევასაც ნიშნავს.

ჩვენ კი ჟურნალისტებმა, ხელისუფლებასა და ხალხს შორის დგომის პრეტენზია თუ გვაქვს, იმისათვის ვილვაწოთ, რომ ხალხი „ზემოდან" წამოსულ დემოკრატიას ვაზიაროთ, როგორც ამას ითვალისწინებდა საზოგადოებრივი განვითარების პროცესი.

ამიტომ, ისეთმა მძლავრმა საზოგადოებრივმა ძალამ, როგორიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობაც არ უნდა დაკარგონ. თუკი მიზნად დავისახეთ საზოგადოებრივ აზრზე მონოპოლიური დიქტატის მსხვრევა, არც ჩვენ უნდა გვადგეს მონოპოლიის უღელი. დემოკრატიის ეფექტიანი ინსტრუმენტი რომ იყოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაფინანსების დემოკრატიულ ფორმებს უნდა შეეჩვიონ და საზოგადოების ნებისმიერ ფენას საშუალება უნდა ჰქონდეს, ისარგებლოს ბოლო წლების უდიდესი მონაპოვარით — სიტყვის თავისუფლებით.



ჭეშმარიტად თავისუფალი მასმედია თავისუფალი უნდა იყოს როგორც ადმინისტრაციული მოქმედებისა და ცენზურისგან, ისე კომერციული დიქტატისგან. შეიძლება კი თავისუფალმა მასმედიამ დაისახოს მხოლოდ პოლიტიკური მიზნები და უარი თქვას საზოგადოების წიაღში არსებული რეალური მოვლენების ასახვაზე? რა თქმა უნდა, როცა საზოგადოება ესოდენ პოლიტიზებულია. ამ პრობლემას ისეთი ქვეყნების მასმედიაც კი ვერ აარიდებს თავს, სადაც საზოგადოების ცხოვრების დონემ უმაღლეს ზღვარს მიაღწია და დემოკრატია სასურველი კი არა, რეალური მოვლენაა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებას ვერ ავაშენებთ, თუ დემოკრატიული ცხოვრების უნარ-ჩვევებს არ გამოვიმუშავებთ.

არ შეიძლება დავივიწყოთ ახლო წარსული, როცა სიმართლე სტრიქონებს შორის უნდა გვეწერა და ამოგვეკითხა. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, დღეს იმავე სტრიქონების ავტორები ეგზომ მოზღვავებული სიბინძურის შესახებ ნაკლებად წერენ. ალბათ, იმიტომ, რომ მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ საზოგადოების წინაშე. ხოლო ისინი, ვისაც უთხრეს, შეგიძლია თავისუფლად გამოთქვა შენი აზრიო, ჭორ-მართალს ერთმანეთში ურევენ და ირგვლივ გესლს ანთხევენ.

თუკი მიზნად დავისახავთ, რომ ჩვენი ინტერესები ქვეყნის, საზოგადოების წინსვლისა და განვითარების სამსახურში ჩავაყენოთ, მაშინ შევძლებთ გამოვხატოთ სიტყვის თავისუფლების ჭეშმარიტი არსი. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დემოკრატიის გზაზე შემდგარი საზოგადოების წარმატებას.

განა რა შეიძლება იყოს ამაზე ღირსეული და კეთილშობილური სამსახური?

კითხულობ გაზეთს, ყველაზე უწყინარ ინფორმაციასაც კი და გრძნობ საიდან მოდის შეკვეთა, საიდან ილვრება ის ერთი წვეთი ბალღამი, სულსა და გონებას რომ წამლავს.

თუკი ანდრია კონსტანტინოვს — „ბანდ-პეტერბურგის" ავტორს ვერწმუნებით, ეს არც უნდა გვიკვირდეს. მას ამისთვის სათანადო მაგალითებიც მოჰყავს, როგორ შეიძლება გადმობირო ჟურნალისტი და შენს სასარგებლოდ ამუშაო, თანაც ისე, ხმამაღლა იძახის, თავისუფალი ვარო.

რაც შეეხება ხელშემშლელ ჟურნალისტს, რომელიც ცდილობს კორუფციის საკითხებზე იმუშაოს, მასთან ანგარიშის გასწორება სულ იოლი საქმეა. ჟურნალისტებს, როგორც წესი, არც კი აქვთ წარმოდგენილი ოპერატიული თამაშის მთელი სირთულე, მაგრამ ექსპერტებად და სპეციალისტებად მოაქვთ თავი. სულ იოლია თავგზა აუბნიო და მოატყუო, შარში გახვიო, მერე კი ამოათრიო სიბინძურიდან, რომელშიც თვითონ დურთა თავი, გამოხვიდე მის მხსნელად და კეთილისმყოფელად. თუ უმადური „მწერლუკა" შეგხვდა, მაშინ სახელი უნდა გაუტეხო თავისივე აუდიტორიის თვალში — რამდენიც უნდა წეროს ამის შემდეგ! მას უკვე აღარავინ დაუჯერებს, მის ნაწერებს ძალა აღარ ექნება. გამოდგება ჭორების დაყრის მეთოდიკაც: აი, ეს პრინციპული სიმართლისმაძიებელი სინამდვილეში ჩამშვებია (უმჯობესია, სუკის ინფორმატორი, თანაც სტაჟიანი), თავის დროზე წამოიკიდეს რაღაც სულმთლად ბინძური და სამარცხვინო მიზეზის გამო (დავუშვათ, იმის გამო, რომ ოდესღაც ვიღაც გააუპატიურა, უმჯობესია — არასრულწლოვანი). და, საერთოდ, თუ გინდა იცოდე, ფულს უხდიან და მთელი მისი მხილებები სხვა არა არის რა, თუ არა იგივე ბანდიტების რეკლამა, — რაც უფრო შემზარავად წერს ბანდიტებზე, მით უფრო მეტად ეშინიათ მათი და მით უფრო მეტი უტყვი მსხვერპლი ჰყავთ. საჭიროა დანაშაულებრივ ავტორიტეტთაგან ვინმემ ქებითაც მოიხსენიოს იგი ჟურნალისტთა არცთუ ვიწრო წრეში: „ვიცი, ვიცი... კაი ბიჭია... მასთან შეიძლება დაიჭირო საქმე, თანაც, ხარბი არ არის, ბევრს არ ითხოვს". და გარდა ამისა, რა თქმა უნდა, ყურადღებით ადევნო თვალი „სამეფოს", გამოიყენო უმცირესი შეცდომები, რომლებიც როგორც ცნობილია, არა აქვს მხოლოდ იმას, ვინც სულ არ მუშაობს.

ახლა წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, თუკი ბარიკადების აქეთ-იქით (ბარიკადები კი, იცოცხლეთ, ვიცით ქართველებმა, რამდენი და როგორ აღვმართოთ!) მდგარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სრულიად შეასრულებენ მათ წინაშე დასმულ ამოცანას. შეიძლება გამოვთვალოთ შედეგი: მოსახლეობა საერთოდ დაკარგავს ყველანაირი ხელისუფლების ნდობას. ეს პროცესი თითქოს შეუქცევად სახეს იღებს და ფრიად დამაფიქრებელია.

ელექტორატით „მოთამაშე" ხელისუფლების ოპოზიციური ძალები ხელიდან არ გაუშვებენ იმ ფაქტს, რომ ერთი რაიონის გამგებელმა 700 ტონა ხორბალი მიითვისა რაიონის ბეღლიდან, ხოლო უკვე რწმუნებულის მოადგილედ დაწინაურებულმა 300 ტონაც „იკმარა". რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ...

ეს, უბრალოდ, ერთი მაგალითია, ხალხმა კი ყველაფერი იცის.

რას იტყვის ხალხი?!

რას ამბობდა პრეზიდენტი

ქვეყნის პრეზიდენტმა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ თქვა, რომ თუ სერიოზულად ვფიქრობთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ზედა ეშელონი უნდა გასუფთავდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია უმაღლესი პროფესიონალიზმი და მიუკერძოებლობა ჩვენი სამართალდამცავი ორგანოებისა, უშიშროების სისტემისა, რათა ეს ზონა არ დაჩრდილოს დილეტანტიზმმა, მოჩვენებითმა აქტიურობამ და პოლიტიკური ქულების დაგროვების ცდამ, რათა მან არ გადაფაროს გულწრფელი სურვილი — ქვეყანა გათავისუფლდეს კორუმპირებული ელემენტებისა და ასეთივე კლანებისაგან. თუ გვინდა, რეალურად ვებრძოლოთ კორუფციას და ამოვძირკვოთ ეს ავადმყოფობა, მაშინ მას მართლაც სუფთა ხელებითა და სუფთა სინდისით უნდა ვებრძოლოთ. პრეზიდენტმა არ გაიზიარა მოსაზრება, თითქოს თუნდაც ახლო წარსულში ჩადენილი ასეთი ფაქტების მხილება შელახავს ქვეყნის ხელისუფლების ავტორიტეტს. როგორც რეფორმები სჭირდება ქვეყანას, ასევე ჩვენი პრესტიჟისათვის აუცილებელია ამოიძირკვოს კორუფცია საქართველოში. თუ ამ სენს ბოლოს არ მოვუღებთ, საქართველოს ავტორიტეტი დაეცემა. ჩვენთვის კი არაფერია იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სახელმწიფოს სახელი და დიდება.

ხელისუფლების ეშელონებში მომუშავე პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ შეიძლება გვიან, მაგრამ მაინც აუცილებლად გამოაშკარავდება ყველა, ვინც ბოროტად იყენებს, ან ცდილობს გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა, რომ ყველას მოუწევს კანონის წინაშე პასუხისგება. შეიძლება 5 წლის შემდეგ, მაგრამ მაინც მოჰკითხავენ იმას, რაც უკანონოდ აქვთ მითვისებული.

პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, თავის წვლილს შეიტანს საქართველოს პარლამენტის კომისია, მაგრამ მხოლოდ პარლამენტისათვის დასაშვები ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით. ეს საკითხი უკავშირდება მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობასაც. ცხადია, მაკონტროლებელ ორგანოთა რაოდენობრივი ზრდა ვერ აღმოფხვრის და შეამცირებს კორუფციას. პირიქით, კორუფციისა და სხვა დანაშაულებების წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს სწორედ საჭიროებაზე მეტი მაკონტროლებელი სტრუქტურების შექმნა.

კორუფციასთან ბრძოლის საპარლამენტო კომისიას სათავეში გიორგი ბარამიძე ჩაუდგა. დღეს იგი აცხადებს, რომ „კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, პრობლემა ისაა, რომ თვით ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები გვევლინებიან ამ დანაშაულის ფლაგმანებად. ეს იმიტომ კი არა, რომ ამ უწყებებში ყველა თანამდებობის პირი კორუმპირებულია, მთლიანობაში შექმნილი ისეთი ატმოსფერო, რომ არ ხდება რეალური ბრძოლა იმ მაღალი თანამდებობის პირებთან, რომლებიც კორუფციის წყაროს წარმოადგენენ".

გიორგი ბარამიძე გვარწმუნებს, რომ „საქართველოში არსებობს რამდენიმე კლანი, რომლებიც სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. სამწუხაროდ, ხელისუფლების არც ერთი შტო სტერილური არ არის, მაგრამ უფრო მეტად ეს სენი აღმასრულებელ ხელისუფლებას შეეყარა. მე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი ნეგატიური, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ხელისუფლების ძალიან მაღალ ეშელონებამდე მიდის. მაგრამ ბრძოლა მხოლოდ ასეთი თანამდებობის პირების სახელებისა და გვარების დასახელებით, არ გამოდგება". მისივე თქმით, „მხოლოდ სიმამაცე არ არის საკმარისი კორუმპირებული პირების წინააღმდეგ საბრძოლველად".

არ შეიძლება არ დაეთანხმო. განა სულ ახლახანს არ უწოდეს „არასერიოზული კაცი" მიხეილ სააკაშვილს, რომელიც საქართველოში „წლის ადამიანად" აღიარეს? იმ პიროვნებას, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა, რომ „საქართველოში ჩამოყალიბდა ნამდვილი ხელშეუხებელთა კასტა, რომელსაც სადეპუტატო იმუნიტეტზე ბევრად უფრო მძლავრი დაუწერელი იმუნიტეტი იცავს".

მსუბუქი ყოფაქცევის... გენერალი

ამას წინათ, თითქმის ერთდროულად ორ სხვადასხვა გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუები. ერთი რესპონდენტი ემიგრანტი გახლდათ, მეორე კი — გენერალი.

პირველი აცხადებდა, რომ ფული გქონდეს და ამ საზოგადოებაში, „თუ დასჭირდათ, საკუთარი ხელით ჩაქოლილიც რომ ჰყავდე, გამართლებას მოგიძებნიან და გაგაღმერთებენ".

რესპონდენტი გენერალი კი თითქოს პირველს ეხმიანება და უდასტურებსო, ურცხვად (სხვა რა შეიძლება უწოდო!) ამბობს: თანდათან ვრწმუნდები, რომ „დღეს მთავარია გქონდეს ფული"!

ნამუსი? პატიოსნება?

რა განსხვავებას ხედავთ პირველის (ამჩატებული დედაკაცის) და მეორის (მრისხანე ჩინის პატრონის) მოსაზრებას შორის?

იქნებ არც უნდა მიკვირდეს, გენერლის ასეთი პასუხი, რადგან იმავე ინტერვიუში ამაყად აცხადებს, რომ საერთოდ არ წითლდება. გასაკვირი ის არის, რომ ასეთი კაცი იმ პიროვნების გუნდში მოიაზრება, ვისაც „გაწითლების უნარი დღემდე შემორჩა".

„მთავარია სისხლი, სისხლი!" — ასე ფიქრობს დანგრეული მორალის საზოგადოება. ასე იყო 1989 წელსაც, 1992-93 წლებშიც, დღეს კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი საზოგადოებისთვის, რომელსაც მორალიც დაინგრა და იქნებ შუბლის ძარღვიც საბოლოოდ გაუწყდა, საპროგრამო დევიზად იქცა — მთავარია ფული, ფული! ამ დევიზით მოდის ჩვენი ქვეყანა, ამ დევიზით ვაგრძელებთ ცხოვრებას და გვავიწყდება, რომ ფულის გარდა არსებობს კიდევ სინდისი, ნამუსი, პატიოსნება და არსებობს, უპირველეს ყოვლისა, სამშობლო, სამშობლო, რომელიც „განსაკუთრებლად არის მთავარი!" სამშობლო, რომელსაც საქართველო ჰქვია და რომელიც კორუმპირებულთა სათარეშოდ გადაიქცა, ანდა თუ უფრო ზუსტად ვიტყვი — გადავაქციეთ. ჩვენი ინდიფერენტულობითაა სწორედ, ასე უხიფათოდ რომ გრძნობს თავს ათასი ჯურის დამნაშავე — ისინი, ვისთვისაც სამშობლო მხოლოდ ერთი დიდი ჯამია, საიდანაც რაც შეიძლება მეტი უნდა ამოხაფო, ანდა ცხვრის დუმაა, რომელსაც მგლის მადით, რაც შეიძლება დიდი ნაჭერი ჩამოათალო.

ამის გამართლება მტკიცებით, რომ ასეთი იყო და დარჩება ველური კაპიტალიზმი, ვერაფერს გეიშველის.

სიტუაცია სამწუხაროა...

კეთილშობილება და პატიოსნება დაცინვის საგნად იქცა. ის, რაც წინათ დანაშაული იყო, დღეს ცხადად თუ ფარულად ჩადენილი, დანაშაულად აღარ ითვლება. ადამიანები კიდევ უფრო ნაკლებად გრძნობენ თავიანთი საქციელის სიმდაბლეს. გაუფასურდა პასუხისმგებლობა და დაჩლუნგდა სირცხვილის გრძნობა, ადამიანები იძულებული გახდნენ იცრუონ, დაიმალონ.

და თუ ასე გაგრძელდა, იქმნება იმის საშიშროება, რომ ჩვენი ცხოვრება დაემსგავსება მორევს, ანდა წისქვილის ხვიმირას, რომელიც ყველაფერს ფქვავს და ქმნის ფსიქიურად დაავადებულ გამოფიტულ მოდგმას, თანდათან უფრო დავცილდებით ადამიანის ადრინდელ იდეალს, როგორის ნახვასაც ჩვეული ვართ გასული საუკუნეების ხელოვნების ნაწარმოებებსა და ნაზრევში. მაშინ არარაობად იქცევა მთელი ცხოვრება, რომელიც წარმოშობს სერიოზული მუშაობისათვის უვარგისი ადამიანების თაობას.

ბასრი დუქარდი

ცნობილია, რომ რეგიონებში კორუფციის დონე (თუ თავბრუდამხვევ ქრთამმზრუნვაში არა, სრულ განუკითხაობაში გამოხატული) გაცილებით მაღალია, ვიდრე დედაქალაქში. მიზეზიც გასაგებია: ცენტრიდან ძველებურად ველარ აკონტროლებენ, სამართლებრივი კონტროლი კი ჯერჯერობით სრულად ვერ ხორციელდება. მათ შორის პრესაც და ტელევიზიაც ვერ აუდის ამას.

დასამალი არ არის ისიც, რომ კორუფციის დონის ამაღლებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ზომიერად თვითდინებაზე მიშვება — ადამიანების ზომიერად გასვრა. არ არსებობს კანონდამრღვევზე უფრო მორჩილი ხელქვეითი. ასეთებისათვის ხელმძღვანელის ნება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ნებისმიერი კანონი.

მაგალითები გნებავთ?

თანამდებობიდან გაათავისუფლეს ვაჟა კელეურიძე — სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურორი. მაგრამ საკითხავია, მანამდე რას უცდიდნენ მისი ხელმძღვანელები? მათ ხომ ყველაზე უკეთ იცოდნენ, რომ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების გაჭიანურებით პროკურატურის ავტორიტეტი ილახებოდა: გადახედეთ ბოლო რამდენიმე თვის გაზეთებს და დარწმუნდებით, რომ პუბლიკაციებში კელეურიძის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევა საერთოდ პროკურატურის ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევამდეა განზოგადებული. იქნებ, ეს ჟურნალისტების ბრალია? რაღაც არა მგონია! უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ჟურნალისტები აქ დამნაშავენი არ არიან. თვითონ ვაჟა კელეურიძემ მითხრა ერთ-ერთ თავყრილობაზე, თქვენ, ჟურნალისტები მეცხვარეები ხართ, შემოგვირეკავთ ფარას ბაკში, შემდეგ კი ჩვენ ვპარსავთ და ვპარსავთ, ვპარსავთ და ვპარსავთ... შინაგან საქმეთა სამინისტროც პარსავს, მაგრამ სიჩქარეში ხანდახან კანიც ეჭრებათ ხოლმე, ჩვენ კი დინჯად ვპარსავთ, სამომავლოდაც ვიზოგავთო.

რა უნდა მეპასუხა?

კარგი, ბატონო, პროკურორი დინჯად პარსავს და სამომავლოდაც იზოგავს, მაგრამ ხომ არსებობენ ხელმძღვანელები?

კონსტიტუციით, პროკურატურა უკვე არ ითვლება მაკონტროლებელ ორგანოდ და როგორც გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი აცხადებს, „მოკლებულია სხვადასხვა დანაშაულის, მათ შორის, კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოვლენის შესაძლებლობას".

უნებურად ჩნდება შეკითხვა: პროკურატურის სისტემის შიგნითაც?

რატომ იქცა მითქმა-მოთქმის საგნად ცხინვალის პროკურორის გურამ ბაბუციძის გატაცება? განა არ შეიძლებოდა მისი გათავისუფლების ცნობამდე გამოქვეყნებულიყო რაიმე? ან იქნებ, ახლა არ იციან პროკურატურაში, რისთვის გაიტაცეს იგი? გულახდილად გითხრათ, არც მე მჯერა, და არც ბევრ სხვას, რომ იგი 22-დღიანი „შიდა პატიმრობის" შემდეგ მხოლოდ იმიტომ გამოუშვეს, რომ დარწმუნდნენ — ფული არ ჰქონდა. განა რითი გამოირჩეოდა იგი სხვა პროკურორებისგან, ანდა მასზე მდიდარი და შეძლებული ვერავინ ნახეს, ვინც ფულსაც გადაიხდიდა და ასე ტყუილად გასატაცებელი და შემდეგ უკან დასაბრუნებელი არ გახდებოდა? მაშ, რატომ ამბობს ხალხი, რომ მისი გამოხსნის მეორე დღესვე გატაცებულის მამა გორის რაიონიდან არჩეულ ერთ-ერთ პარლამენტარს 15 000 დოლარს სთხოვდა ე. წ. „ობშჩაკისთვის"? ან იქნებ, ვინმეს ჰგონია, რომ სიმართლეს ვერავინ და ვერასოდეს გაიგებს? რატომ არაფერს ამბობენ გორის წისქვილკომბინატის დირექტორის ელგუჯა რიკრიკაძის გატაცების შესახებ და, საერთოდ, რატომ გვგონია, რომ ადამიანები ასე უნდა გაიტაცონ და „ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის, არაფერი გამიგონია" დიდხანს გაგრძელდება?

ბონდო მძინარაშვილი.

(დასასრული იქნება).

რეგიონი

ოსები ბრუნდებიან

— ჩვენთვის, ქარელის რაიონის გამგეობის იძულებით გადაადგილებულთა სამსახურისთვის, უცნობია ყორნისის რაიონიდან ოსების მიერ ქართველთა გამოძევების ფაქტები, ამ დღეებში ამის თაობაზე გაზეთი „რეზონანსი" რომ იუწყებოდა. ასეთი განცხადება-საჩივრები ჩვენთან არ შემოსულა, — მითხრა იძულებით გადაადგილებულთა სამსახურის უფროსმა ლილი მამიშეილმა. მას ქარელის რაიონის კეხიჯვრის თემის გამგეობაში შევხვდი და არც გამკვირვებია, რომ თემის გამგეობის მდივანთან დალი ჯაიანთან, კეხიჯვრის სახაზინო მეურნეობის დირექტორთან შენგელი მღებრიშვილთან და კეხიჯვრის თემის თავკაცთან დავით ლომიტაშვილთან ერთად თემის სოფლებში უკანმობრუნებული ოსების საკომლე სიებზე მუშაობდნენ.

უკანასკნელი თვეების რაიონის სოციალურ-ეკონომიკური სურათის მთავარი შტრიხი ორი სიტყვით გამოიხატება: ოსები ბრუნდებიან! ბრუნდებიან ოჯახებით, ან ჯერ ოჯახის რომელიმე წევრი მოდის „დაზვერვაზე", სურს დარწმუნდეს, რომ ცხოვრება აქ, მართლაც, ძველ კალაპოტში დგება, როცა ქართველები და ოსები გვერდი-გვერდ მშვიდობით, მეგობრულად, ნათელ-მირონით ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ. ვერც გაამტყუნებ. კონფლიქტმა მათ სულს იარა დააჩნია. ახლა, ამ გახსნილ ჭრილობაში თითქოს მარილი ჩააყარესო, ისეთი მონდომებით ცდილობდა ადგილობრივი პრესა მტრის ხატის შექმნას. ქართველები — „ოსების დაუძინებელი მტრები", „პირსისხლიანი ფაშისტები", „ოკუპანტები", „მკვლელები", „მეოცე საუკუნის ბარბაროსები"... გაუძელი თუ ბიჭი ხარ, ასეთ იდეოლოგიურ წნეხს! ამიტომ სრულებითაც არ მიკვირს ის სიფრთხილე, რომელსაც ოსები იჩენენ თავიანთ კერაზე მობრუნებისას. და მაინც ლტოლვილთა თავიანთ საცხოვრისზე დაბრუნების პროცესი შეუქცევადია. ფეხით მოვიარე კეხიჯვრის თემის რამდენიმე სოფელი — კლდე, კრობანი, სანებელი, ოსების სახლები ისევ იმ მდგომარეობაშია, თითქოს არც არავინ წასულა აქედანო. თემის გამგეობამ ცარიელი სახლები, ვიდრე მათი პატრონები გამოჩნდებიან, აქ მცხოვრებ მათ მეზობლებს ჩააბარა. დგამ-ავეჯი გაძარცულია, მაგრამ არა ისე, როგორც ქართველების სახლები ცხინვალში და ყორნისის რაიონის სოფლებში: ქონება დატაცებული, იატაკი აყრილი, კარ-ფანჯრები ჩამოღებული და წაღებული და მხოლოდ ამის შემდეგ პირწმინდად გადამწვარი სახლები. აი, ამის გამოც რომ აღშფოთებულიყო ულიარებელი სამხრეთ ოსეთის ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე ბორის ჩოჩიევი (იხ. „სრ", 4.02.98, იზო ტიგიევას სტატია „რაც მტრობას დაუნგრევია"...), ეს უკვე თანადგომა იქნებოდა, რისი მაგალითიც კეხიჯვრის მეურნეობის დირექტორმა დავით ლომიტაშვილმა მოგვცა:

„გადანახული" მაქვს შვიდი ჰექტარი სახნავი მიწა, დაბრუნდებიან ოსები და ამ მიწით მათ საკარმიდამო ნაკვეთებს შევუვსებთ.

ბარაქალა კეხიჯვრის თემისა და მეურნეობის თავკაცებსაც!

მორს არ წავსულვართ, იქვე რუსეთიდან ახლახან მობრუნებულ საბა მალევს მე ჯიოშვილს ვესტუმრეთ. საბა საჭაროდ წასულიყო ფოთში, სახლში მეუღლე — ირმა გაგლოშვილი თავისი მცირეწლოვანი ბავშვებითა და დედამთილ-მამამთილი დაგვხვდა. სუფრაც გაიშალა და სადღეგრძელოებიც ითქვა.

იმავე დღეს ბრეთის სახაზინო მეურნეობის დასახლებაში შევხვდი ქარელის რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს თემურ სანდოძეს. დასახლებაში ცხოვრობენ თულომშვილები, ფილიშვილები, გაგლოევები, მარღიშვილები. რაიონის ხელმძღვანელი მათი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარებით იყო დაინტერესებული.

— ქორა ქუმსიშვილს შეუვსეთ საკარმიდამო მიწის ფართობი? — იკითხა გამგებელმა.

მეურნეობის დირექტორმა ვაჟა მარჯანიძემ დავთარში ჩაიხედა:

— ქორა ქუმსიშვილის ოჯახი უკვე ფლობს 1,25 ჰექტარ მიწას.

ბრეთიდან ერთად წამოვედით.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

სხვათა შორის

გულში ჩამრჩა ბორის ჩოჩიევის ნათქვამი: „ღმერთმა ქნას, როგორც ქართველ ლტოლვილებს ხვდებიან ოსები, ისე შეხვდნენ ოს ლტოლვილებს ქართველებიო".

ჩემი ჟურნალისტური უბის წიგნაკი სავსეა იმ ქართველი ლტოლვილების სიით, რომლებსაც ყოველნაირად უშლიან ხელს თავიანთ კერაზე დაბრუნებაში. მეტიც. ცხინვალელი მოქალაქე იულია ცერაძე თავის სახლში რომ დაბრუნდა, ნასახლარზე ერთსართულიანი სახლის მაგივრად უზარმაზარი მშენებარე სასახლე დახვდა. გამოირკვა, რომ იულია ცერაძის საძირკველზე მშენებლობას ეწევა პოლიციის თანამშრომელი, ვინმე ტარზანა. უბრალოდ, მოეწონა ადგილი, მერე რა, რომ იქ სხვისი სახლი იდგა, დაანგრია და თავისთვის სასახლეს იშენებს. ხმის გამცემიც არავინაა. იულია ცერაძეს კი ცხინვალში ინსტანციიდან ინსტანციაში დაარბენინებენ და ამით ერთობიან კიდეც. არადა, ცივილიზებული კანონებით უნდა იცხოვრო კაცმა; მაშინაც კი, როცა ტარზანა გქვია.

ვგრძნობ, რომ ბორის ჩოჩიევსაც აქვს თავისი უბნის წიგნაკი, მაგრამ მინდა დავასწრო და ერთ ოსს გამოვექომაგო, რომელიც აგერ მთელი წელია იბრძვის, რომ გორში თავისი ოჯახით თავის კუთვნილ კომუნალურ ოროთახიან ბინაში დაბრუნდეს, საიდანაც ის „მაშინ" თავისი ნებით არ წასულა.

იმედიანად ვარ იმიტომ, რომ მისი განცხადება ამჟამად უზენაეს სასამართლოში მოხვდა და იქ სიმართლეს, ვიცი, იოლად ვერ გაამრუდებენ.

ძალიან მინდა, რომ განმცხადებელმა ნუგზარ დუდაევმა სანადელს მიაღწიოს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მართალი კაცია, მერეც — ჩემი მეგობარია.

ღმერთმა გაამარჯვებინოს იულია ცერაძესაც და ნუგზარ დუდაევსაც.

გ. ვ.

მადლი

ლტოლვილ ბავშვებს - უფასო სამედიცინო მომსახურება

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ეკოლოგიური კომისიის (თავმჯდომარე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი თენგიზ ურუშაძე) ინიციატივით საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიისა და მოზარდთა მედიცინის კათედრასთან ერთად (კათედრის გამგე, პროფესორი ყარამან ფალავა) მოეწყო სასტუმრო „ივერიაში" მცხოვრები ლტოლვილი ბავშვების გასინჯვა-კონსულტაცია.

ერთ დღეში გასინჯვა გაიარა 70-ზე მეტმა ბავშვმა. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში კათედრის გამგემ, პროფესორმა ყარამან ფალავამ თქვა, რომ ეს კათედრისა და ეკოლოგიური კომისიის პირველი ერთობლივი ღონისძიება როდია, ჯერ კიდევ შარშან, 5 ივნისს, გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს მცხეთაში, დუშეთსა და რუსთავში კათედრამ მოაწყო ბავშვთა შემოწმება, რათა გამოვლენილი ყოფილიყო გარემოს მდგომარეობასთან დაკავშირებული ეკოპათოლოგია. წელს გამოკვლევები ჩაატარეს კათედრის საუკეთესო ძალებმა – პროფესორმა ლელი ქერქაძემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ინგა მამუჩიშვილმა, ასისტენტმა დარეჯან ღიღებულიძემ და სხვებმა.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ ლტოლვილ ბავშვებში აღნიშნული გადახრები არა მარტო ეკოლოგიური ხასიათისაა, არამედ უფრო დაკავშირებულია ზოგად მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებთან. ფაქტია, რომ ამ ბავშვებს მეტი ყურადღება და დახმარება ესაჭიროება. განზრახული გვაქვს, ამ დახმარებას სისტემატური ხასიათი მივანიჭოთ, ბავშვები მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ გვეყოლება.

უახლოეს შაბათს მსგავსი ღონისძიება გაიმართება საქართველოს რესპუბლიკურ საავადმყოფოში მცხოვრები ლტოლვილი ბავშვებისათვის, ხოლო შემდეგ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში კომპაქტურად მცხოვრები ბავშვებისათვის.

ლელა ღონაძე.

ОСТАНОВИТЕ НЕЗАКОННУЮ ВЫРУБКУ ЛЕСОВ
РУССКИЙ ЛЕС — ЛИЦО РОССИИ
РОССИЙСКИЙ ЛЕС — ЛЕГКИЕ ПЛАНЕТЫ

რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს შენობასთან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა მოაწყვეს პიკეტი ეროვნული საგანძურის — ტყის განადგურების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ყველა უბედურება ეკრანიდან მოდის?

კანადის ონტარიოს პროვინციის ქალაქ ჩეტემის ერთ-ერთ სკოლაში მომხდარი ტრაგედია ცუდ რეკლამად გამოადგება ცნობილ ფილმს „შინ მარტო დარჩენილი", წერს ამერიკის გაზეთი „დეტროიტ ნიუზი". ათი წლის მაილზ ნეტსი თავისი ამხანაგების მსხვერპლი გახდა. თამაშის ეშხში შესულმა ბავშვებმა მეგობარი ბიჭუნა სკოლის გასახდელის ტანსაცმლის კაუჭზე ჩამოჰკიდეს. დახმარებამ დროზე ვერ მოუსწრო და ბიჭუნა საავადმყოფოში გარდაიცვალა ისე, რომ გონს არც მოსულა. გამომძიებელთა აზრით, მოსწავლეებმა გაითამაშეს ცნობილი ფილმის ერთ-ერთი ეპიზოდი, სადაც მძარცველებმა კავზე ჩამოჰკიდეს მაკოლეი კალკინი და დაიწყეს ბჭობა, რა ექნათ მისთვის. „შინ მარტო დარჩენილი" არცთუ უწყინარი ფილმი გამოდგა. კაცმა არ იცის, რა მოხდება, თუ ბავშვებს საშინელებათა ფილმის „გმირობანას" თამაში მოუნდათ, წერს გაზეთი.

ყოფილ კატორღელებს მონარქია აღარ სურთ

ავსტრალიის საკონსტიტუციო კრებამ ხმა მისცა მონარქიის გაუქმებას და რესპუბლიკის გამოცხადებას მწვანე კონტინენტზე, იუწყება როიტერის სააგენტო. ჯერ კიდევ განსასაზღვრელია რესპუბლიკის კონკრეტული მოდელი, მაგრამ დელეგატთა უმრავლესობა ამჯობინებს, რომ პრეზიდენტი დანიშნოს პრემიერ-მინისტრმა. რესპუბლიკური ოპოზიცია სახელმწიფოს მეთაურის საყოველთაო არჩევის მომხრეა. საკონსტიტუციო კრების გადაწყვეტილებას თავისთავად იურიდიული ძალა არ გააჩნია. სახელმწიფო წყობილების ესოდენ კარდინალური ცვლილებები მოითხოვენ საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმს, რომლის გამართვასაც გაისად ჰპირდება მოსახლეობას პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰოვარდი. ჯერჯერობით კი, გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ავსტრალიელები ამჯობინებენ რესპუბლიკას, რომლის პრეზიდენტს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით აირჩევდნენ. ამჟამად ავსტრალია, ინგლისის ყოფილი კოლონია, ბრიტანეთის თანამეგობრობაში შედის და სახელმწიფოს მეთაურად ელისაბედ დედოფალს აღიარებს.

გააუქმებენ ლორდთა პალატას?

ამ ბოლო დროს ლეიბორისტები დაჟინებით აყენებენ საკითხს ლორდთა პალატის ყოფნა-არყოფნის შესახებ, რის კატეგორიული მოწინააღმდეგეებიც არიან კონსერვატორები.

ბრიტანეთის ლორდთა პალატის უხუცესი წევრი ლორდი გრენვილი იშვიათად გამოჩნდება ხოლმე ვესტმინსტერის სასახლეში, მაგრამ წინა ხუთშაბათს განსაკუთრებული დღე იყო და ლორდმა საჭიროდ ცნო, მოენახულებინა კოლეგები. მას საუკუნე შეუსრულდა. სხვათა შორის, ლორდი თვლიდა, რომ სულ რაღაც... 99 წელიწადი უსრულდებოდა, მაგრამ მისმა მეუღლემ ლედი გრენვილმა გადაქექა ძველი საბუთები და ზუსტად დაადგინა, რომ ლორდს 100 წელიწადი შესრულებია.

78 წლის გლაფკოს კლირიდისი კვლავ აირჩიეს კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტად მეორე ხუთწლიანი ვადით. დამთავრებული აქვს ლონდონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის და იურისპრუდენციის ფაკულტეტები. 1939-1945 წლებში მსახურობდა ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებში, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, იყო გერმანელთა ტყვეობაში. 1960 წლამდე მისდევდა საადვოკატო პრაქტიკას, მონაწილეობდა კვიპროსელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში. 1959-1960 წლებში იყო კვიპროსის დროებითი მთავრობის იუსტიციის მინისტრი, 1961-1976 წლებში — წარმომადგენელთა პალატის (პარლამენტის) თავმჯდომარე, 1974 წელს — საგარეო საქმეთა, თავდაცვის, შინაგან საქმეთა მინისტრი. 1993 წელს აირჩიეს კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტად. ლიდერია „ეროვნულად მოაზროვნე მოქალაქეთა ერთიანი პარტიისა".

ბუნდესტაგმა მხარი დაუჭირა მწეველებს

გერმანიის ბუნდესტაგმა 330 ხმით 250-ის წინააღმდეგ უარყო კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა თამბაქოს წევის აკრძალვას საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სახელმწიფო დაწესებულებებში, ხოლო კერძო კომპანიებს სთავაზობდა გამოეყოთ სპეციალური ოთახები მწეველებისათვის. კენჭისყრის შედეგი წინასწარ განსაზღვრა ჯანდაცვის მინისტრის გამოსვლამ, რომელმაც აღიარა თამბაქოსა და მისი კვამლის მავნეობა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, და ამასთანავე დასძინა, რომ კანონპროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოჰყვება „ახალი ბიუროკრატიული ზედნაშენის შექმნა". მინისტრმა წამოაყენა წინადადება, შემოთავაზებული „მოქალაქეთა ჩვეულებებისადმი სახელმწიფო კონტროლის" ღონისძიებების ნაცვლად მეტი ყურადღება დაუთმონ საგანმანათლებლო საქმიანობას. გერმანიაში პრაქტიკულად არსად არ იკრძალება და არ იზღუდება თამბაქოს წევა.

კანონპროექტის ჩავარდნა შედეგად მოჰყვა არა იმდენად მინისტრის არგუმენტაციას, რამდენადაც სალ საფინანსო გაანგარიშებას. კერძო საწარმოებში „თამბაქოს წევისაგან თავისუფალი ზონების" შექმნა ფირმებს დაუჯდებოდა 7,1 მილიარდი მარკა, ხოლო სამთავრობო დაწესებულებებს 1,3 მილიარდი.

ყაზახეთმა პრივატიზაცია შეაჩერა

თავის პირველ პრესკონფერენციაზე, რომელიც ჟურნალისტებს ყაზახეთის ახალ დედაქალაქ აქმოლაში გაუმართა, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ნურლან ბალგიმბაევმა გამოაცხადა, რომ მთავრობამ შეაჩერა ეკონომიკის ნავთობგაზის სექტორის ობიექტების პრივატიზაცია.

„ჩვენ უნდა შევჩერდეთ და განვსაზღვროთ, რა გვინდა, სადა ვართ და რა გვაქვს", — თქვა მთავრობის მეთაურმა. მან დაიმოწმა პრეზიდენტ ნაზარბაევის თანხმობა და დააზუსტა, რომ ნავთობისა და გაზის ობიექტების პრივატიზაციის შეჩერების გადაწყვეტილება გამოწვეულია, ჯერ ერთი, საექსპორტო ნავთობსადენების მშენებლობის რიგითობის განსაზღვრის საჭიროებით, და მეორეც, ეროვნული ნავთობგაზის კომპანიის „ყაზახოილის" სტრატეგიული პარტნიორის ძებნით. ეს კომპანია პირმშოა თვით ბალგიმბაევისა, რომელიც მისი პირველი პრეზიდენტი იყო.



დიდთოვლობამ, შემდეგ კი თოვლის ლხობამ წყალდიდობა გამოიწვია ბულგარეთის ჩრდილოეთ რაიონებში.

ისლამისტები ქრისტიან ზანგებს ხოცავენ

სუდანის მცხოვრების პირადი თავისუფლება შეიძლება შეფასდეს არც მეტი, არც ნაკლები — 100 დოლარად, წერს ამერიკის გაზეთი „დეტროიტ ნიუზი". ამ რამდენიმე დღის წინათ, ქრისტიანული სოლიდარობის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მონობისაგან გაათავისუფლეს 150-ზე მეტი კაცი და ყოველი მათგანის თავში ას-ასი დოლარი გადაიხადეს. მონობა არცთუ იშვიათი მოვლენაა სუდანის ჩრდილოეთი რაიონებისათვის. სწორედ აქ მოერეკებიან არაბები მონობაში ქვეყნის სამხრეთის მცხოვრებთ. 1956 წლიდან, როდესაც სუდანის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო. ისლამურმა მთავრობამ, რომლის დასაყრდენიც არის არაბებით დასახლებული ჩრდილოეთი ნაწილი, „საღვთო ომი" გამოუცხადა „ურჯულოებს". ქრისტიანობის მიმდევარი შავკანიანი სამხრეთელები ამ სასტიკი სასაკლაოს მსხვერპლნი გახდნენ. მათ გამუდმებით ამცირებდნენ, იმოწებდნენ, ხოცავდნენ. დღემდე უკვე დაიღუპა სუდანის მილიონ-ნახევარი მცხოვრები. სამი მილიონი ქრისტიანი სუდანელი ტყვედ არის შეპყრობილი, ან დევნილია მამაპაპეული ტერიტორიიდან.

პეტიცია — ნათესავების სანახავად

ჩრდილოეთ კორეის მთავრობას განზრახული აქვს თავის მოქალაქეებს მიანიჭოს შესაძლებლობა, ეურთიერთონ თავიანთ ნათესავებს ნახევარკუნძულის სამხრეთში, იუწყება ამერიკის გაზეთი „იუ-ეს-ეი თუდეი". მთავრობის უკანასკნელი რადიოცნობის თანახმად, სპეციალურად შექმნილი კომისია მიიღებს პეტიციების სამხრეთში მცხოვრებ ნათესავთა გვარ-სახელებით. შემდეგ ინფორმაცია გადაეცემათ სამხრეთ კორეის ხელისუფალთ და მათი უშუალო მონაწილეობით ადამიანები, ორმოც წელიწადზე მეტი ხანგამოშვების შემდეგ, შეძლებენ შეხვდნენ თავიანთ ნათესავებს. 1953 წელს ნახევარკუნძულზე ომის დამთავრების შემდეგ ერთიანი კორეა ორ ნაწილად გაიყო. ათი მილიონი კორეელი საზღვრის მეორე მხარეს, თავის ახლობლებისაგან დაშორებით აღმოჩნდა. ორ ქვეყანას შორის დაძაბული ვითარების გამო მათი ურთიერთობა შეუძლებელი გახდა. ნათესაური კავშირის აღდგენის ინიციატივის გამოჩენა პირველად მოხერხდა 1985 წელს. მაშინ, ორმოცდაათ კორეელს წილად ხვდა ბედნიერება, ენახა ნათესავები. დღემდე ეს ერთადერთი ასეთი შემთხვევა იყო.

ყველას თავისი ანგელოზი ჰყავს



ინგლისის ჩრდილოეთში ქალაქ გეიტსჰედის მახლობლად, ერთ-ერთი მთავარი ავტომაგისტრალის პირას მთავრდება უზარმაზარი ფოლადის ქანდაკების დადგმის სამუშაოები. მხატვარ ენტონი გორლის ამ ქმნილებამ, რომელსაც „ჩრდილოეთის ანგელოზი" ეწოდება, აიმხედრა ადგილობრივი საზოგადოებრიობა არა იმდენად მეტისმეტად დიდი ზომის (ფიგურის სიმაღლე 20 მეტრს აღემატება, ფრთების გაშლა 50 მეტრს), რამდენადაც „ანგელოზის" სიძვირის გამო. მისი შექმნა თითქმის მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა.

თურმე ასლი არ მოუპარავთ?

ნიშანი, რომელიც ოდესღაც ერთმანეთისაგან ჰყოფდა ბერლინის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს და ქალაქის ერთ-ერთ მუზეუმში ინახებოდა, ბოროტმოქმედებმა მოიპარეს, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო. ცივი ომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბოლო გამოკრული იყო ჩარლის გასაშვებ პუნქტში 1961 წლამდე, როდესაც ბეტონის ბერლინის კედელი აღიმართა. ერთი კვადრატული მეტრი სიდიდის ხის ფირნიში მოქალაქეებს ოთხ ენაზე აფრთხილებდა: „თქვენ ტოვებთ ამერიკის სექტორს". როგორც მუზეუმის წარმომადგენლებმა თქვეს, თუმცა ექსპონატი დედნის ასლი იყო, მაგრამ მაინც ჰქონდა სენტიმენტალური ღირებულება.

ის მემარცხენეები ნაცისტებზე უარესები ყოფილან

გერმანიის ქალაქ მაგდებურგის მცხოვრებნი, თურმე, ვერ არჩევენ ნაცისტებს „უკიდურესი მემარცხნეებისაგან", წერს ამერიკის გაზეთი „იუ-ეს-ეი თუდეი". ამის მიზეზი გახდა ულტრამემარცხენე ახალგაზრდობის ამასწინანდელი დემონსტრაციები. ათასობით კაცმა ჩაიარა ქალაქის ქუჩებში პროტესტებით ნეონაცისტთა მხრივ ძალადობისა და სისასტიკის გამო. პოლიციას, რომელიც აქ მოვიდა, რათა თავიდან აეცილებინა მოპირისპირე დაჯგუფებათა შეტაკება, თავს დაესხნენ დემონსტრანტები. პოლიციელებმა ხელჯოხები იხმარეს, დემონსტრანტებმა — ქვები. გაშმაგებული და „გაუგებელი" ახალგაზრდობა ყველაფერს მუსრავდა: მაღაზიის ვიტრინებს, ბანკებსა და ოფისებს. სეტყვასავით უშენდნენ ქვას ჟურნალისტებსა და გამვლელებს. ამის შედეგად, ოცდაათზე მეტი კაცი ჰოსპიტალიზებულია. პოლიციამ დააპატიმრა ორასზე მეტი „მემარცხენე" ყმაწვილი, რომლებმაც სამუდამოდ გაიტეხეს სახელი ქალაქის მცხოვრებთა თვალში.

„მადონა ხრმით" საყოველთაოდ არის ცნობილი, ეს სურათი კი „მადონა კარამელით" პირველად ქვეყნდება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს გაზეთში.

ასრულდა ინგლისელ მასწავლებელთა ოცნება

ბრიტანეთის საშუალო სკოლების მასწავლებლებს ნება მიეცემათ, იხმარონ ზომიერი ფიზიკური ძალა უდისციპლინო მოსწავლეების დასაშოშმინებლად, წერს „დეილი ტელეგრაფი". მასწავლებლებს შეუძლიათ ხელით დაიჭირონ, და ძალით გაათრიონ კაბინეტიდან ჩხუბისთავები, აგრეთვე, ის ყმაწვილები, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ გაკვეთილი ან იხულიგნონ. განათლების სამინისტროს განკარგულებით, საგანგებოდ არის აღნიშნული უდისციპლინო ყმაწვილთა აღკვეთის დაუშვებელი ღონისძიება. მაგალითად, მასწავლებელს ეკრძალება ბავშვებისთვის მაჯების ამოტრიალება, თმით დათრევა და კისერში ხელის წავლება. „გონიერული" ფიზიკური ზემოქმედების შემოღებას მოითხოვდნენ თვით მასწავლებლები, ვინაიდან ამ ბოლო დროს გახშირდა მოსწავლეთა მხრივ „ხელის გამოღების" შემთხვევები. მასწავლებლები იძულებული იყვნენ „გამკლავებოდნენ" ყმაწვილებს და ამის შედეგად სასამართლოში ხვდებოდნენ. ფიზიკური დასჯა ინგლისის სკოლებში 10 წლის წინათ გაუქმდა. მაშინვე დაიწყო ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ლიკვიდაცია და ჩვეულებრივ სკოლებში გადაყვანა. ამ თითქოსდა ჰუმანურ ღონისძიებას შედეგად მოჰყვა სკოლების მკვეთრი კრიმინალიზაცია.

ბონი: ძლიერდება ანტიებრაული განწყობილება

გაზეთ „რაინიშე პოსტს" აფიქრებს ანტისემიტური განწყობილების გაძლიერება გერმანიაში. ქვეყანაში ყოველთვიურად მატულობს ანტისემიტიზმის ნიადაგზე ჩადენილ კანონის უხეშ დარღვევათა რიცხვი. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მკვეთრი ზრდა აღნიშნა სწორედ ოფიციალურმა სტატისტიკამ, რომელიც, როგორც სტატისტიკა მოწმობს, ყოველთვის ამცირებს ხოლმე რეალურ მონაცემებს. სინამდვილეში კი უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ ებრაელებისადმი სიძულვილის ნიადაგზე დანაშაულობათა ნამდვილი ტალღის აზვირთების შესახებ. თავისი ვერსიის დასტურად, გაზეთი იშველიებს იგივე სტატისტიკას, რომელიც მოწმობს, რომ ებრაელებზე პროვოკაციული თავდასხმების რიცხვი ყოველ სამ თვეში ორკეცდება. მარტო გასული წლის ბოლო კვარტალში პოლიციას მიმართა 250-მდე ებრაელმა განცხადებებით რასობრივი სიძულვილის ნიადაგზე თავდასხმის შესახებ. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ გერმანიაში კვლავ იწყება ებრაელთა დევნა-შევიწროება. ასეთ შემთხვევაში, გაზეთის აზრით, კვლავ აგორდება იმიგრაციის ახალი ტალღა.

წმინდა ვალენტინის დღეს, მიჯნურთა მსოფლიო დღესასწაულზე, 39 წლის მსახიობმა შერონ სტოუნმა ჯვარი დაიწერა 47 წლის გამომცემელზე ფილ ბრონშტეინზე.

მაგნიტური დღეები აღარ იქნება საშიში

„მაგნიტურ ქარიშხალს შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს ადამიანთა ჯანმრთელობაზე და მწყობრიდან გამოიყვანოს კავშირგაბმულობის სისტემა", ამტკიცებს გაზეთი „როსიისკიე ვესტი". სწორედ ამიტომ, რუსეთში იქმნება მზის აქტივობის მერყეობის მონიტორინგის სისტემა. რიგითი მოქალაქეებისათვის შემუშავდება პორტატული ხელსაწყო, რომელიც მზის აქტივობის დონეს აფიქსირებს. იგი სიდიდით სიგარეტის დასტაზე მეტი არ არის და დაახლოებით 300 გრამს იწონის. „თუ თქვენი გულსისხლძარღვთა სისტემა მყისვე რეაგირებს მზის აქტივობაზე, თქვენ შეგეძლებათ ზუსტად განსაზღვროთ, როდის უნდა დაიწყოთ აბის ყლაპვა", — დასძენს გაზეთი.

მარშალი პლაჟინსკი:

პოლონეთში რუსოფობია არ არის

პოლონეთსა და რუსეთს შორის უვიზო რეჟიმის ხელშეკრულება გაუქმდა, რაც ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევს ორივე ქვეყანაში. როგორც პოლონეთის სეიმის მარშალმა მაჩეი პლაჟინსკიმ განაცხადა, ამ ღონისძიების მიზანია მოაწესრიგოს პოლონეთში სტუმრების ჩასვლა. პოლონეთში რუსოფობია არ არსებობს, თქვა მარშალმა, მაგრამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში არის ბევრი მოსაგვარებელი მომენტი. რა თქმა უნდა, ჩვენ ვგმობთ ძეგლების უპატივცემულობას, მით უმეტეს წაბილწვას, როგორც ეს ბიდგოშჩში მოხდა. მაგრამ, მეორე მხრივ, პოლონელები არ თვლიან, რომ 600 ათასი საბჭოთა მეომარი, რომლებიც პოლონეთში დაიღუპნენ, გამათავისუფლებლებად მოვიდნენ. ხულიგნური გამოხდომები წინათაც ყოფილა და ახლაც არის. ხდება ხოლმე, რომ ეწყობა ანტიგერმანული გამოსვლები, ანდა ვთქვათ, ჩვენივე, პოლონელების საფლავებს ძარცვავენ... ბუნებრივია, პოლონელები ვერ იქნებიან აღტაცებული იმით, რაც მათ საბჭოთა კავშირმა, უფრო სწორად, კომუნისტურმა რეჟიმმა უყო. მაგრამ, უნდა განვასხვავოთ ძეგლები, რომელთაგან ერთნი უცხო ხელისუფლების სიმბოლოს წარმოადგენენ, მეორენი კი ჰიტლერიზმთან ბრძოლაში დაღუპულ მეომართა პატივისცემად აღიმართა.

ალჟირელ გლეხებს ეშველებათ?

ალჟირის არმიამ წარმატებული ოპერაცია განახორციელა ისლამისტი ბოევიკების წინააღმდეგ, რომლებიც ექვსი წელიწადია ატერორებენ ქვეყნის მშვიდობიან მოსახლეობას, იუწყება როიტერის სააგენტო, იმოწმებს რა ალჟირის გაზეთებს. სამხედრო ოპერაციას წინ უძღოდა ალჟირელთა მორიგი სისხლიანი დაწიოკება. ბოევიკებზე შეტევა ერთდროულად განხორციელდა ქვეყნის რამდენიმე რაიონში, დახოცეს 50-ზე მეტი ტერორისტი. გაზეთ „აუთენტიკის" მონაცემებით, ჯარის ქვეგანაყოფებს ალჟირის სამხრეთ-დასავლეთში ალყაშემორტყმული ჰყავთ 150-ზე მეტი ბოევიკი, რომელთა შორის არის ისლამისტ ტერორისტთა ხელმძღვანელი ანთარა ზუაბრი. 29 წლის ზუაბრი შეიარაღებულ ისლამისტურ დაჯგუფებას სათავეში ჩაუდგა 1995 წლის ივლისში, როდესაც წინანდელი ლიდერი ჯამალ ზიტუნი დაიღუპა. ამასობაში, მეორე ექსტრემისტული დაჯგუფების, „ისლამური ხსნის ფრონტის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია არ იწონებს მშვიდობიან მცხოვრებთა ხოცვას. ამ თვე-ნახევარში ტერორისტებმა თითქმის 1500 მშვიდობიანი მოქალაქე დახოცეს. დასავლეთის წყაროების მონაცემებით, მუსლიმან ტერორისტთა მსხვერპლთა რიცხვმა 6 წლის მანძილზე 65 ათასს მიაღწია.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას" მასალების მიხედვით.

გვერდის რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

ქვეყანა

იხვეწება შრომის ბაზრის მექანიზმი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ამოცანები — 1998 წლის ინდიკატური გეგმა

ქვეყანაში საერთო ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღებასთან ერთად ეკონომიკური ზრდის აღებული სწორი კურსის შენარჩუნება-განმტკიცების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების წინაშე მდგარი პრობლემების მოწესრიგება და მათი მოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

უპირველეს ყოვლისა, ბევრი პრობლემა დაგროვდა სამრეწველო წარმოების შემდგომი განვითარების სფეროში, რის შედეგადაც დღეისათვის ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი მხოლოდ მინიმალურ დონეზე — არაუმეტეს 10 პროცენტის ფარგლებში გამოიყენება, მ. შ., მსუბუქ მრეწველობაში — 7 პროცენტამდე, მანქანათმშენებლობაში — 10 პროცენტამდე და ა.შ.

სამრეწველო წარმოების განვითარების ძირითად პრობლემას ისევ მისი ავტონომიურ რეჟიმში ფუნქციონირების დაბალი უნარი და კონცენტრაციის მაღალი — დონე წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დარგის ცალკეულ საწარმოთა კარდინალური რესტრუქტურიზაციის აუცილებლობა ჯერ კიდევ მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა დააყენა, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობა ამ მიმართულებით ჯერჯერობით ისევ ნელი ტემპებით მიმდინარეობს. დარგში შექმნილი მდგომარეობის რეალურად გამოსწორება კი ამ პროცესის ყოველნაირად დაჩქარებას მოითხოვს, რაც, უპირველესად, მსხვილი სამეურნეო ერთეულების დანაწევრებასა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების შესაძლებლობებს გულისხმობს. ამასთან ცხადია, რომ მოქმედებას გააგრძელებენ მხოლოდ ქმედითუნარიანი სტრუქტურული ერთეულები, რომელთა პროდუქციასაც იმავდროულად გასაღების ბაზარიც ექნება.

1998 წელს გარკვეული ცვლილებებია სავარაუდო სოფლის მეურნეობის განვითარებაში. კერძოდ, ამ წელს ძირითადად უნდა დამთავრდეს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების თვითუზრუნველყოფის პრინციპით მოქმედება და თანდათანობით კურსი ღია საბაზრო ეკონომიკის პრინციპზე უნდა იქნეს აღებული. ამის უზრუნველყოფის აუცილებელ გარანტიას კი ახლო მომავალში საადგილმამულო ურთიერთობათა ძირეული ტრანსფორმაცია და მიწის თავისუფალი ბაზრის ფორმირება წარმოადგენს.

ამ მიმართულებით დიდ მნიშვნელობას იძენს, აგრეთვე, აგრარული რეფორმის დაჩქარება და სოფლად მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბება, მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების შექმნა და მათი შესაბამისად გადამამუშავებელ საწარმოებთან ურთიერთ მისაღებ პირობებში ინტეგრირება. ასეთი მიდგომა თავის მხრივ ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც ადგილობრივი მოხმარების სრულად დაკმაყოფილებას, ასევე საერთაშორისო ბაზარზე ჯეროვანი პოზიციების აღდგენასა და დამკვიდრებას.

1998 წელს უფრო ქმედითი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგმება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის მოქმედების გააქტიურების თვალსაზრისით. ამ მიზნით, პირველ რიგში, დაჩქარდება საქართველოს რკინიგზის, საავტომობილო გზების, ფოთისა და ბათუმის საზღვაო ნავსადგურების რეკონსტრუქციის და მოდერნიზაციის სამუშაოების ჩატარება, 1998 წლიდან მოსალოდნელია საბორნე კავშირების მასშტაბების გაფართოებაც.

რეალური სექტორის ძირითად დარგებში სავარაუდო სტრუქტურული გარდაქმნების აღნიშნული მიმართულებები მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბებასაც. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, 1998 წელსაც ინვესტიციური პოლიტიკა ძირითადად მიმართული იქნება მოსახლეობის სოციალური დაცვისაკენ, ენერგეტიკული კრიზისის დაძლევისაკენ, სასურსათო პრობლემის რეალიზაციისაკენ, კომუნიკაციების განვითარებისაკენ და საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოების ხელშეწყობისაკენ. ამასთან, ინვესტიციების ძირითად წყაროდ ისევ გარედან მოზიდული თანხები დარჩება, რომელთა მასშტაბებიც საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების შესაბამისად თანდათანობით გაფართოვდება.

1998 წელსაც აქტიური იქნება სახელმწიფოებრივი საქმიანობა სოციალურ სფეროშიც. პირველ რიგში, იგი მიმართული იქნება დასაქმების პრობლემის გარკვეულწილად დარეგულირებისაკენ. ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით დაჩქარდება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, უფრო აქტიური გახდება სახელმწიფოს როლი შრომის ბაზარზე დაბალკონკურენტუნარიან პირთა დასაქმების შესაძლებლობათა გაფართოების მიმართულებით, დაიხვეწება შრომის ბაზრის რეგულირების მექანიზმიც.

მოსახლეობის შემოსავლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპებად კვლავ დარჩება ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პარალელურად შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის, პენსიების, სტიპენდიების და დახმარებების საარსებო მინიმუმთან თანდათანობით მიახლოება, მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ნაწილის მიზანმიმართული სოციალური დაცვის ღონისძიებათა გაძლიერება არსებული რესურსების დიფერენცირებული მიდგომებით გადანაწილების გზით და მოსახლეობის არაშრომისუნარიანი ნაწილის სოციალური უზრუნველყოფის მყარი გარანტიების შექმნა.

ყოველივე აღნიშნულის პრაქტიკულად რეალიზაციის პირობებში, 1998 წელსაც სავარაუდოა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, რაც მთლიანობაში 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმით გათვალისწინებული საშუალო ტენდენციების ფარგლებში იქნება. კერძოდ, 1998 წელს 1997 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზრდება 14,7-23,5 პროცენტით (1996-2000 წლების გეგმით საშუალო წლიური ზრდის ტემპი 15,2-17,3 პროცენტს შეადგენს), სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციისა 4,2-8,3 პროცენტით (5,5-7,2 პროცენტი), კაპიტალური დაბანდებებისა დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით — 35,4 პროცენტით (63-66 პროცენტი), ტვირთბრუნვისა ყველა სახის ტრანსპორტით — 2,9-ჯერ — 3,8-ჯერ (17,1-18,5 პროცენტი), მგზავრთბრუნვისა ყველა სახის ტრანსპორტით 13,4-15,8 პროცენტით (7,9-8,3 პროცენტი), საცალო ვაჭრობისა — 6,7-11,5 პროცენტით (11-12,3 პროცენტი), მოსახლეობის ფასიანი მომსახურებისა — 17,4-21,7 პროცენტით (14,3-16,2 პროცენტი), პროდუქციის ექსპორტისა — 29,7 პროცენტით (34-35,5 პროცენტი), პროდუქციის იმპორტისა — 19 პროცენტით (15,6-17,5 პროცენტი) და ა.შ. ამ პირობებში კი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდა სავარაუდოა 11-13,2 პროცენტის ფარგლებში, რაც 1996-2000 წლებისათვის განსაზღვრული საშუალო წლიური მაჩვენებლის დონეზეა (12-13,5 პროცენტი).

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შესაბამისად იგეგმება მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაც. კერძოდ, დასაქმების მაჩვენებლის ზრდასთან ერთად წინმსწრები ტემპებითაა ნავარაუდევი მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების ზრდაც. 1998 წელს საშუალო ხელფასი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 55-81 პროცენტით გაიზრდება და 90-105 ლარს მიაღწევს, ხოლო საბიუჯეტო სექტორში საშუალო ხელფასის 1,5-2-ჯერ ზრდაა ნავარაუდევი და იგი 60-80 ლარის ფარგლებში იქნება. მართალია, აღნიშნული ნომინალური პარამეტრები ოდნავ ჩამორჩება საპრეზიდენტო პროგრამით გათვალისწინებულს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ინფლაციის ტემპებს შორის დადებით სხვაობას, რეალურ განზომილებაში უფრო მეტობასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ნაკლებობასთან, ვინაიდან ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება სხვაობა ინფლაციის ტემპებს შორის არა მარტო 1998 წელს, არამედ წინა წლებშიც და, როგორც მოგეხსენებათ, მარტო 1996 წელს ნაცვლად ნავარაუდევი 129 პროცენტისა წლიურმა ინფლაციის ზრდის ტემპმა მხოლოდ 113,5 პროცენტი შეადგინა.

ვფიქრობთ, რომ 1998 წლისათვის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის აღნიშნული პარამეტრები შესაბამისობაშია მის ეკონომიკურ პოტენციალთან და ამდენად რეალურია. ამასთან, მათი პრაქტიკული რეალიზაცია დამოკიდებულია იმ კონკრეტული ღონისძიებების მთელი კომპლექსის სრულად შესრულებაზე, რომელიც მოცემულია ინდიკატური გეგმის საგეგმო-მარეგულირებელ ნაწილში ეკონომიკის ყველა დარგისა და სფეროს მიხედვით.

ვლადიმერ პაპავა,
საქართველოს ეკონომიკის მინისტრი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 40.



ინფორმაცია

პრემიის თანხა საქართველოში დატოვა

საქართველოს კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა გერმანიიდან მიიღო ცნობილი ქართველი მუსიკოსის, საერთაშორისო, რუსთაველის პრემიების ლაურეატის ლიანა ისაკაძის წერილი. იგი იტყობინება, რომ გადაწყვეტილი აქვს მისი კუთვნილი რუსთაველის პრემიის თანხა გაუნაწილდეთ და ერთი წლით დაენიშნოთ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საუკეთესო სტუდენტს — მევიოლინე ბელა მახარაძეს, პროფესორ ლეო შიუკაშვილს, მის ყოფილ პედაგოგს და პედაგოგ ეთერ პაპაშვილს.

„სოფლის ქრონიკები“

საქართველოს ტელევიზიაში დაიბადა ახალი პროგრამა — „სოფლის ქრონიკები“ (სტუდია „პუბლიცისტი“. ტელეკომპანია პირველი არხი). პროგრამას გამიზნული აქვს გააშუქოს ქართული სოფლის ავ-კარგი, მრავალდარგოვანი მეურნეობის პრობლემები, გლეხთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

საბაზრო ეკონომიკამ რადიკალურად შეცვალა სოფლად ცხოვრების წესები, დაიწყო ახალი მოდელების დანერგვა, რაც არცთუ უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ამ პროგრამით შეეშველოს ქართული სოფლის აღორძინებას. პირველი გამოშვება 8 თებერვალს შედგა და პროფესიულად გაკეთებულმა სიუჟეტებმა მაყურებელს სამომავლო იმედები დაუტოვა.

სასამართლომ განაჩენი გამოიტანა

„თბილსრესის“ ყოფილ დირექტორს ბადრი დარჩიას გუშინ გამართულ სასამართლო პროცესზე 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მის მოადგილეს ვლადიმერ დეერისაშვილს მიუსაჯეს 8 წელი სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. „თბილსრესის“ დანარჩენ 4 დაპატიმრებულ თანამშრომელს სხვადასხვა სასჯელი შეეფარდათ, ხოლო კიდევ 9 თანამშრომელი თავდებით არის გათავისუფლებული.

სასჯელის გამოტანის დროს მოსამართლე ირაკლი ბიბილაშვილმა განაცხადა, რომ განსასჯელებს მინიმალური სასჯელი გამოუტანა, რადგან ეს მათთვის პირველი ნასამართლეობაა და ყველა მათგანს დადებითად ახასიათებენ.

ბადრი დარჩია და მისი თანამონაწილენი 1996 წელს დააპატიმრეს სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ბრალდებით. როგორც ძიების მსვლელობისას გაირკვა, დარჩიამ და მისმა თანამონაწილეებმა ყალბი დოკუმენტების გაფორმებით 300 ტონა მაზუთი გაიტანეს და გაყიდეს, სულ 25 ათას ლარზე მეტი ღირებულების.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „ბეამ“, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

ტურიზმი

საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც 7 თებერვალს გაიმართა, ისაუბრეს იმის თაობაზე, რომ ტურიზმი ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია და საჭიროა მას გავუძღვეთ თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნათა შესაბამისად, რათა ტურიზმი გახდეს სახელმწიფო ბიუჯეტში სავალუტო შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო.

ყოველივე ამის შესახებ გვესაუბრებიან დღეს კომპეტენტური ავტორები.

დავინახოთ დიდი ბიზნესის რეალობა

საქართველოს პარლამენტის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ქვეკომიტეტთან შექმნილია საკოორდინაციო ჯგუფი, რომელმაც დამუშავდა და შემდგომ მიღებული იქნა კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, რომელიც მთლიანად შეესაბამება ეროვნულ ინტერესებს, თანხვედრილია და აკმაყოფილებს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის საერთაშორისო მოთხოვნებს. ეს არის მისივე ექსპერტიზის დასკვნა.

ამჟამად განსახილველად წარდგენილია კანონპროექტები კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონებისა და საკურორტო მოსაკრებლის შესახებ.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნულ კანონში მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული შეღავათები დარგის განვითარებისათვის (ასე, მაგალითად, ტურისტების მიღება-მომსახურება დადასტურებულია ექსპორტად და არ იბეგრება).

კანონი კი მივიღეთ, მაგრამ საქმის წინსვლას ვერ ვხედავთ, ყოველ შემთხვევაში, რეფორმის ტემპი ძალიან ნელია.

ზოგიერთი მიზეზის შესახებ:

პირველი. რეგიონებში არც ერთ დონეზე პრაქტიკულად აღარ არსებობს არანაირი რგოლი, რომელიც რაიმე საქმიანობას ჩაუდგებოდა სათავეში დარგის თუნდაც უმნიშვნელო საკითხების წარმართვისათვის და თუ არსებობს, მხოლოდ ფორმალურად.

ვფიქრობ, პირველ რიგში, ეს საკითხი ცენტრის გარეშე, ადგილებზე უნდა მოგვარდეს.

მეორე. ცენტრი, ანუ სახელმწიფო დეპარტამენტი, ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო, ვერ მოქმედებს რეფორმატორულად, თუმცა, მას აქვს სურვილი. მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, უსახსრობაა და, ამასთანავე, გარკვეულწილად, ახლებურად მოაზროვნე კადრების ნაკლებობაც.

მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტმა დაამუშავა დარგის განვითარების ზოგიერთი მიმართულება, პრაქტიკაში ამან ასახვა ვერ პოვა დაფინანსების უქონლობის გამო.

არავისთვის ახალი არ არის, რომ ტურიზმი აღარაა მხოლოდ ზურგჩანთებით მთაში გასეირნება, ტყე-პარკებში ლაშქრობები. დღევანდელი ტურიზმი მრავალ წარმატებულ ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური ბერკეტია სახელმწიფოში (მაგალითისათვის, ესპანეთის ბიუჯეტში ტურიზმის წილი 16 პროცენტამდეა, საბერძნეთსა და ისრაელში — 27). საქართველოს რეალურად აქვს საშუალება დაუახლოვდეს ამ ციფრებს.

და მესამე, უინიციატივობა — შეიძლება რბილად ასე ვუწოდოთ იმ სენს, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენი ქვეყნის სხვა დარგებსაც ახასიათებს. „ჩემი კეთილდღეობისათვის ეს მცირეც საკმარისიაო“ და ამით კმაყოფილდებიან.

თუ ზემოდან არ მოვიდა დირექტივა (როგორც ეს ადრე იყო), მიდის თავისი დინებით, ულიმღამოდ ყოველგვარი საქმიანობა. არც თავისი და არც სახელმწიფოს მომავალი არ აინტერესებთ, ან ხშირად პერსპექტივის აღქმის უნარიც არ გააჩნიათ.

დღეს ასეთი ადამიანების სახელმწიფო სამსახურში ყოფნა, ყველა დონეზე, მიუღებელია. ცხოვრებამ მოიტანა და სტიქიურად წარმოიშვა კერძო სასტუმროები. ეს უკვე რეალურად იძლევა საოჯახო და მცირერიცხოვანი ტურისტული ჯგუფების მიღების საშუალებას.

ამასთან, საჭიროა რაღაც, თუნდაც ერთიანი ცნობარის შემუშავება ამ სისტემის სასტუმროების აღრიცხვისათვის, და შემდგომ დახმარების გაწევა — ტურისტული მიმართულებების, მარშრუტების შერჩევის, წამოჭრილი პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტისათვის.

ამასთან, გარკვეულწილად, სახელმწიფო თუ კერძო ინვესტიციები უნდა ჩაიდოს მათი საქმიანობის გაფართოებისა და გაძლიერებისათვის.

რა თქმა უნდა, ტურიზმის სტიქიურად განვითარება დაუშვებელია. საჭიროა თითოეული რეგიონისთვის კვალიფიციურმა სპეციალისტებმა შეიმუშაონ კონკრეტული პროგრამები. ასე ხდება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

საქართველოში არსებულ უდიდეს ტურისტულ-საკურორტო რესურსს ემატება ამ დარგის გამოცდილი სპეციალისტებიც. ერთი კია, რომ ახლებური მიდგომები, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებს — როგორც ზემოთ ვთქვი, ყველაფერს სახელმწიფოდან არ უნდა ველოდოთ.

ისრაელში მკვდარი ზღვის ბალნეოცენტრი, ერთი შეხედვით, მართლაც გააოცებს ადამიანს. მაგრამ სამედიცინო პრაქტიკული თვალსაზრისით არანაირ საოცრებას არ წარმოადგენს. ეს უფრო ებრაელი ხალხის პირადი ინტერესია თავისი სახელმწიფოს სიყვარულისა და მისი ამაღლებისათვის, რაც ჩვენში, სამწუხაროდ, იშვიათია.

საკურორტო რესურსები არ გვაკლია, საჭიროა თანამედროვე, თუნდაც მცირე, კომფორტული სამკურნალო გამაჯანსაღებელი ობიექტების მოწყობა. ამაზე კი ადგილებზე ობიექტების ხელმძღვანელებმაც უნდა იზრუნონ. მოგვეცით ფული და ყველაფერს გავაკეთებთ — ასეთი მიდგომით საქმე არ გაკეთდება. ფულს ძებნა სჭირდება.

ბაკურიანში და მესტიაში უკვე შარშან ათასობით ტურისტი მიიღეს მცირე, კომფორტულ საოჯახო სასტუმროებში. ადგილობრივ ბიუჯეტში შესული თანხებით გზები და ხიდებიც შეკეთდა და მოსახლეობასაც გარკვეული საარსებო თანხები გაუჩნდა.

მრავალი უცხოელი ინვესტორი ჩამოდის საქართველოში. სამწუხაროდ, ხშირად მომისმენია მათგან გაკვირვებული და თანაც ნაწყენი საუბარი: „ბევრ თქვენს თანამემამულეს სხვის ხარჯზე სურს გამდიდრება. ობიექტებზე, რომლებიც პრაქტიკულად გაჩერებულია, მათი აღდგენისათვის და წესრიგში მოყვანისათვის კი სერიოზული თანხებია ჩასადები, საუბარს იმით იწყებენ „ჩემი რამდენი იქნებაო“, და თუ, უკეთეს შემთხვევაში, 50-60 პროცენტი არ მიეცი, უარს ამბობენ მკვდარი ობიექტის აღორძინებაზე“.

ასეთი რამ ყოვლად მიუღებელია: — ერთი ინვესტორის უკმაყოფილება ათასს გადაეცემა. არც ის ვარგა, თითქმის უფასოდ გავცეთ ეროვნული სიმდიდრე, თუნდაც იმიტომ, რომ ფასდაკლებულ საქონელს ყველგან ეჭვით უყურებენ.

ალბათ დროა, სერიოზულად ამუშავდეს გაკოტრების კანონი და, იქნებ, გვეფიქრა წლების მანძილზე გაჩერებული ობიექტების მესაკუთრეების მიმართ სანქციების შემოღებაზეც.

ერთი საკითხიც:

თუ გვინდა, რომ თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოში ტურიზმი განვავითაროთ, აუცილებელია ჩვენი სახელმწიფოს ტურისტული და საკურორტო რესურსების სისტემატური რეკლამა და ამის გაკეთება ყველაზე კარგად და იოლად შეიძლება მსოფლიო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობით.

ეს უდავოა, მაგრამ, სამწუხაროდ დარგის მესვეურებს საკითხის გადაჭრა უჭირთ შესაბამისი დაფინანსების უქონლობის გამო.

აქ საფინანსო-საბანკო ორგანიზაციებმა და კერძო ფირმებმა, მაპატიეთ, „თვალი კარგად გაახილონ“ და დაინახონ დიდი ბიზნესის ის რეალობა, რომელიც ამ დარგში დევს.

და ბოლოს, საფრანგეთში, დიჟონის გამოფენაზე საქართველოს კუთხე პრეზიდენტის სურათით იწყებოდა, ძალიან ბევრი მნახველი ჰყავდა ჩვენს გამოფენას. ასე რომ, ბატონებო, გვყავს დიდი პრეზიდენტიც, გვაქვს უდიდესი ტურისტულ-საკურორტო რესურსებიც, კანონიც და მცოდნე ადამიანებიც გვყავან. მაშინ რა გვემართება, რატომ არ ვითარდება დარგი? ალბათ, ხანდაზმულები არსებულით კმაყოფილდებიან, ხოლო ახალგაზრდებისათვის ჯერ სიტყვა რა მიგვეცია.

შენი ქვეყანა, მართლაც, უნდა გიყვარდეს, რეალურად აფასებდე დღევანდელობას, რაც მოკლე დროში იქნა მოპოვებული და გწამდეს მომავლისა.

ვლადიმერ ქარსელაძე,
საქართველოს პარლამენტის ტურიზმის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.

ტურიზმის განვითარების საფუძველი - ჩვენი კურორტები

გასული წელი საქართველოს კურორტოლოგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო. ქვეყნის პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოში ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, რომელშიც დეკლარირებულია, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი არის ჩვენი კურორტები, ხოლო ტურიზმი კი მარკეტინგის, რეკლამისა და საკურორტო პროდუქტის გასაღების მძლავრი საშუალებაა.

საკურორტო დარგის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები განიხილეს პრეზიდენტთან არსებულ საკონსულტაციო-ეკონომიკურ საბჭოზე. ბატონ ედუარდ შევარდნაძის საპროგრამო გამოსვლაში, აგრეთვე, მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოიკვეთა დარგის აღორძინების გზები.

კურორტთა მსოფლიო ფედერაციამ საქართველო თავის წევრად მიიღო. ქართველ კურორტოლოგთა ინიციატივით დაფუძნდა ამიერკავკასიის საკოორდინაციო ცენტრი.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებამდე გზა მეტისმეტად გრძელი გამოდგა. შეიძლება ითქვას, ჩვენ კიდევ ერთი წელიწადი დავკარგეთ. დარგის საქმიანობაში არსებული პრობლემები კი უფრო გამწვავდა.

მათ შორის, ალბათ, უმთავრესია საკურორტო ფაქტორებისა და საკურორტო ტერიტორიების დაცვა და მოვლა-პატრონობა, საკურორტო დაწესებულებათა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აყვანა, საკურორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა და დახვეწა.

გასაგებია, რომ აღნიშნულის რეალიზაცია დაკავშირებულია დიდ კაპიტალდაბანდებებთან, ისიც ნათელია, რომ ქვეყანას დღეს ეს თანხები არ გააჩნია, მაგრამ ამავე დროს ქვეყანას სჭირდება შემოსავლები, ახალი სამუშაო ადგილები, საექსპორტო პოტენციალის ზრდა და ა. შ.

რა გზები გვესახება ამ პრობლემათა გადასაჭრელად? უმთავრესი გახლავთ სახელმწიფოს მონაწილეობის ყოველმხრივი გაფართოება ტურიზმისა და კურორტების განვითარებაში. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ, ისე, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე დარგის პრობლემების გადაჭრის მოთხოვნა.

სახელმწიფოს მონაწილეობის მაგალითია ტასისის პროგრამული დაფინანსების მოსაპოვებლად ჩატარებული მუშაობა, რომელიც ტასისის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელებმა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩაატარეს. განსაკუთრებული მადლობის სიტყვებით მინდა მივმართო ბატონ პრეზიდენტს, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ პროექტს. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს, შევიმუშაოთ საქართველოში კურორტების განვითარების სახელმწიფო კონცეფცია, უცხოელ ექსპერტებთან ერთად შევქმნათ ისეთი საინვესტიციო პროექტები, რომელთა გარეშე შეუძლებელია მსოფლიოს საფინანსო ორგანიზაციებთან საქმიანი დიალოგი. სახელმწიფო საკრედიტო პოლიტიკაში ტურიზმმა და კურორტებმა უნდა დაიკავოს კუთვნილი ადგილი. თუ ადრე ამის საშუალება არ იყო, დღეს, როდესაც მრავალმა დარგმა სერიოზული საფინანსო ინექციები მიიღო, ალბათ, დადგა დრო, ტურიზმსა და კურორტებს გადაუნაწილდეს საქართველოსათვის გამოყოფილი კრედიტების ნაწილი. მით უმეტეს, რომ ცოტა თუ გაგვაჩნია ეკონომიკის სხვა დარგი, რომელსაც სწრაფი უკუგების ისეთი უნარი აქვს, როგორც ტურიზმსა და კურორტებს. კანონში განცხადებულია, რომ „სახელმწიფო აღიარებს ტურიზმსა და კურორტების დარგს ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და ქმნის ტურისტული და საკურორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს“. ეს გვაძლევს უფლებას მოვითხოვოთ: შემუშავდეს ისეთი საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემს ტურიზმში დასაქმებულ პირებს ასცდნენ იმ საპროცენტო განაკვეთებსა და დაკრედიტების ვადებს, რომლებიც შეუძლებელს ხდის ტურისტული და საკურორტო ობიექტების აღდგენა-აღორძინებას და ახალთა მშენებლობას.

საქართველოს კურორტებმა თავისი ადგილი უნდა აღიდგინონ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში. ბევრია დაავადება, რომელთა განკურნებაც შეუძლებელია საკურორტო ფაქტორების გარეშე. ამდენად, საკურორტო მკურნალობის განხილვა არ შეიძლება, როგორც მხოლოდ სარეაბილიტაციო ღონისძიებათა კომპლექსისა.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მოახერხა ტუბერკულოზის საკურორტო მკურნალობის ნაწილის პროგრამული დაფინანსება და ამით ხელი შეუწყო უნიკალური კურორტის — აბასთუმნის გადარჩენას. იმედია, რომ მომავალში ეს მიმართულება კიდევ უფრო განვითარდება, მაგრამ, უკვე დღეს უმწვავესად დგას ცერებრალური დამბლის ნარჩენი მოვლენების, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისა და სუნთქვის ორგანოთა დაავადებებით სნეულ ბავშვთა საკურორტო მკურნალობის პრობლემები.

სამწუხაროდ, დაბალია პროფკავშირებისა და სხვადასხვა ეგზომ მომრავლებული ფონდების მონაწილეობა ადამიანთა საკურორტო მკურნალობისა და დასვენების ორგანიზაციის საქმეში.

ავადმყოფთა დაჩქარებულ გაჯანსაღებასთან მოსახლეობის სოციალურ საკითხთა გადაჭრასთან ერთად, ეს მონაწილეობა ხელს შეუწყობს კურორტთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღორძინებას.

აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კარდინალური შემობრუნება ტურიზმისა და კურორტების პრობლემებისადმი. ზოგიერთი გამგეობის ინტერესები არ სცილდება ბრძოლას საკურორტო ობიექტების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემისათვის. ამავე დროს მოუვლელია საკურორტო ტერიტორიების აბსოლუტური უმრავლესობა, მიმდინარეობს საკურორტო ტყეების მტაცებლური ჭრა, მოუწესრიგებელია საკურორტო მიწების განკარგვის საკითხი, გაურკვეველია, რას ხმარდება საკურორტო გადასახადი და ა. შ.

მისასალმებელია, როდესაც რეგიონებში მიმდინარეობს რეკრეაციული ზონების განვითარების პროექტების დამუშავება, მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია, როდესაც ეს პროექტები ყოველგვარი კურორტოლოგიური ექსპერტიზის გარეშე ცხადდება, როგორც აღიარებული და დასრულებული პროგრამები ამა თუ იმ საკურორტო ტერიტორიების განვითარებისა.

და საერთოდ, ამ უკანასკნელ ხანს ძალიან ბევრმა არაპროფესიონალმა განაცხადა პრეტენზიები ტურიზმისა და კურორტების საფუძვლიან ცოდნაზე. მაგრამ ტურიზმი და საკურორტო საქმე საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობის ურთულესი დარგებია, რომელთა პროფესიული დაუფლება წლობით ბეჯით სწავლას მოითხოვს.

მნიშვნელოვანია დარგში პრივატიზაციის წარმატებულად და სწრაფად დამთავრება. ახლა უკვე არავისთვის სადავო აღარ არის, რომ იქ, სადაც პრივატიზაცია სწორად განხორციელდა, დამყარდა წესრიგი, შესამჩნევად ამაღლდა მომსახურების დონე, შეძლებისდაგვარად გაუმჯობესდა ობიექტთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საკურორტო ობიექტების პრივატიზაციიდან არც ერთი თეთრი არ მოხმარებია საკურორტო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, თუმცა, მხოლოდ „საქკურორტის“ ობიექტების პრივატიზაციიდან მიღებულმა თანხებმა მილიონ ლარს გადააჭარბა.

დღეს, ბოლოს და ბოლოს, ყალიბდება კურორტთა მართვის სახელმწიფო სტრუქტურა, რომელმაც თავის თავზე უნდა აიღოს ზემოთჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრისათვის მუშაობა, ერთი ეროვნული იდეის ირგვლივ უნდა დარაზმოს ახლო წარსულში საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები, მან უნდა ჩამოაყალიბოს დარგის არსებობის ნორმატიული საფუძვლები, დაიცვას ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე, გააცნოს იგი მსოფლიოს, რათა მსოფლიომ არა მარტო გაიგოს, არამედ გამოიყენოს კიდეც იგი თავის საკეთილდღეოდ.

განსაკუთრებული ღონისძიებები გვაქვს განსახორციელებელი თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კადრების მომზადებისათვის; დასადგენია, შიდა და საგარეო ბაზრისათვის მისაღები პრიორიტეტები; შესამუშავებელია შესაბამისი ფასთა რეესტრი; მკვეთრად უნდა გაძლიერდეს მუშაობა ინვესტორთა მოზიდვისათვის; აუცილებლად აღსადგენია დსთ ქვეყნებთან დაკარგული კონტაქტები ჩვენი ძირითადი მომხმარებლების მოზიდვის მიზნით. სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული ე. წ. საოჯახო ტურიზმი. არადა, სწორედ მან უნდა გამოიყვანოს ჩვენი ტურიზმი და საკურორტო საქმე იმ უმძიმესი კრიზისიდან, რომელშიც ისინი იმყოფებიან ძირითად საკურორტო ბაზებზე დევნილი მოსახლეობის განსახლების გამო.

საკურორტო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებაში იგულისხმება, აგრეთვე, საქართველოს მინერალური წყლების ბაზაზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ჩამომსხმელი საწარმოების შექმნა და სამკურნალო კოსმეტიკური საშუალებების წარმოება, რამაც ჩვენს ეკონომიკას სერიოზული თანადგომა შეუძლია გაუწიოს.

საქართველო მსოფლიოს ის უნიკალური რეგიონია, რომელსაც ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ პირველი გამოეხმაუროს იუნესკოს მოწოდებას ჯანმრთელობის ქალაქების შექმნის შესახებ. დადგა დრო, როდესაც ჩვენ სერიოზული განაცხადი უნდა გავაკეთოთ ბაკურიანში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებისათვის და ა. შ.

ძლიერ სახელმწიფო სტრუქტურასთან ერთად ეს ამოცანები უნდა გადაწყვიტონ, აგრეთვე, საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა, რომელთა შექმნის აუცილებლობაც უკვე დააყენა ცხოვრებამ. საკმარისია ითქვას, რომ სწორედ ასეთი გაერთიანებები სურთ იხილონ თავიანთ პარტნიორებად უცხოელმა ინვესტორებმა. ისინი უნდა ქმნიდნენ იმ ძირითად ბირთვს, რომელსაც ეყრდნობა თავის საქმიანობაში დეპარტამენტი. მათვე უნდა აიღონ თავის თავზე დარგში მომუშავეთა პროფესიული დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხთა მოგვარებაც.

ერთი სიტყვით, პრობლემა ბევრია, მაგრამ დღევანდელი შეკრება, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი იმედს გვისახავს და ეჭვიც არ გვეპარება, რომ ახლო მომავალში საქართველო ტურიზმისა და კურორტების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად გადაიქცევა.

ზეზვა ღუღუნიშვილი,
სახელმწიფო კონცერნ „საქკურორტების“ პრეზიდენტი.

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

NAGANO 1998

ნაგანო-98

ამერიკელები გამოფხიზლდნენ

ზამთრის ოლიმპიადის ყველაზე მრავალრიცხოვან დელეგაციას — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს თამაშების დაწყებამდე ბევრი სპეციალისტი არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად მიიჩნევდა და არცთუ უსაფუძვლოდ, მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე დღით ადრე ოკეანისგაღმელები თითქმის უიმედოდ ჩამორჩებოდნენ კონკურენტებს.

და აი, როგორც იქნა, რაოდენობა თანდათან ხარისხშიც გადაიზარდა. ჯერ იყო და თავი ამ ქვეყნის ჰოკეისტმა ქალებმა ისახელეს, გუშინ კი ფრისტაილის მიმდევარ სუსტი სქესის წარმომადგენელთა დავაშიც იმარჯვეს.

თუმცა, უკანასკნელი ოლიმპიური ამბების შესახებ შედარებით უფრო სრულ წარმოდგენას ჩემპიონთა მორიგი გალერეა შეგიქმნით.

ქალები

სამთოსათხილამურო სპორტი. კომბინირებული დაშვება.

კატია ზაიცინგერი (გერმანია).

ფრისტაილი. ტრამპლინიდან ხტომა.

ნიკოლეტა სტოუნი (აშშ).

ჰოკეი. აშშ.

ვაჟები

ციგურებით რბოლა. 10000 მ. ჯანი რომე (ჰოლანდია). ახალი მსოფლიო რეკორდი.

ბიათლონი. 10 კმ. ოლე ეინარ ბერნდალენი (ნორვეგია).

NAGANO 1998
8

სურათებზე: ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები სპორტულ ცეკვებში ოქსანა (პაშა) გრიშჩუკი და ევგენი პლატოვი (რუსეთი); მსოფლიო რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი 1500 მეტრზე ციგურებით რბოლაში მარიანე ტიმერი (ჰოლანდია), მწვრთნელთან პიტერ მიულერთან ერთად; ოლიმპიური ჩემპიონი სუპერგიგანტში, ჰერმან მაიერი (ავსტრია).

სპორტი ჩემს ცხოვრებაში

სულის და ხორცის სიჯანსაღისთვის

ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე — ინფექციური საავადმყოფოს გვერდით მდებარე სკვერში უამრავ სპორტულკოსტუმიან ადამიანს შეხვდებით. ზოგი დარბის, ზოგიც გამამხნევებელ ვარჯიშებს ატარებს. უფრო ხანშიშესულები სჭარბობენ.

იმ დილით ჩემი ყურადღება ერთმა ჭაღარათმიანმა მამაკაცმა მიიპყრო: ორი ბიჭუნასათვის ჩაევლო ხელი და სკვერის შუაგულისკენ მიმავალ ბილიკს მიუყვებოდა. გამოვეცნაურე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგე, დოქტორი, პროფესორი ვერნი ალფაიძე სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა.

— იმ სახლში უნივერსიტეტის თანამშრომლები ვცხოვრობთ, — სკვერის წინ, ქუჩის მეორე მხარეს მდებარე შენობაზე მიმანიშნებს, — აქ გადმოსვლის პირველი დღიდანვე, ჩვეულებრისამებრ, თითქმის ყოველ დილას დავრბივარ ამ ბაღში. კოლეგებმაც ამიბეს მხარი.

— თქვენ ბრძანეთ — ჩვეულებისამებრო. ეტყობა, ჭაბუკობისას სერიოზულად იყავით სპორტით გატაცებული...

— ბავშობისას, როგორც ყველა, მეც ვთამაშობდი ფეხბურთს. ქუჩისა და ეზოს ბიჭები ხშირად ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. 1947 წელს თბილისის 35-ე სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლაში მიმიყვანეს. ომი ახალი დამთავრებული იყო და, მოგეხსენებათ, დუხჭირმა ცხოვრებამ ბევრი ყმაწვილი გზას ააცდინა. სკოლის დამაარსებელი გიორგი მერკვილაძე ცდილობდა, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვები ქუჩისთვის წაერთმია. გარკვეულწილად შეძლო კიდეც.

ჩემს დროს სკოლას დირექტორობდა დიმიტრი შენგელია, მოადგილე გახლდათ შოთა დავითაია, რომლებმაც სასწავლო პროცესი უმაღლეს დონეზე დააყენეს. ფეხბურთში დაოსტატებას გაიოზ ჯეჯელავა, არჩილ კიკნაძე, ოტია ქორდანია, ჯონდო შავლია და სხვები ხელმძღვანელობდნენ. ფიზიკურ მომზადებაში ბადალი არ ჰყავდა შოთა მერკვილაძეს, რომელსაც ხუმრობით „ფიზრუკას" ვეძახდით. ყოველ დილით, სწავლის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, წელზევით გაგვაშიშვლებდა და გამამხნევებელ ვარჯიშებს გვიტარებდა. დღემდე გამომყვა ეს ჩვევა — ხომ გაგიგონიათ, რჯულზე უმტკიცესიაო. ახლა შვილიშვილებიც — შვიდი წლის გიორგი და ოთხი წლის ნიკაც გამომყავს სავარჯიშოდ. ფიზიკური წრთობა, სხეულის გამოღვიძება და გაჯანსაღება ყოველი ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია.

— ფეხბურთს მალე მიანებეთ თავი?

— არა, კარგა ხანს ვთამაშობდი. ჯერ საქართველოს ჭაბუკთა, შემდეგ ახალგაზრდული ნაკრები გუნდების წევრი ვიყავი. სკოლაში ჩემთან ერთად სწავლობდნენ ზაურ კალოევი და თენგიზ მიქაძე, მოგვიანებით მოვიდნენ შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი და სერგო კოტრიკაძე.

სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში ჩავაბარე გეოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც მეტად პრესტიჟული იყო. ამ სპეციალობაზე უფრო მეტად სპორტსმენები სწავლობდნენ. მაშინ დიდი ყურადღება ექცეოდა მინერალური ნედლეულის მოპოვებას. ლექციებს გვიკითხავდნენ საქვეყნოდ აღიარებული აკადემიკოსები: ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე, ვანო კაჭარავა, ვანო კახაძე, არჩილ ცაგარელი და სხვები.

— გეოლოგობა მთებში წიაღისეულის ძიებას უკავშირდება. ეს კი უდიდეს ფიზიკურ დატვირთვას გულისხმობს. ალბათ, ჭაბუკობისას მიღებული წრთობა წაგადგათ?

— ფიზიკურად თუ არა ხარ მზად, ძნელია ახვიდე მთაზე ჭრილის გასაკეთებლად ან ნიმუშების ასაღებად. საველე პრაქტიკისას სამუშაოს დღის გარკვეულ მონაკვეთში ვასრულებთ და ყველაფერი რომ მოასწრო, სწრაფად უნდა იარო. ფიზიკურად მოუმზადებელი კი ამას ვერ შეძლებს. უწინ გვიადვილდებოდა სტუდენტებთან მუშაობა, რადგან უმრავლესობას სპორტსმენები შეადგენდნენ. დღეს კი მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. სამწუხაროდ, საქართველოში მოგვიმრავლდნენ ჯანსუსტი, ავადმყოფური იერის ჭაბუკები, მხრებში მოხრილები, დონდლოები. ყოველივე იმის შედეგია, რომ „მზრუნველ" დედიკოებს და მამიკოებს მერსედესებით მიჰყავთ შვილები სკოლაში, ფიზიკურ კულტურასა და სპორტს არ აკარებენ მათ. ჩვენს დროს კი სამარცხვინოდ ითვლებოდა, ახალგაზრდა რომელიმე სპორტულ სექციაში თუ არ იყო ჩაბმული. უწინ სპორტული ბაზები ნაკლებად გვქონდა, მაგრამ ბევრი ხალხი დადიოდა სავარჯიშოდ, ახლა შესაძლებლობები მეტია, მოვარჯიშეთა რაოდენობამ კი კატასტროფულად იკლო! სავალალო შედეგიც სახეზე გვაქვს — ნარკომანიამ იძალა, რომ არაფერი ვთქვათ ცხოვრების სხვა არაჯანსაღ წესზე. ჩემი ახალგაზრდობისას ერთიორი ნარკომანი თუ იქნებოდა ქალაქში და მათ ყველა იცნობდა, როგორც ავადმყოფს. დღეს მათი რიცხვი იმდენად დიდია, რომ ერს გადაგვარებით ემუქრება.

— შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს რაში ხედავთ?

— ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად ქვეყნის პრეზიდენტმა სპეციალური ბრძანებულებაც კი გამოაქვეყნა და მის შესასრულებლად ყველანი უნდა გავისარჯოთ. ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად მიმაჩნია სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარების დონის ამაღლება, სპორტული სექციების ქსელის გაფართოება. მოზარდს უმიზნოდ სახეტიალო დრო არ უნდა ჰქონდეს. შევიგნოთ ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ფიზკულტურა და სპორტი მარტო კუნთების ვარჯიში როდია — ეს გახლავთ ჯანსაღი სხეული ჯანსაღი სულით, ქუჩას, სიგარეტს, ნარკომანიას და ბნელ სამყაროს მოწყვეტილი ასეულათასობით მოზარდი. ისე, ურიგო არ იქნებოდა, სკოლებში დილაობით, გაკვეთილების დაწყებამდე, გამამხნევებელი ვარჯიშები აღვედგინა.

ცხოვრების ჯანსაღი წესი თუ არ დავამკვიდრეთ, თანაც სასწრაფოდ, კატასტროფა არ აგვცდება!

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

სურათზე: ვერნი ალფაიძე შვილიშვილებთან ერთად სკვერში სეირნობისას.

ავტორის ფოტო.

გვეხმაურებიან

შევქმნათ საბრძოლო ხელოვნების ცენტრი

საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი ქვეყანაში მცხოვრებ ომის ვეტერანთა სახელით მხარს უჭერს თქვენს გაზეთში 1998 წლის 4 თებერვალს გამოქვეყნებულ წერილში გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოს საბრძოლო ხელოვნების ცენტრის შექმნის შესახებ.

დარწმუნებული ვართ, რომ აღნიშნული ცენტრის საქმიანობა მართლაც ხელს შეუწყობს საქართველოს უშიშროების უზრუნველყოფის საერთო პატრიოტული ამოცანის გადაწყვეტას, რაც ესოდენ ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას.

დეპარტამენტში უკვე შექმნილია და ახლო მომავალში დაიწყებს საქმიანობას საბრძოლო დიდების კაბინეტი, რომელშიც თავმოყრილი და სათანადოდ განლაგებული იქნება ძველი ისტორიული, მე-20 საუკუნის, დიდი სამამულო ომისა და სხვა პერიოდების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების ამსახველი ექსპონატები.

აღნიშნული კაბინეტი მოწოდებულია, იმოღვაწეოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი სამხედრო ხელოვნების პოპულარიზაციისათვის, ხელი შეუწყოს ფიზიკურად და სულიერად ძლიერი ახალგაზრდობის აღზრდას ჩვენი ქვეყნის წინაპართა საბრძოლო ტრადიციებზე.

გიორგი ციციშვილი,
დეპარტამენტის თავმჯდომარე
აკადემიკოსი, პოლკოვნიკი.

დავით აღმაშენებლის ნაკვალევით

აღდგენა განცდისა — საქართველოს მთლიანობა

საზამთრო სამეფო ასპარეზობა — „ამერ-იმერობა, ანუ იმერ-ამერობა"

დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს — 1918 წლის 8 თებერვალს გახსნილი თბილისის უნივერსიტეტის 80 წლისთავს მადლიერებით აღნიშნავს ჩვენი ერი და ქვეყანა — დაგეგმილია მრავალი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურული თუ სპორტული ღონისძიება.

ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო თუ მათ რიცხვს შეემატება საზამთრო სამეფო ასპარეზობა — „ამერ-იმერობა ანუ იმერ-ამერობა", როგორც საქართველოს უპირველესი მეფის ცხოვრებისა და ღვაწლის არდავიწყებისა და საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის უპირველესი კერის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურების მასობრივი, ეროვნული სასპორტო ენით გამოხატვის სიმბოლო.

დიახ, ცნობილია, რომ წმ. კეთილმსახური, მეფე ყოვლისა საქართველოისა დავით IV, აღმაშენებლად წოდებული, თავისი ჯარით აფხაზეთში იყო დაზამთრებული, როცა აღმოსავლეთ საქართველოს თურქ-სელჩუკები შემოესივნენ და დაიმედებულებმა — ასეთ თოვლდიდობაში დავით მეფე ლიხის ქედს ვერ გადმოლახავსო — აიკლეს მთელი ქვეყანა.

მაგრამ, ქართლის ცხოვრების მიხედვით, მეფე დავით „წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლითა საშინელითა, გარდათხრევინა მთა ლიხისა, სადა გარდანკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მხარი სამი" (საბას მიხედვით „ოთხი წყრთა ერთი მხარი არს, ვიდრე ორთავე ხელთა სრულიად გაწუდა; ხოლო წყრთა არს იდაყვითგან თითის წვერამდე").

ამ სტრიქონების ავტორის მარჯვენის მიხედვით ერთი წყრთა თანამედროვე საზომი სისტემით არის 49 სმ, ასე რომ დავითიანი ლაშქრის მიერ გარდანაკუეთი თოვლის სიმაღლე უნდა ყოფილიყო სულ მცირე 49X4X3 ანუ 5,88 მეტრი, ხოლო ამ სტრიქონების ავტორის მეგობრის ორივე ხელი სრულიად გაწვდილის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ — „გარდანაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე" — 172 სმ X 3-5,16 მეტრი.

მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ დავით მეფის სიმაღლეა 2,12 მეტრი, ხოლო მის თანამდგომ მოლაშქრეთა თუ მემატიანეთა მხარი და წყრთა მსგავსი გოლიათური თუ არა, ამ წერილის ავტორისა და მისი მეგობრის მხარ-წყრთაზე ნაკლები არ იქნებოდა.

ერთი სიტყვით, გარდანაკუეთი თოვლის სიმაღლე ყველა შემთხვევაში 5 მეტრს აღემატებოდა, რასაც ლიხის ქედის ნალექიანობით გამორჩეული წლების საუკუნოვანი სტატისტიკაც ადასტურებს.

ლიხის ქედი, სურამის ქედი არის კასპიისა და შავი ზღვების წყალგამყოფი, ისტორიული კოლხეთის და ისტორიული იბერიის ანუ აწინდელი თავისუფალი საქართველოს შემაერთებელი გზა და ხიდი, ამავე დროს დიდი კავკასიონის და მცირე კავკასიონის მთათა სისტემის დამაკავშირებელი, აბრეშუმის დიდი გზის ანუ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ზეკარი...

ასე რომ, ორივე მხრიდან ლიხის ქედის გადასვლა-დალაშქვრა საზამთრო სამეფო ასპარეზობაში მონაწილეობა — თითოეულ მოგზაურს თუ მოლაშქრეს საშუალებას აძლევს ერთხელ კიდევ განსაჯოს და შეაფასოს სამშობლოს წარსულის ავ-კარგი, განჭვრიტოს მისი აწმყო და მომავალი; ვინაიდან ლიხზე ამაღლებულის გულგონებაში ნებსით თუ უნებლიეთ გაცოცხლდება ძმობის, ერთობის, კოლხურ-იბერიული მთლიანობის მითები და ისტორიები: აიეტისა და ამირანის, ფარნავაზისა და ქუჯის, ანდრია მოციქულისა და ნინო წმიდას, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის და სხვა მამულიშვილთა იმერულ-ამერულ საქმეთა გრეხილი.

საზამთრო სამეფო ასპარეზობა — „ამერ-იმერობა ანუ იმერ-ამერობა" გვესახება, როგორც ძველი და ახალი დროის გადაძახილი, ფასიზისის, გელათის, იყალთოს და გრემის აკადემიების და მათი მემკვიდრე დღევანდელი საქართველოს მეწინავე აკადემიებისა და უნივერსიტეტების საუკეთესო ტრადიციების ახლებური წარმოჩენის საშუალება; დანგრეული, დაშლილი საქართველოს გაერთიანება-გამთლიანების ამერულ-იმერული ანუ იმერულ-ამერული მიმოქცევის რეგალიების სიმბოლური მოდელი; და კიდევ, ამერ-იმერის განდგომა — დაქსაქსულობის დაძლევის, აუცილებელი სასიცოცხლო პოტენციის გამოვლენა-წარმოჩენის ქართული, ევრაზიული, კოსმიური ათვლის წერტილ-სასწორის აღორძინება — 900 წლით ადრე დიდმა დავითმა კანონიკური წესრიგით რომ დააფუძნა.

რა თქმა უნდა, როგორც ყველა სპორტულ ასპარეზობას, მასაც ეყოლება მეწინავე, მეღრომე და მოლაშქრე — აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რჩეული ნაკრები გუნდები. ასპარეზობას დაამშვენებს ძველი კოლხეთის და ძველი იბერიის აკადემიების მემკვიდრე უნივერსიტეტების სტუდენტებისა და მათი გულშემატკივრებისაგან შედგენილი სპორტული ლაშქრის ეთიკურ-ზნეობრივი და ხალხურ-ეროვნული ნიშნებით გამორჩეული, კვლავ აღდგენილი აკადემიური ტრადიცია.

თითოეული გუნდის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს სამეფო ასპარეზობის ხელმძღვანელი კომისია, რომელიც ამ ასპარეზობის ორგანიზატორთა გაერთიანებული ძალისხმევით აირჩევა.

ლიხის ქედს რამდენიმე უღელტეხილი გადაჰკვეთს (ჯვარი, რიკოთი, ფონა და სხვა). დავით მეფის ჯარის მოქმედების ზუსტი მარშრუტი ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, ხოლო საზამთრო სამეფო ასპარეზობის ადგილად რიკოთის არჩევა საავტომობილო გვირაბის ზედა სავალი ნაწილის 4 კილომეტრი სიგრძის ძველი ნაგზაურის სპორტულ არენად გამოყენების უპირატესობამ განაპირობა. უნდა ითქვას, ეს ადგილი ადვილმისასვლელია და უსაფრთხოებით გამორჩეული, ამიტომაც, დიდძალ მოლაშქრეს და გულშემატკივარს მოიზიდავს.

ასპარეზობის ამერის გუნდის საბაზო ადგილი ხაშურ-სურამ-რიკოთის გზის მონაკვეთის მდინარე ჩუმათელეთის მარჯვენა სანაპირო — გვირაბის კარის სიახლოვეს იქნება, ხოლო იმერის გუნდისა — ზესტაფონი-შორაპანი-რიკოთის გზის მონაკვეთის მდინარე რიკოთულას, აგრეთვე მარჯვენა სანაპირო — გვირაბის კარის სიახლოვეს.

ასპარეზობის კომისიის მეცადინეობით დადგინდება სასტარტო-საფინიშო ადგილები, კომპლექსური სპორტული ლაშქრობა-შეჯიბრების არსი და წესი, ხანგრძლივობა, აუცილებელი საზამთრო საჭურველი და სურსათი. ცხადია, მთავარი იარაღი, როგორც დავითიან ლაშქარში, იქნება ქართული თოვლსახეტი ნიჩაბი, ხოლო ყინულოვანი ფენის დასარღვევად — წერაყინი.

საზამთრო სამეფო ასპარეზობის ხელმძღვანელი კომისიის მთელი მუშაობა ღიად წარიმართება; საინფორმაციო-სარეკლამო საშუალებებით გამოქვეყნდება ასპარეზობის მეცენატი, შემწე ორგანიზაციების სახელები, მათი კოორდინატები და ასპარეზობის გამართვა-წარმართვაში თითოეულისაგან გაღებული ამაგი, წვლილი.

ქართული სპორტის ისტორიის მიხედვით ამერის ხალხური ასპარეზობებით სახელგანთქმულ ქალაქებში (კასპი, თელავი, საგარეჯო...) საჯილდაო ქვის აწევისა თუ ქართული ჭიდაობის შეჯიბრებებში ყოველთვის ასობით ფალავანი და ათასობით გულშემატკივარი მონაწილეობდა.

ამავე წყაროს მიხედვით იმერის სოფელ კულაშში (სამტრედიის რაიონი) გამართულ ლელობურთის ერთ-ერთ თამაშში 1500 ქვეითი და 500 ცხენოსანი გამოდიოდა. ეროვნულ-სპორტულ სახეობათა მრავალფეროვნებითა და ხალხმრავლობით გამოირჩეოდა გიორგობის დღესასწაულები: მაგალითად, თერჯოლის რაიონის სოფელ გოგნში (საგაზაფხულო ასპარეზობა) და წალენჯიხის რაიონის ქალაქ ჯვარში (საშემოდგომო ასპარეზობა).

საზამთრო სამეფო ასპარეზობის უმთავრესი მიზანი საქართველოს ამერ-იმერული დავიწყებული წარსულის მთლიანობის განცდის აღდგენაშია. მას ძალუძს მოიზიდოს უკლებლივ ყველა, ვისაც უყვარს თოვლიან-ყინულიანი საქართველო, მით უმეტეს ამერ-იმერის მეკრებულობა, საქართველოს უპირველესი მეფის საზამთრო ლაშქრობის მარშრუტის სიმბოლური გამეორება-გულშემატკივრობა. გვწამს, სპორტულ ამ ეფექტს შეუძლია შეძრას სიმი ყოველი ქართველისა აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, ვინაიდან დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ — „ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს"...

საზამთრო სამეფო ასპარეზობის მთავარი ჯილდო ისევ და ისევ იქნება ამერ-იმერის და იმერ-ამერის დავიწყებული ერთიანობის აღდგენის განცდა, გაერთიანება-გაძლიერების სამემკვიდრეო ამერ-იმერულ კოდში მიძინებული გრძნობის ერთხელ კიდევ ახალი ათასწლეულის მიჯნაზე აუცილებელი მეკიჟინებით გამოღვიძება.



გვანჯი მანია.

ავტორის მინაწერი: ამ დღეებში, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის 80 წლისთავისა და ნაგანოში (იაპონია) საზამთრო ოლიმპიური ასპარეზობის დღეებიც არის, სამეფო ასპარეზობის იდეა-პროგრამას გულდასმით გაეცნენ ქართული სპორტის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც არიან: **ნუხა გაგოშიძე** — საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (ტელეფონი 95-95-93), **ნარგიზა მესხი** — ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (ტელ., 23-50-06), **ვაჟა ნუცუბიძე** — სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის გენერალური მდივანი, **ოთარ მიმინოშვილი** — თბილისის უნივერსიტეტის სპორტული კლუბის თავმჯდომარე, **ვლადიმერ უგრეხელიძე** — ამავე უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, **ლამარა გენგაშვილი** — ამავე კათედრის გამგის მოადგილე, **შოთა მირიანაშვილი** — თბილისის უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპური კლუბის თავმჯდომარე (ტელ., 29-00-65).

ამ იდეა-პროგრამას გაეცნენ, აგრეთვე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების (99-61-87), სპორტის დეპარტამენტის, ტურიზმის დეპარტამენტის, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის, საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა კლუბი „გიორგის" თანამშრომლები — მთასვლამგზავროსნობაში (მეოცე საუკუნის დამდეგის ეროვნული სპორტული მოძრაობა „შევარდენის" ხელმძღვანელთა საყვარელი ტერმინებია — ალპინიზმისა და ტურიზმის ნაცვლად ინერგებოდა გ. მ.) ნაცადი მეცნიერები, სპეციალისტები, შემოქმედებითი ინტელიგენცია, ჟურნალისტები.

გამოიკვეთა საერთო აზრი, რომ ეს ასპარეზობა ახლავე, თებერვლის დამლევს ან მარტის დამდეგს წარმატებით განხორციელდება (ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, რიკოთის უღელტეხილზე თოვლის საფარი 1,64 მეტრია) და ტრადიციად გადაიქცევა, თუ, რა თქმა უნდა, გამოჩნდება სასურველი სპონსორი, რომელიც აუცილებელ (არც თუ დიდ) თანხას არ დაიშურებს და ამით კიდევ ერთ კულტურულ-სპორტული და სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობის კეთილი საქმის მოქმედად წარმოჩნდება ერისა და ქვეყნის თვალში.

ჩვენი საკონტაქტო საშუალებებია: ტელ., 32-36-46. ფაქსი 99-88-23; კომპანია „მახარე".

ევროპული ტურნირების წინ

პასუხი — მინდორზე

ორიოდე კვირაც და დაიწყება ფეხბურთის ევროპელ გულშემატკივართა საყვარელი ტურნირები: ჩემპიონთა ლიგა, უეფას და თასების მფლობელთა თასის გათამაშებები. მწვრთნელებს და ფეხბურთელებს ამასთან დაკავშირებით უამრავი საზრუნავი აქვთ და ჟურნალისტებიც თადარიგს იჭერენ. ჩვენ, სამწუხაროდ, ამ ტურნირებზე არც ერთი გუნდი აღარ შემოგვრჩა, მაგრამ რაღაც ირიბი ინტერესები მაინც გვამოძრავებს. თუნდაც ამსტერდამის „აიაქსი" ავიღოთ, სადაც უპირველესი ქართველი ფორვარდი, შოთა არველაძე გამოდის და დიდი წარმატებითაც. ამიტომ, ქართველი გულშემატკივარი ყურადღებით ადევნებს თვალს იმ გუნდების გამოსვლებს, სადაც ქართველი ფეხბურთელები თამაშობენ.

ალბათ, სწორედ ამ მოახლოებულ საფეხბურთო ბატალიებს მიეძღვნა სპეციალური გადაცემა, რომელიც 16 თებერვალს „Радио России"-მ შესთავაზა თავის მსმენელებს. გადაცემას ვინმე იური პრომინი უძღვებოდა და სტუდიაში წამყვანის გარდა მოწვეული სტუმრებიც იყვნენ, რომელთა შორის სხვადასხვა გამოცემათა ჟურნალისტები დომინირებდნენ. დაახლოებით ნახევარსაათიან გადაცემაში ძირითადი ადგილი რუსული კლუბების პერსპექტივებს მიეძღვნა ევროპულ ტურნირებში.

შედარებით მცირე დრო დაეთმო თასების მფლობელთა თასზე მოასპარეზე მოსკოვის „ლოკომოტივს", რომლის შანსებიც ბერძნულ „აეკთან" საკმაოდ შთამბეჭდავად შეფასდა, რაც იქნებ არ იყოს საფუძველს მოკლებული. ბოლოსათვის კი, გადაცემის ავტორებმა უფრო მსუყე ლუკმა შემოინახეს და მოსკოვის „სპარტაკზე" საუბარს ბევრად დიდი დრო დაუთმეს, უფრო სწორად, არა „სპარტაკს", არამედ მის მეტოქეს, ამსტერდამის „აიაქსს" და განსაკუთრებით კი ქართველი ფორვარდის, შოთა არველაძის პერსონას.

გადაცემის მსვლელობისას ფიგურირებდა აზრი, რომ „სპარტაკს" სავსებით ხელეწიფება ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერის დამარცხება და რომ „აიაქსი" სამიოდე წლის წინანდელი გუნდის ლანდსღა წარმოადგენს. ყველას, და მათ შორის, ცხადია, რუს ჟურნალისტებსაც თავისი აზრი გააჩნიათ და ამ მოსაზრებებში მათ ვერავინ შეედავებათ, მაგრამ იმ არაპროფესიონალურ მოსაზრებათა შესახებ, რომლებსაც შემდეგ ჰქონდათ ადგილი, კი შეიძლება ორიოდე სიტყვის თქმა. თურმე, ნუ იტყვით, და ამჟამინდელი „აიაქსი" მხოლოდ სახელს, ერთ დროს მრისხანე სახელს წარმოადგენს და მეტს არაფერს, ხოლო მისი მთავარი დამრტყმელი ძალა შოთა არველაძე საშუალო დონის ფეხბურთელს, რომელსაც თავის გამოჩენა მხოლოდ დაერდომილ და სუსტ გუნდებთან შეუძლია. ამის დამადასტურებელ საუკეთესო და უახლეს მაგალითად გადაცემაში მონაწილე „ფეხბურთის სპეციალისტებმა" ერთი დღის წინ გამართული მატჩი დაასახელეს, რომელშიც „აიაქსი" „ეინდჰოვენს" ხვდებოდა და არველაძე პირწმინდად ამოკეტა არცთუ ისე ძლიერმა (?!) მცველმა იაპ სტამმა. რა შეიძლება პასუხად ითქვას? ალბათ, ყველაზე კარგი პასუხის გაცემა თავად შოთას შეუძლია მარტის დასაწყისში, როცა იგი რუსული ფეხბურთის აღიარებული ვარსკვლავების წინააღმდეგ სათამაშოდ გამოვა. სასურველია, რომ შოთამაც და „აიაქსმაც" ყველაფერი პირველივე, ამსტერდამულ თამაშში გადაწყვიტონ, თორემ რა მოხდება შემდეგ, მოსკოვის დათოვლილ ან ატალახებულ მოედანზე, რომელიც ფეხბურთის თამაშის გარდა, ყველაფრისათვის გამოდგება, არავინ იცის.

„ბეა".

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

სასამართლო

„ციგანი“ და ქილა ერბო

— არც მოკვდებოდა, რადგან ეს იყო ფუგასური აფეთქება. მხოლოდ გამაყრუებელი ხმა. ძალა მიმართული იყო ზევით. თუ ვინმე სამიოდ მეტრში იდგებოდა, მაშინ დაშავდებოდა.

— ამ მანძილზე იდგნენ დაცვის ბიჭები და მაინც არ დაშავებულან?

— აფეთქების ადგილს მორიდან აკონტროლებდნენ. იქ არავის გაწირავდნენ.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეს იყო ინსცენირება? — თითქოს გაოცდა მოსამართლე ჯემალ ლეონიძე.

— დიახ, ეს იყო „ხლაპუშკა“...

— როგორ თუ „ხლაპუშკა“. არავინ მომკვდარა, მაგრამ მანქანები დაიწვა, ფანჯრები ჩამოილეწა, — ფეხზე წამოიჭრა პროკურორი მირზა დოლიძე.

— ჰოდა, ჩემი მანქანა დაიწვა, ჩემი მძღოლი კონტუზირებულია, — გაცხარდა ჯაბა. — იმ პატარა ეზოში მხოლოდ ორი მანქანა იდგა, — ჩემი და ედუარდ შევარდნაძის. მეც გამოვდიოდი გარეთ. რა, — მე ვაფეთქებდი ჩემს თავს?

— „ნივა“ მაშინ აფეთქდა, როცა მის გვერდით სახელმწიფოს მეთაურის მანქანამ ჩაიარა.

— ეგ არაა აფეთქება. მე რომ ამაფეთქეს, — 5 კაცი მოკვდა, 8 კიდევ დაიჭრა. იქ არავინ მომკვდარა, არავინ დაჭრილა და გაიძახით, — მძიმე შედეგებიაო.

— მძიმე შედეგად ითვლება დიდძალი მატერიალური ზარალიც და კიდევ ბევრი სხვა რამეც...

რამდენჯერმე ითქვა, — ამ პროცესზე სახითხითო არაფერიაო და ერთ-ერთმა ადვოკატმა მაინც ჩაიხითხითა:

— ალბათ, ვილაცაა მკვდარი და არ აჩენენ...

სხვათა შორის, კითხვა, — 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის „ინსცენირების“ შესახებ ამ პროცესზე ადრეც დაისვა. მაშინ თავად განსასჯელებმა თქვეს: — არა, ეს იყო ნაღდი აფეთქება. და დაამატეს — ედუარდ შევარდნაძე სიცოცხლეს სასწორზე არ დადებდაო. ეს ადრე. ახლა? ვითომ ვითარება შეიცვალა? ვარაუდები და დასკვნები მერეო, — გამოაცხადეს დარბაზში და პროცესი ისევ გურამ პაპუკაშვილს მიუტრიალდა...

როდესაც თემურ ხაჩიშვილი დაუკავებიათ, იმხანად გურამ პაპუკაშვილი იგორ გიორგაძის კაბინეტში მჯდარა. შემოსულა ავთანდილ იოსელიანი და უთქვამს, — ხაჩიშვილის კაბინეტში უნდა შევიდეთო. კარი ვერ გაუხსნიათ. პაპუკაშვილს აივნიდან გადაძრომა მოუწადინებია, მაგრამ ამაოდ. ცოტა ხანში კარი გაუხსნიათ და ხაჩიშვილის კაბინეტში სხვებთან ერთად პაპუკაშვილიც შესულა. მაგიდაზე თვალი მოუკრავს ორი პეიჯერისა და ერთი რაციისათვის.

ამას განსასჯელი თავად აჩვენებს წინასწარი გამოძიებისას. თემურ ხაჩიშვილი ცივ უარზეა, — მე რაცია არასოდეს მქონიაო. ახლა მას კვერს უკრავს გურამ პაპუკაშვილიც, — რაცია გამომძიებლის ფანტაზიააო, — მითხრა, — ბარემ ესეც ჩაწერე და მეც ჩავწერეო...

ერთგან გურამ პაპუკაშვილი აჩვენებს, — ჩემი დანაღმული „ნივა“ რამდენჯერმე შეიყვანეს პარლამენტის ეზოში. მივხვდი, რომ იგი სამეცადინოდ კი არა, ადამიანის მოსაკლავად დაანაღმეინეს, მაგრამ გავჩუმდი, ხმის ამოღების შემთხვევაში ოჯახს გამინადგურებდნენო.

— ესეც გამომძიებლის ფანტაზიაა?

— მე ეს ზოგადად ვთქვი, იმან კი კონკრეტულად ამ ფაქტს მიაწერა...

ჩხრეკისას გურამ პაპუკაშვილს შინ უპოვეს ერთი ხელყუმბარა, ორი ასაფეთქებელი კოჭი, სამი კაფსულ-დეტონატორი. ეკითხებიან, — საიდან? საიდან და, — ომიდან, — სამაჩაბლოშიც ვიბრძოდი, აფხაზეთშიც. უშიშროების მუშაკი ვიყავი და უფლება მქონდა შინ იარაღი და საბრძოლო მასალები შემენახაო. უფლება, რის საფუძველზე? თითქოს ყოფილა რაღაც ბრძანება, მაგრამ განსასჯელმა ვერ გაიხსენა, — ვისი ბრძანება იყო ან სად შეიძლება ამ ბრძანების ნახვა ახლა...

გურამ პაპუკაშვილი ერთ-ერთი იმ განსასჯელთაგანია, რომელმაც პროცესზე შუამდგომლობა დააყენა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, რადგანაც...

ყველა ჩვენება მიცემული მაქვს ცემით, წამებითო, — აცხადებს „ალფას“ ჯგუფის უფროსი.

გუშინ სასამართლო პროცესზე გამოაქვეყნეს ის შუამდგომლობებიც, რომლებიც ასევე სამედიცინო ექსპერტიზის მოწვევის მიზნით გურამ პაპუკაშვილსაც და მის ადვოკატ თემურ გოგსაძესაც დაუყენებიათ წინასწარი გამოძიების დროსაც. იმ შუამდგომლობებში ნახსენები არაა, რომ პაპუკაშვილს სცემდნენ, აწამებდნენ. ბევრ რამეს უჩივის, მაგრამ მიზეზად ასახელებს ომის პერიოდში მიღებულ ჭრილობებს და დაზიანებებს.

— რატომ არ უთხარით თქვენს ადვოკატს თუ გცემდნენ, გაწამებდნენ და ამის გამო იყავით ავად?

— ადვოკატს კი არა, მაშინ მამაჩემსაც არ ვენდობოდი.

— არც ექიმებს ენდობოდით? რამდენჯერმე გაგსინჯეს, გიმკურნალეს კიდეც.

— არც ექიმებს ვენდობოდი.

— იმათ ხომ ჰიპოკრატეს ფიცი აქვთ მიღებული. — მაინც „ემვედეს“ თანამშრომლები არიან...

ბრალდების მხარე აგრძელებს წინასწარი ჩვენებების გამოქვეყნებას... უშიშროების სამსახურიდან მე-7 სამმართველოს უფროსი იური გულიევი, პროფესიული თიკუნების ხსენებით, გურამ პაპუკაშვილს ურეკავს:

— „ციგან“, შენა ხარ?

— დიახ.

— მე „ხამაი“ ვარ. შენთან ეხლა ერთი კაცი მოვა, დავალებას მოგცემს და შეასრულე...

მოდის უცნობი. მოაქვს ხელჩანთა. შიგ „ვითას“ ქილა დევს — არა ერბოთი, არამედ ასაფეთქებელი მექანიზმით. ხელჩანთა ხვდება თვითმფრინავში, რომლითაც მოსკოვში მიდიან გენერლები გია ყარყარაშვილი და პაატა დათუაშვილი. არავის ახსოვს 164 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი...

ბონდო გულიაშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ხელოვანის სამყარო

მშვენიერების მაძიებელი

თეა ბოტკოველის შემოქმედებაზე დაკვირვებისას, მოყოლებული პირველი ნამუშევრებიდან დღემდე, ერთი ტენდენცია შეინიშნება. მხატვრის შემოქმედებით ძალისხმევას, რაც ყველა ტილოს ატყვია, ვუწოდებდი „საგანთათვის სახელდების“ პროცესს. იგი ცდილობს შეაღწიოს იმ ჯურღმულში, იმ საიდუმლოებით მოცულ ალაგას, სადაც პირველიოდება ბიბლიური ველის სახითაა წარმოდგენილი, ანუ საკუთარი გულის წიაღში, საკუთარი სამშვენველის ქსოვილში. ინტუიციასა და გონებას მოიხმობს თეა სამშვენველის ლაბირინთში შესაღწევად და შემდგომ ამისა წარმოაჩენს მის სურათ-ხატს. ეს გზა ინდივიდუალური ინიციანტის გზაა. თვითგანვითარების ძნელი გზა სულიერი მოძღვრის გარეშე, როდესაც შენ თვითონ გიხდება არჩევანის გაკეთება და უამრავ საეჭვო ფასეულობებს შორის ორიენტაცია. ზოგადად შემოქმედის სულიერი კონსტიტუცია და მრწამსია წარმოჩენილი სურათში „პანტეა“. ჰარმონია, მაღალი ხელოვნების მხეცთაც გარდაქმნის ჩვენს გულებში და თვალშეუდგამ მშვენიერებამდე ამაღლებს. უნებლიე არ არის ამიტომ ჩვენი ასოციაცია „ვეფხისტყაოსნის“ ინიციანტ პერსონაჟთან. ერთხელ კიდევ მივეახლოთ ყველა დროის ვერსიფიკატორული შედევრის სტრიქონებს:

„რა ესმოდის მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან
წყლით ქვანიცა გამოხდიან“.

ამ ფერწერულ ტილოს კი წინ უძღოდა „საბურველი“. საბურველი, — სიმბოლო სამყაროს იდუმალების, მისტიური ცოდნის, ისიდას საბურველი ანუ ბარიერი, რომელიც ლუციფერული სიბრძნის ბრწყინვალებამდე უხსნის ადამიანს საიდუმლოს და შემდგომ ამისა უკვე მხოლოდ და მხოლოდ რჩეულთათვის მისაწვდომი ძალისხმევით ხდება ამ საიდუმლო საბურველის ახდა.

არავინ უწყის, ეს რამდენი მიეცემა სულიერი საგანძურიდან, მაგრამ რწმენის სახით მაინც არის ცოდნა იმისა, თუ რა იპყრობს ანგელოსთა გულებს. ვფიქრობ, ადამიანის თვალთახედვიდან არასოდეს არ უნდა ქრებოდეს დედამიწა, თავისთავადი საოცრება, ღმრთების რელიგია. ამიტომ მხატვრის ინტერესთა სფეროში ყოველთვის რჩება დედამიწა თავისი მიწიერი პრობლემებით. ამის დასტურია ფერწერული ნამუშევარი „მეტაფიზიკის აქეთ“, სადაც თვით ელემენტებამდე და მათ საოცარ შერწყმამდე ინტერესდება მხატვარი.

კიდევ ერთ მომენტზე მინდა ყურადღება შევაჩერო. ჩვენი ეპოქის სირთულე მხოლოდ ინდივიდუალური მისტიკის გზაზე როდი ძევს. აუცილებელია შემოქმედის ზიარება მეორე ადამიანთან, საზოგადოებასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კავშირს წყვეტს ეპოქის სულთან. აუცილებელია შემოქმედისათვის ექოს პოვნა, გამოძახილის პოვნა მეორე ადამიანისა თუ საზოგადოების მხრიდან. მაგრამ დღევანდელ რთულ პირობებში განსაკუთრებულად ჭირს კოორდინირება სულიერი ფასეულობებით დაინტერესებულ ცალკეულ ადამიანს შორის, რაოდენ პარადოქსიც არ უნდა იყოს ეს ამ კომუნიკაციის მოჭარბებულ საშუალებებს შორის.

ხოლო აპოკალიფსის მოლოდინის ეპოქა შიგნით აბრუნებს ამ პრობლემას და კიდევ უფრო ამძაფრებს. თუ მშვიდ და წყნარ დროში ხელოვნება ესთეტური პრობლემებით ინტერესდება, რთულ და მძიმე პირობებში შემოქმედის განსაკუთრებულ ძალისხმევას პოეზიის ნათელი გაცისკროვნებს ხოლმე. წინააღმდეგობები ხდება წინაპირობა პოეზიისათვის. თეა ბოტკოველის მრწამსი მთლიანად ეთანხმება ამგვარ მიმართებას შემოქმედებისადმი და ამიტომაც არის, რომ ყველა წინააღმდეგობა, ყველა სირთულე, განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდის ფერწერულ ტილოებში პოეტურ ფერწერულ სურათ-ხატებად იქცევა.



ნატო ლონდარიძე.

სურათზე: სამყაროს გასაყარი.

გაითვალისწინეთ!

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ შარშანდელი 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის“ სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული. ყველა დანარჩენი მოპარულია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ჟურნალისტი

თენგიზ ნიკოლოზის ძე ჯაყელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 20, 21. II. 4 ს. გამოსვენება 22 II. 2 ს. კუტუზოვის ქ. № 20, III სად.



საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საკურორტო-სამედიცინო დაწესებულებათა სამმართველოს თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სახამინო საწარმო „ვარციხის“ გენერალური დირექტორი

ხემალ მიხეილის ძე საყვარელიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის აკადემიკოსი

იროდიონ ქვაჩახია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის განყოფილების გამგე, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იროდიონ ქვაჩახია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აკად. პაატა გუგუშვილის სახელობის საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ინსტიტუტის თანამშრომელს ნინო გომელაურს გარდაეცვალა მამა

ალექსანდრე გომელაური

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დედა მარინე კერესელიძე, მეუღლე ნანა აბულაძე, შვილი ანი, ძმა გუგა, რძალი თიკო ჩიქოვანი, ძმისწული ირაკლი, მამიდა ლიანა გეგენავა, ალეკო ჭყონია, ბიძა გია კერესელიძე, ბიცოლები გულიკო გოგნიაშვილი, ციალა ცხოვრებაშვილი, ბიძაშვილები ეკა კერესელიძე, მარინე, გია გეგენავები, მამიდაშვილები ნანა, ნინო ჭყონიები, ცოლისდა მარინა აბულაძე, ქვისლი აკაკი მიქაძე, ცოლისძმა ირაკლი აბულაძე, სიძე ნიკა შველიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლაშა გიგის ძე გეგენავა

პანაშვიდი 19, 20 II, 4 ს. გამოსვენება 21 II, 2 ს. ვაჟა-ფშაველას 47, I კვ. 19 კორპ.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი

ხემალ დავითის ძე ჩხიკვაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ლევან მარუაშვილს დედის

ნინო ანანიაშვილი-მარუაშვილის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

თენგიზ ჯაყელი

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, კულტურისა და ხელოვნების „ფაზისის“ აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი **თენგიზ ჯაყელი.**

იგი დაიბადა ქ. ქუთაისში 1931 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ განვლო რთული და საინტერესო გზა საშუალო სკოლის დირექტორიდან ქვეყნის ერთ-ერთი უნივერსიტეტის პრორექტორამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკის ცენტრალური და რაიონული გაზეთების რედაქციებში კორესპონდენტად, რედაქტორად, განყოფილების გამგედ, მთავარ რედაქტორად, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ყველგან, სადაც კი ბატონ თენგიზს უმუშავია, სარგებლობდა საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით, უდიდესი ავტორიტეტით. ამის საფუძველს წარმოადგენდა მისი პროფესიონალიზმი, სიკეთე ადამიანების მიმართ, უაღრესი თავმდაბლობა, საკუთარი ღირსების გრძნობა.

საქართველოს ისტორიული გვარის ღირსეული წარმომადგენელი იყო ბატონი თენგიზი. პირველივე შეხვედრის დროს იგი ადამიანებს ხიბლავდა თავისი გამჭრიახი გონებით, დინჯი, ანალიტიკური მსჯელობით, მიხვრა-მოხვრითაც კი.

ჩვენგან წავიდა კაცი, პიროვნება, რომელიც უსაზღვროდ იყო შეყვარებული სამშობლოზე, ადამიანებზე, მათი გაუსაძლისი ცხოვრებით ნაცხოვრები, იმედებით აღსავსე. სულ რომ არაფერი ეკეთებინა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ისიც კი საკმარისია მისი დიდი პატივისცემისა და სიყვარულისთვის, რომ მან დატოვა უაღრესად პატიოსანი და თბილი ოჯახი, შვილები, რომლებიც დღეს უკვე ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები არიან.

წავიდა და დატოვა უდიდესი ტკივილი. დაე, მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

მშვიდობით, ბატონო თენგიზ!

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი;
საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი;
„ფაზისის“ მეცნიერებისა და კულტურის აკადემია;
მეგობრები.

ავთანდილ პოპიაშვილი

ქართულმა მეცნიერებამ, საქართველოს ფილოსოფიურმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, შემოქმედებითი აღმავლობის ხანაში გარდაიცვალა ქართველ ფილოსოფოსთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი **ავთანდილ დიმიტრის ძე პოპიაშვილი.**

ა. პოპიაშვილი დაიბადა 1944 წლის 5 მარტს დედოფლისწყაროს (ადრე წითელწყაროს) რაიონის სოფელ გამარჯვებაში. მან 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით. იმავე წელს ჩაირიცხა ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ფილოსოფიის ისტორიის განხრით. 1975 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1989 წელს სადოქტორო დისერტაცია.

ა. პოპიაშვილი 1970 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა ფილოსოფიის ინსტიტუტში. წლების განმავლობაში კითხულობდა ფილოსოფიის ისტორიის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ა. პოპიაშვილის კვლევა-ძიების მთავარი სფერო იყო გერმანული ფილოსოფია. ამ თემას მან არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა, მათ შორის მონოგრაფიები: „ი. გ. ფიხტეს ეთიკური იდეალიზმის მარქსისტული კრიტიკისათვის“ (1976 წ.) და „ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიაში“ (1988 წ.) აღნიშნულ მონოგრაფიებში გაანალიზებულია დიდი გერმანელი ფილოსოფოსების ფიხტეს, კირკეგორისა და ნიცშეს მსოფლმხედველობათა ძირითადი ტენდენციები: ზნეობის პრინციპის ფიხტესეული დაფუძნება, „პირვანდელი ქრისტიანობის“ აღდგენის ცდა სორენ კირკეგორთან და ზეკაცისაკენ მიმავალ გზაზე მითითება ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიაში.

ა. პოპიაშვილი არაერთი საერთაშორისო, საკავშირო თუ რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე იყო. მისი ნაშრომები და გამოსვლები გამოირჩეოდა მეცნიერული სიღრმით, საფუძვლიანობითა და დამაჯერებლობით. მისმა მონოგრაფიებმა იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტებისა და, საერთოდ, ფილოსოფიით დაინტერესებულთა ყურადღება და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა, მიჩნეულ იქნა მნიშვნელოვან შენაძენად გერმანული ფილოსოფიური მემკვიდრეობის ათვისების გზაზე ქართულ სინამდვილეში.

ა. პოპიაშვილი აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი პუბლიცისტური წერილები ძირითადად მიძღვნილი იყო ეროვნული საკითხებისადმი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებისადმი. 1990-1992 წლებში იგი იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ნაადრევად წავიდა ჩვენგან ა. პოპიაშვილი, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული და პატრიოტი პიროვნება. მისი სახელი დაუვიწყარი იქნება ქართველ ფილოსოფოსებში, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებში, მეგობრებსა და ახლობლებში.

სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი.

მეუღლე ლედი, შვილები მელანო, რუსიკო, სიძეები ნიკო ლეკიშვილი, ვახტანგ ლომაძე, შვილიშვილები სოფო, სალომე, ნინო, ივიკო, დათო, მიშა, შვილთაშვილები თათუნა, ნანუკა, და ზინა, დისწულები მანანა, დარეჯან გიორგაძეები, ცოლისძმა სოსო მიქაძე ოჯახით, ცოლისდა ვალენტინა, მძახალი ლენა აგლაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით მიხეილის ძე ტორონჯაძე

პანაშვიდი 20, 21 II, 4 ს. გამოსვენება 22 II, 2 ს. კარგარეთელის ქ. 3-ა.

მოქალაქეთა კავშირის საინიციატივო ჯგუფი თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ნიკო ლეკიშვილის ოჯახს

დავით ტორონჯაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ჰოლდინგური კომპანია „ჰიდროენერგომშენი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სააქციო საზოგადოება „ჰიდრომშენებლის“ მთავარი ინჟინერი, ენერგეტიკული მშენებლობის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

ჯიმშერ სეითის ძე შეანზირაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

ბეჟან გუგუციძე

მძიმე დანაკლისი განიცადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. მის რიგებს გამოაკლდა მესანიშნავი პიროვნება — სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ბოროტმოქმედთა ტყვიით დაეცა სამტრედიის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების დიდი ჯიხაიშის პოლიციის ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი, პოლიციის მაიორი **ბეჟან ვენედიქტეს ძე გუგუციძე.**

ბეჟან გუგუციძე დაიბადა 1956 წელს, სამტრედიაში. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაელის შემდეგ ის შევიდა ქ. რიაზანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1982 წელს.

1984 წლიდან ბ. გუგუციძემ დაიწყო მუშაობა წულუკიძის შრომაგასწორების კოლონიაში რაზმეულის უფროსად. გამოჩენილი საზრიანობისათვის და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის ის დაწინაურებული იყო ჯერ ვანის შს რაიგანყოფილების უფროს უბნის ინსპექტორად, ხოლო შემდგომ სამტრედიის შს განყოფილების დიდი ჯიხაიშის პოლიციის ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროს ინსპექტორად, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

სადაც კი უმუშავია ბეჟან გუგუციძეს, მან თავი გამოიჩინა როგორც პრინციპულმა და ერთგულმა, თავდადებულმა და მაღალ პროფესიონალმა მუშაკმა. მის პიროვნებაში საოცარი ძალით იყო შერწყმული შეურიგებლობა ბოროტებისა და უგერგილობისადმი, გულისხმიერება და მხარში დგომა სიკეთისა და კეთილსინდისიერი ადამიანისადმი.

შს ორგანოებში უმწიკვლო სამსახურისათვის ის მრავალჯერ იყო წახალისებული ხელმძღვანელების მიერ.

წავიდა ჩვენგან თვალსაჩინო, მაღალი პროფესიონალი, ოჯახისა და სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგების გულებში. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა
მთავარი სამმართველო;
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია.

გოჩა გუგუციძე

მძიმე დანაკლისი განიცადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. მის რიგებს გამოაკლდა მესანიშნავი ახალგაზრდა, სამტრედიის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების დიდი ჯიხაიშის პოლიციის ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი **გოჩა ვახტანგის ძე გუგუციძე,** რომელიც 12 თებერვალს ვერაგულად იქნა დაცხრილული ბოროტმოქმედთა მიერ.

გოჩა გუგუციძე დაიბადა 1966 წელს ქ. სამტრედიაში. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაელის შემდეგ დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

შინაგან საქმეთა ორგანოებში გოჩა გუგუციძემ მუშაობა დაიწყო 1995 წელს სამტრედიის შს უბნის ინსპექტორად და სულ მალე იქნა დაწინაურებული დიდი ჯიხაიშის პოლიციის ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორად, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ახალგაზრდა, პირუთვნელი მეგობარი, რომლის ვაჟკაცური სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა
მთავარი სამმართველო;
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია.

ალექსანდრე ვარდიშვილი

1998 წლის 16 თებერვალს გარდაიცვალა საქართველოს ნახშირის მრეწველობის ღვაწლმოსილი სამთოელი, შრომისა და ომის ვეტერანი **ალექსანდრე გრიგორის ძე ვარდიშვილი.**

ალექსანდრე ვარდიშვილი დაიბადა 1904 წელს ყაზბეგის რაიონში. უმაღლესი განათლება მიიღო ქ. მოსკოვში, სადაც 1935 წელს დაამთავრა მოსკოვის სამთო ინსტიტუტი და მიიღო სამთო ინჟინრის კვალიფიკაცია სპეციალობით ნახშირის ფენებრივ საბადოთა ექსპლუატაცია.

ა. ვარდიშვილი იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე, ყოფილი საბჭოთა კავშირის მე-16 არმიის მე-17 საკავალერიო დივიზიის მეორე განყოფილების უფროსი პოლკოვნიკის ჩინით (წოდებით).

ჯარის ნაწილებიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა ტრესტ „საქმფეთქმრეწვის“ დირექტორად, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სათბობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოადგილედ.

1943 წლის ივლისიდან 1949 წლის აგვისტომდე მუშაობდა „ტყიბულნახშირის“ ტრესტის მმართველად, ხოლო 1949 წლის სექტემბრიდან 1952 წლის თებერვლამდე იყო „საქნახშირის“ კომბინატის უფროსის მოადგილე.

1952 წლიდან მოღვაწეობდა სხვადასხვა თანამდებობაზე: საქართველოს სამშენ მასალათა მინისტრის მოადგილედ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ნახშირის მრეწველობის საქართველოს სახელმწიფო სამთო ტექნიკური ინსპექციის უფროსად, „საქნახშირის“ კომბინატის უფროსის პირველ მოადგილედ ნახშირის მოპოვების საკითხებში, კომბინატ „საქნახშირის“ უფროსად, „ტყვარჩელნახშირის“ ტრესტის მმართველად; 1976 წლის 1 ოქტომბრიდან პენსიაში გასვლამდე იყო საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და ტრანსპორტის დირექციის დირექტორი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ნახშირის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო ა. ვარდიშვილი სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით დარგის მშრომელთა — მეშახტეთა ფართო მასებში. სხვადასხვა დროს არჩეული იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ტყიბულისა და ტყვარჩელის კპ საქალაქო კომიტეტების ბიუროს წევრად, აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის წევრად. ნახშირის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ა. ვარდიშვილი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ადამიანებთან გულთბილი, კეთილი და ვაჟკაცური დამოკიდებულებით. იყო შრომისმოყვარე, ენერგიული, ინიციატივიანი, ტექნიკურად და საერთოდ განათლებული პიროვნება, რომელმაც აღზარდა მთელი პლეადა სამთოელთა თაობებისა, ამიტომ ჭეშმარიტად გლოვობენ საქართველოს მეშახტეები დღეს ამ დიდი დანაკლისის გამო.

ღირსეულად შეფასდა ა. ვარდიშვილის შრომა. ის დაჯილდოებული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მთავრობის ჯილდოებით: წითელი დროშის საბრძოლო ორდენით, 3 — შრომის წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, ასევე მრავალი მედლით. იყო საქართველოს პერსონალური პენსიონერი.

ალექსანდრე ვარდიშვილის, როგორც ღვაწლმოსილი ადამიანის მარადიული ხსოვნა მუდამ დარჩება სამთამადნო დარგებისა და სათბობის მრეწველობის მშრომელთა მეხსიერებაში.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო;
საქართველოს სახელმწიფო საქველმოქმედო დაწესებულება
„საქნახშირი“; საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის
სახელმწიფო ინსპექცია; საქართველოს სამთო
საზოგადოება; სახაზინო საწარმო „ტყიბულნახშირი“.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ ბოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“
სტამბაში, ხოშარაულის 29.